გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 მარტი **ოთხშაბათი** 2012

№073(13679) ფასი 80 თეთრი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღეს U17. ელიტრაუნდი. II ტური

**14:00 საქართველო–ინგლისი**

(მ. მესხის სტადიონი)

**16:00 ესპანეთი–უკრაინა**

(დინამო არენა)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# დი მატეო ლიგაზე: ორიდან ორი

9

**ჩელსიმ სტუმრად პირველი მოიგო, ბენფიკამ შინ პირველად ვერ გაიტანა**



ბენფიკა-ჩელსი 0:1

# ანჩალა და მოუგო

**აპოელის ზღაპარი: ჭირი იქა, ლხინი აქა...**



აპოელ-რეალი 0:3



9

**მილანი-ბარსელონა:**

## როსონერის ძალა დღეს გამოჩნდება

**მარსელი-ბაიერნი:**

## შვაინშტაიგერი ვარჯიშობს, მაგრამ...

დღევანდელი მატჩების წინ

UEFA CHAMPIONS LEAGUE



# მეორე მოგება ბრიტანეთში

**ჩვენი ლიგა უელსისაზე ძლიერი ყოფილა**



13

## ეს საინტერესო აღარ არის

გუშინ, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ რეგლამენტში ცვლილებები შეიტანა. ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ქალ პლაჟბურთელებს საკუთარი ნებასურვილით შეეძლებათ სათამაშო ფორმის არჩევა. ასე რომ, ბიკინის ნაცვლად, შესაძლოა, მოდაში შემოვიდეს „შორტები“ და „ტოპები“.

პლაჟის ფრენბურთი სწორედ ქალების ჩაცმულობით იპყრობს ყურადღებას, მაგრამ გასათვალისწინებელია მოთამაშეთა აზრიც - მიაჩნია ფედერაციას.



ინტერვიუ

# გიორგი ქიაბრიშვილი: ბოლომდე კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ

**სეზონის მეორე ნახევარში "ზესტაფონი" საკუთარი ამბიციების შესაფერის შედეგს აჩვენებს. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს და კონკურენტებს მიახლოების საშუალებას არ აძლევს. გასულ ტურში "ზესტაფონმა" უახლოესი მდევარი "მეტალურგი" დაამარცხა და ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა. თუ ხვალ ფეროელები ქუთაისის "ტორპედოსაც" აჯობებენ, საჩემპიონო ინტრიგა ალბათ დიდხანს აღარ გაგრძელდება.**
**"ლელო" "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელ გიორგი ქიაბრიშვილს უკანასკნელად სეზონის განახლებამდე ესაუბრა და ამიტომაც გუნდის თამაშის მისეული შეფასება და სამომავლო ხედვა უინტერესო არ უნდა იყოს.**


გიორგი ქიაბრიშვილი
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**- "ზესტაფონის" ბოლოდროინდელი შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა იყოთ.**

- უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ მაქვს. დაუგეგმავი ქულებიც არ დაგვიკარგავს და დაღლილობის ფონზე თამაშსაც ვეჩვევით. მართალია, კვირაში ორჯერ თამაში ევროპისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ იქ სულ სხვა გარემო და პირობებია. ასე რომ, საქართველოში კვირეული ციკლი სჯობია, რაც ამ ეტაპზე არ გამოდის და ამას უნდა შევეგუოთ.

**- "დინამოსა" და "მეტალურგთან" ბრძოლებში ჯამში ოთხი ქულა მოიპოვეთ. მოკლედ შეაფასეთ ეს ორი მატჩი.**

- "დინამოსთან" თამაშის ხარისხით კმაყოფილი არ ვარ. უფრო მაღალ დონეზეც შეგვეძლო თამაში, მაგრამ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ წინა პლანზე ემოცია და ბრძოლა წამოვიდა, გააზრებული მოქმედებების ადგილი კი ნაკლებად დარჩა. მთლიანობაში საინტერესო შეხვედრა იყო, სადაც მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც. ჩვენ მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფრეს დავჯერდით, რამაც სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, წყალი ჩვენს წისქვილზე დაასხა.

"მეტალურგთან" მატჩისთვის "ზესტაფონმა" ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწრო, თუმცა ამის მიუხედავად, შევძელით და მატჩის დებიუტი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. რუსთაველებს ურიგოდ არ უთამაშიათ და ანგარიშიც გაგვითანაბრეს, მაგრამ საბოლოოდ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩემპიონატის სისტემის წყალობით მთავარ კონკურენტად "მეტალურგი" გვექცა და მისი დამარცხება ჰაერივით გვესაჭიროებოდა.

**- მოასწრებს "ზესტაფონი" "ტორპედოსთან" მატჩისთვის ძალების აღდგენას?**

- ეს პრობლემა ჩვენც გვექნება და მეტოქესაც, მაგრამ "ზესტაფონი"-"ტორპედო" ისეთი თამაშია, სადაც ორივე გუნდის ფეხბურთელები შეუძლებელს ახერხებენ ხოლმე.

**- "ტორპედოს" დამარცხების შემთხვევაში "ზესტაფონი" ოქროს მედლებს კიდევ უფრო მიუახლოვდება.**

- ასე იქნება, მაგრამ ჩემპიონები მხოლოდ მაშინ გავხდებით, როცა მდევრებს ჩვენი დაწევის თეორიული შანსიც აღარ დარჩებათ. კარგად გვესმის, რომ ბოლომდე კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ, მცირე ჩავარდნის უფლებაც კი არ გვაქვს.

**- კონკურენტებისგან უფრო მეტს ხომ არ ელოდით?**

- მხოლოდ ტრანსფერებით ძლიერი გუნდი არ ყალიბდება, შედეგის მისაღწევად მწვრთნელს ნდობა და დრო სჭირდება. "დინამოსაც", "ტორპედოსაც" და "მეტალურგსაც" კვალიფიციური მწვრთნელები ჰყავთ და თუ მათ ეს დრო მიეცათ, აუცილებლად ჩამოაყალიბებენ სერიოზულ გუნდებს, რაც უპირველესად, საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. თუმცა ამ სამი კლუბის სახით დღეისთვისაც საკმაოდ სერიოზული კონკურენტები გვყავს.

**- ბოლო პერიოდში "ზესტაფონს" ფაქტობრივად, ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი დაუბრუნდა.**

- ეს ძალიან გვახარებს. ლუკა გუგუჩიამ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში დაიწყო, გიორგი ხიდეშელი უკვე ხვდება ძირითადი გუნდის განაცხადში, აბაიომი ოვონიკოკო და შოთა ბაბუნაშვილი კი დუბლშემადგენლობაში თამაშობენ. ახლად გამოჯანმრთელებული ფეხბურთელები ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს არიან და არ გვინდა, ისინი დავაჩქაროთ. მოედანს ისინი ეტაპობრივად დაუბრუნდებიან. სულ ცოტა ხნის წინ ნახევარი გუნდი ლაზარეთში გვყავდა და მაინც ვახერხებდით შედეგიანად თამაშს, ახლა კი საჩქარო და გასარისკი მით უფრო აღარაფერი გვაქვს. გუნდში კონკურენციის გაზრდა კი ძალიან მახარებს, ამის გარეშე ევროპულ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია.

**- გუნდის ახალწვეულების თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- გუნდის დაკომპლექტების პროცესში შეცდომები ხშირად ხდება, მაგრამ უკვე დავრწმუნდით, რომ ამჯერად აბსოლუტურად სწორი სელექცია ვაწარმოეთ. აქცენტი მომავალზე გავაკეთეთ, მაგრამ ახალწვეულთა ნაწილმა ჩვენი იმედების გამართლება მოსალოდნელზე ადრე დაიწყო. ასე მაგალითად, ლევან შარიქაძე და დავით რაჟამაშვილი ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშობენ, დავით მუჯირმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად წარმოვიდგენდი, თუ იგი 90 წუთის თამაშს შეძლებდა, დღეს კი სულაც არ ჰგავს იმ ფეხბურთელს, რომელიც მოედანზე მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებში უნდა გაიყვანო.

**- "ზესტაფონში" ისინჯება ნიგერიელი თავდამსხმელი ოვი შედრაკი. როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?**

- ჩემპიონატში ისეთი გრაფიკი გვაქვს, რომ ჯერ მასზე დაკვირვება ვერ მოვასწარი. როგორც კი მცირე პაუზა გამოჩნდება, ამხანაგურ მატჩებს დავნიშნავთ და მას იქ დავაკვირდებით. საჩქარო არაფერია, მას თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მიეცემა.

**- "ზესტაფონის" სადღეისო ფორმა თქვენთვის დამაკმაყოფილებელია?**

- მეტიც შეგვიძლია, მაგრამ ჩემპიონატის მჭიდრო გრაფიკიდან გამომდინარე, ხარვეზები სავსებით ბუნებრივია. ამჟამად კი სეზონის ის მონაკვეთია, როცა "ზესტაფონის" თამაშს დიდი ემოციური ფონი გასდევს და წინა პლანზე შედეგია წამოწეული.

**- ეყოფა "ზესტაფონს" ძალები საქართველოს თასისთვის საბრძოლველად?**

- გვაქვს იმის რესურსიც და საკმარისად გრძელი სათადარიგოთა სკამიც, რომ ყველა ტიტულისთვის ვიბრძოლოთ. იმედია, სუპერთასის მატჩს არ გააუქმებენ და ამ ჯილდოს მოპოვების შანსიც მოგვეცემა. რაც შეეხება თასის გათამაშებას, იქ გამარჯვება იოლი ნამდვილად არ იქნება. ნახევარფინალში "მეტალურგის" სახით ძლიერი მეტოქე გვყავს, თანაც, განმეორებითი შეხვედრა სტუმრად, ხელოვნურსაფარიან მოედანზე გველის, რაც იოლი სულაც არ იქნება, მაგრამ ჩვენი ძალა იქაც უნდა დავამტკიცოთ.

**- ხედავთ გუნდში იმ პოტენციალს, რომლის საშუალებითაც "ზესტაფონი" შარშანდელთან შედარებით, ევროტურნირებზე მინიმუმ ერთი ნაბიჯით წინ უნდა წაიწიოს?**

- რომ არ ვხედავდე, ჩემს მუშაობას აზრი არ ექნებოდა. "ზესტაფონს" შესწევს იმის ძალა, რომ ევროთასებზე ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწიოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები



სანდრო კობახიძე

# სანდრო კობახიძე: არსენალი კიდევ მოუმატებს

უკრაინულმა ინტერნეტპორტალმა "უა-ფუტბოლმა" ქვეყნის პრემიერლიგის 24-ე ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. შეგახსენებთ, რომ კიევის "არსენალის" ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა **სანდრო კობახიძემ** ბოლო ტურში ხარკოვის "მეტალისტის" დამარცხებაში (4:2) გოლითა და კარგი თამაშით ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. მართალია, ინტერნეტ-პორტალმა ქართველის ამაგი სიტყვიერად დააფასა და ძალიანაც შეაქო, თუმცა, სიმბოლურში მაინც არ შეიყვანა.

მატჩის შემდეგ სანდრო დაელაპარაკა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესს". 24 წლის ქართველის თქმით, "არსენალის" მიზანი ევროპის ლიგაზე მოხვედრაა.

*"მიმაჩნია, რომ ჩვენს გუნდს საამისოდ საუკეთესო შანსები გააჩნია. თუკი ყველა მეტოქესთან ისე ვითამაშებთ, როგორც "მეტალისტთან", ჩვენი შანსები რეალური გახდება. მგონია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ გუნდი კიდევ მოუმატებს.*

*მეტოქის მიმართ პატივისცემით ვართ განწყობილი, რადგან ხარკოველები ევროპის ლიგის მეოთხედფინალამდე გავიდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი გამარჯვება მოულოდნელიც არ მგონია. რა თქმა უნდა, ამაღლებული განწყობა გვქონდა. ჯერ ერთი, ქულები ჰაერივით გვჭირდებოდა, მეორეც, "მეტალისტი" ის გუნდია, რომელთანაც სამი ქულის მოპოვება ძნელია.*

*... "არსენალი", უპირველესად, ძლიერი კოლექტიური თამაშით არის. ყველა ჩვენგანს საკუთარი ამოცანა ჰქონდა. ჩემი ამოცანა კი თამაშის გამწვავება და საკუთარ თავზე ინიციატივის აღება იყო. დავალებები შევასრულეთ და შედეგსაც მივაღწიეთ. მშვენივრად ითამაშა კოვპაკმა – მან ორი გოლი გაიტანა. საერთოდ, პარტნიორების დახმარების გარეშე ვერც მე და ვერც კოვპაკი ვერაფერს გავაკეთებდით"* – ამბობს საქართველოს ნაკრების მოთამაშე.

**მერაბ მამულაშვილი**

# გამარჯვებაც და მარცხიც

რუსეთის პრემიერლიგაში **გია გრიგალავას** "ვოლგა" გროზნოს "ტერეკს" ეწვია და 3:1 გაიმარჯვა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა, "ტერეკის" შემადგენლობაში კი კვლავ არ გამოჩენილა **ლევან გვაზავა**. "ვოლგა" პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლას განაგრძობს.

პოლონეთის ექსტრაკლასაში **ლადო დვალიშვილის** "პოლონია" სტუმრად 0:3 განადგურდა. ქართველი თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 78-ე წუთზე შეცვალეს, მისი გუნდი კი მე-5 ადგილზეა.

დანიაში "ორჰუსმა" გასვლითი მატჩი 2:0 მოუგო "მიდტიულანდს". სტუმართა შემადგენლობაში **დავით სხირტლაძე** მე-80 წუთიდან გამოჩნდა. ამ დროისთვის შეხვედრის საბოლოო შედეგი უკვე დაფიქსირებული იყო. "ორჰუსი" სუპერლიგაში მე-4 ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის.

**გიორგი ჩიხრაძემ** კი ზაქათალის "სიმურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი მოიგო. მისმა გუნდმა სტუმრად 2:1 სძლია "სუმგაითს". "სიმურგს" აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.


გია გრიგალავა

**ლევან ჯანეზაშვილი**

პრობლემა

# იყავით რელევანტურები და ელეგანტურები

## უეფა კლუბებს 2013 წლისთვის ამზადებს

ევროპულ ფეხბურთში მალე ახალი წესი ამოქმედდება, რომელსაც ასე ჰქვია – FINANACIAL FAIR PLAY. ეს წესი საერთო იქნება უეფას წევრი ყველა ქვეყნის კლუბისთვის, ცხადია, ქართული გუნდებისთვისაც.

ევროპის კლუბთა ასოციაცია(ECA), რომელიც G14-ის ბაზაზე შეიქმნა და რომელსაც სათავეში **კარლ-ჰაინც რუმენიგე** უდგას, ევროპული კლუბების ინტერესებს იცავს, თანამშრომლობს უეფასთან და ოპოზიციაშია ფიფასთან. სწორედ ამ ორგანიზაციამ წამოსწია წინ ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა – ფეხბურთელთა ხელფასების უთავბოლო ზრდა, რაც ხშირად კლუბთა გაკოტრებასაც კი იწვევს.

ფეხბურთს, ისევე როგორც ყველაფერს, მდიდრები მართავენ, არაერთ მილიონერს თუ მილიარდერს აქვს საკუთარი კლუბი და არ იშურებს სახსრებს კარგი ფეხბურთელების ასაყვანად. ამის გამო, არცთუ იშვიათად, კლუბის შემოსავალი გასავალზე ნაკლებია. ოლიგარქების კლუბებისთვის კონკურენციის გაწევას ცდილობენ არაოლიგარქული კლუბები, გამოაქვთ კრედიტები ბანკიდან, შემდეგ ვერ ისტუმრებენ ვალებს და მიდიან დაღმა.

ყოველივე ეს არათანაბარ პირობებში აყენებს კლუბებს. მაგალითად, "ჰოფენჰაიმი" ეკუთვნის მილიონერს, "ფრაიბურგს" კი უბრალოდ აქციონერები ჰყავს და კლუბის საქმეებს საბჭო მართავს. შესაძლოა, "ფრაიბურგი" "ჰოფენჰაიმზე" კარგად მუშაობს როგორც სპორტული, ასევე მარკეტინგული თვალსაზრისით, მაგრამ "ჰოფენჰაიმის" მფლობელს აქვს საშუალება, საკუთარი ფული დაახარჯოს კლუბს და სხვა კლუბზე წინ აღმოჩნდეს.

ერთი სიტყვით, პრობლემა მწვავედ დადგა და ევროპული კლუბების ასიციაციამ უეფასთან ერთად გამოსავლის მოძებნა დაიწყო – ასე გაჩნდა ფინანსური ფეარ პლეი, ანუ ფინანსური სამართლიანი თამაში.

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა – ქართული კლუბები რომ დოტაციაზე არიან, მათზე ეს წესი როგორ აისახება?

უეფამ და კლუბთა ასოციაციამ ეს ფაქტორიც გათვალეს. ფინანსური ფეარ პლეის წესებში არის ასეთი პუნქტი – თუ კლუბის რელევანტური შემოსავალი 5 მილიონ ევროს ვერ აღწევს, კლუბს აქვს უფლება, რომ ჰქონდეს არარელევანტური შემოსავლები. რელევანტური შემოსავალი ნიშნავს ტრანსფერებიდან, ტელეტრანსლაციებიდან, ბილეთებიდან, ატრიბუტიკის გაყიდვიდან, სპონსორებიდან, საპრიზო ფონდებიდან და სხვა მარკეტინგული საშუალებებით მოპოვებულ თანხებს. არარელევანტური შემოსავალი კი სწორედ ის არის, როცა კლუბს მფლობელი , თუ ვინმე სხვა პირი ან ორგანიზაცია კეთილი ნებით აძლევს თანხებს.

ქართული კლუბების შემოსავლის წყარო ნაირგვარი კი არის, თუმცა მეტწილად ეს არის დაფინანსება სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ან ცალკეული ბიზნესმენების სოციალური პროექტები. იმის გამო, რომ ასეთმა კლუბმა არსებობა არ შეწყვიტოს, მისთვის ნებადართულია, საჩუქრად მიიღოს ნებისმიერი რაოდენობის თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, თბილისის "დინამო" გავა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და უეფადან მინიმუმ ხუთ მილიონ ევროს მიიღებს, ამის შემდეგ უკვე თვითონ უნდა ირჩინოს თავი და ვილაცის ნაჩუქარი ფულის იმედად აღარ უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ხუთმილიონბიუჯეტიანი კლუბი მაინც მიიღებს არარელევანტურ შემოსავლებს, უეფას ფინანსური კონტროლის პანელი განიხილავს ამ საქმეს და რაღაც ზომებს მიიღებს. შესაძლოა, ეს იყოს მხოლოდ მითითებები, შესაძლოა, უეფამ ამის გამო რაღაც აკრძალვები ან სხვა სანქციები დაუწესოს კლუბს. BREAK EVEN – ასე ჰქვია იმ წესს, არარელევანტური შემოსავლების შემთხვევაში რომ ამოქმედდება.



კარლ-ჰაინც რუმენიგე

ერთი სიტყვით, საქმის არსი გასაგები უნდა იყოს. უეფა ცდილობს, ყველა კლუბი თანაბარ პირობებში ჩააყენოს, ფეხბურთი მხოლოდ მილიარდერების სპორტი არ გახდეს და დემოკრატიული შარმი შეუნარჩუნოს. შესაძლოა, ამ წესებში იურიდიული ნაპრალებიც გაჩნდეს, თუმცა არა გვგონია, რომ ამის ალბათობა დიდი იყოს.

ფინანსური ფეარ პლეი ძალაში 2013/14 წლების სეზონიდან შედის. ძალიან საინტერესოა, როგორ იმუშავებს უეფას ეს ნოვაცია და საით წავა ევროპული საკლუბო ფეხბურთი. არ არის გვიან ის დროც, როცა რომელიმე ქართული კლუბი რელევანტურად იშოვის წელიწადში მინიმუმ ხუთ მილიონ ევროს და ძალიან დამაინტრიგებელია, თუ ვინ იქნება პირველი...

**დავით თავართქილაძე**

წიგნის თარო

# ეს ჩვენი ფეხბურთის ისტორიაა




წარმოიდგინეთ, რა თავსატეხი გაუჩნდებოდათ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიის მომავალ მკვლევრებს, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ისტორია ცალკე გამოცემებად რომ არ იყოს შემოდებული ბიბლიოთეკების თაროზე. ამ უაღრესად შრომატევად სამუშაოს თავიდანვე პირველი შეეჭიდა და ამ მძიმე ჭაპანს ბოლომდე დაუღალავად ეწევა შესანიშნავი სტატისტიკოსი და პიროვნება, **რევაზ შენგელია**. ჩვენი ფეხბურთის სწორუპოვარმა მემატიანემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით, „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნის"'აგერ უკვე რიგით მე-18 გამოცემა შემოგვთავაზა — 2011-2012 წლების საფეხბურთო სეზონის სტატისტიკური კრებული.

ახალი ცნობარი იხსნება 22-ე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შედეგებით, საიდანაც ვიგებთ საქართველოს რომელ კლუბს რამდენ ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა, რამდენი მატჩი ჩაუტარებია და რა შედეგებისთვის მიუღწევია. მაგალითად, თბილისის „დინამოს" 22-ივე ჩემპიონატში უასპარეზია, ჩაუტარებია 687 შეხვედრა, 489 მოუგია, 111 ფრედ დაუმთავრება, 87 წაუგია, ბურთების შეფარდება — 1740:503, ქულა — 1578. აი, ასე სახიერადაა შეჯამებული 48 გუნდის მონაცემები. ისტორიაში დარჩება უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდები და მათი ფეხბურთელები, მიმდინარე სეზონში I და II ლიგის გუნდების განაცხადები, წინა ჩემპიონატის, თასის გათამაშების, აგრეთვე ნაკრების თამაშების, ევროპის საკლუბო ტურნირების, ევრო 2012-ის მატჩების შედეგები...

**თენგიზ თომაშვილი**

საკლუბო თემა

# ასეთი დილაც გათენდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ლელომ" გუშინ გაცნობათ ექსკლუზიური ინფორმაცია: ფოთში „კოლხეთთან" ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ **თემურ მახარაძე** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის ნაცვლად კი კლუბი საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" მთავარ მწვრთნელს, **თემურ შალამბერიძეს** ჩააბარეს, რომელსაც ასისტენტობას საშემოდგომო ეტაპზე ამ გუნდის დამრიგებელი **გია ცეცაძე** გაუწევს.

*"დილა" 8 საუკეთესო გუნდში ბოლო მომენტში მოხვდა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე "პლეი-ოფში" ჩატარებული სამი შეხვედრიდან, ორი ფრედ დაასრულა და ერთიც მარცხით დამთავრდა, რაც რასაკვირველია, კლუბის მესვეურების გეგმებში არ შედის"* – წერს "დილას" ვებგვერდი.

"დილას" სპონსორი შინაგან საქმეთა სამინისტროა, უშუალოდ კი გუნდს დაცვის პოლიცია კურირებს. გუშინ ამ სამსახურის ხელმძღვანელები "დილას" მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შეხვდნენ და ზემონახსენები გადაწყვეტილება გააცნეს. სამწუხაროდ, შეხვედრა დახურული იყო, მედია არ დაუშვეს და ჩვენც მხოლოდ გადმოცემით შევიტყვეთ, თუ რა მოხდა დახურულ კარს მიღმა.

მახარაძესთან ერთად გუნდი მისმა ვაჟმა, **შოთა მახარაძემ** (ერთ-ერთი მწვრთნელი გახლდათ) და ასისტენტმა **იური გაბისკირიამაც** დატოვეს. პირველი ორი შეკრებას აღარ დაესწრო, გაბისკირია კი დაცვის პოლიციაში იმყოფებოდა და ვითარებაში გარკვევის შემდეგ, შენობა მალე დატოვა.

მოთამაშეებს ახალი მთავარი მწვრთნელი, თემურ შალამბერიძე თავის ასისტენტთან, გია ცეცაძესთან ერთად წარუდგინეს.

შეხვედრა საათზე მეტხანს გაგრძელდა, შენობიდან გამოსულმა მოთამაშეებმა თქვეს, რომ კომენტარები აუკრძალეს. თუმცა, ცხადი იყო, რომ მათთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი და ცოტა დამაბნეველიც კი გამოდგა.

**მერაბ მამულაშვილი**

## თემურ შალამბერიძე:

# ამ გამოწვევის არ მეშინია

**მაშ ასე, სეზონის მსვლელობისას გორის "დილას" რიგით მესამე მთავარი მწვრთნელი გაწვრთნის. ამჯერად გუნდი ახალგაზრდა სპეციალისტს თემურ შალამბერიძეს ჩააბარეს.**

**ახალ მთავარ მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის და მოთამაშეებთან წარდგენის შემდეგ დაველაპარაკეთ.**

**- უპირველესად, ამბიციური კლუბის ჩაბარებას გილოცავთ. დარწმუნებული ვარ, ეს თქვენთვისაც ისეთივე მოულოდნელი იქნებოდა, როგორიც ჩვენთვის.**

- მოულოდნელი იყო, რა თქმა უნდა... მაგრამ სასიამოვნოა, რომ გენდობიან. ამისთვის მადლობა გუნდის მეპატრონეებს. მე და გია ცეცაძე ყველანაირად შევეცდებით, რომ ნდობა გავამართლოთ და გუნდმა წარმატებას მიაღწიოს.

**- თქვენი დანიშვნისას დაიბადა კითხვა, უმაღლეს ლიგაში არ უმუშავია, ჯერ მოთამაშეებისთვის ავტორიტეტი არ არის და სარისკო ნაბიჯზე მიდისო.**

- გეთანხმებით, უმაღლესი ლიგის გუნდი დღემდე არ გამიწვრთნია, ბევრი არც მიცნობს როგორც მწვრთნელს და შესაძლოა, ეს ნაბიჯი სარისკოც იყოს. მე ყოველთვის პატივს ვცემდი და ვითვალისწინებდი გამოცდილი ხალხის აზრს, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელსაც უნდა მიეცეს საშუალება, თორემ თავის შესაძლებლობას ვერასოდეს გამოავლენს. ასე იყო გიორგი დევდარიანის, გია გეგუჩაძის, გია ცეცაძის, მალხაზ ჟვანიასა თუ გელა სანაიას შემთხვევებში. ახალგაზრდებს გასაქანი თუ არ მიეცემათ, მაშინ ერთსა და იმავე წრეზე ვიტრიალებთ და წინ ვერ წავალთ.

მეც იმიტომ მოვედი უმაღლესი ლიგის ამბიციურ გუნდში, რომ ჩემს თანამოაზრე გია ცეცაძესთან ერთად აქამდე დაგროვილი ცოდნა უფრო მაღალ დონეზე გამოვიყენოთ. ჩვენც გვინდა, რომ წარმატებას მივაღწიოთ.

აქვე მადლობას ვეტყვი თემურ მახარაძეს გუნდის კარგი მომზადებისთვის, აქამდე რომ მოიყვანა "დილა", თუმცა ამიერიდან ჩვენი შეხედულებით ვიმუშავებთ.

**- რადგან ცეცაძე თქვენი თანამოაზრეა, წესით, "დილამ" სხვა ფეხბურთი უნდა აჩვენოს.**

- უნდა მოვუმატოთ და მოკლე პერიოდში მოვახერხოთ დაცვითი ფეხბურთიდან შემტევზე გადართვა, ჩვენი შემადგენლობით ეს შესაძლებელია. ვნახოთ, რა გამოგვივა. დღეს პირველად ვნახეთ ბიჭები და ჯერ გუნდს ჩვენი ხელმძღვანელობით არც უვარჯიშია. მხოლოდ ერთი ვთხოვე, რომ ვიყოთ ერთი ოჯახივით შეკრულები და გავიტანოთ ერთმანეთი. ჩემთვის ასეთ გამოცდილ ბიჭებთან მუშაობა დიდი პატივიც არის და ძნელიც, მაგრამ მოთამაშეები თუ ამყვებიან, ბედნიერი კაცი ვიქნები.

**- თქვენგან თასის ფინალში გასვლასა და საუკეთესო რვა გუნდშიც მაღალ ადგილს ითხოვენ.**

- ციდან ვარსკვლავებს ვერ მოვწყვეტთ, მაგრამ გულსა და სულს ჩავდებთ, რომ გუნდი იყოს საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული და ამას გარდა, აჩვენოს სანახაობრივი ფეხბურთი.

**- ალალად თქვით, რა რეაქცია გქონდათ საფეხბურთო სკოლის მთავარ მწვრთნელს, როდესაც უმაღლესი ლიგის გუნდის გაწვრთნა შემოგთავაზეს?**



თემურ შალამბერიძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- მართალი გითხრათ, სულ ველოდებოდი, რომ ოდესმე დიდი ფეხბურთის კარი ჩემთვისაც გაიღებოდა. 10 წელი ვმუშაობდი "დინამოში", აქედან ხუთი წელი დუბლებში, ერთი წელი მთავარი მწვრთნელიც ვიყავი - სანამ რამაზ მუმლაძეს დანიშნავდნენ. ჩემი მიზანია, თავი გამოვცადო რაც შეიძლება მაღალ დონეზე. აბა, ამის თუ შემეშინდა, არაფერი გამოგივა.

**- სხვათა შორის, იყო ლაპარაკი, შესაძლოა, "დილამ" უცხოეთიდან თავდამსხმელი დაიმატოსო.**

- ვაწაძეზე უკეთესი თავდამსხმელი საქართველოში არ მეგულება, სხვა კარგი ფორვარდებიც გყვავს და ამ ეტაპზე ახლის დამატების საჭიროებას ვერ ვხედავ.

**მერაბ მამულაშვილი**



რას შეცვლის გორის დილაში ახალი მწვრთნელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო თემა

# გია ცეცაძის იმედიანი დაბრუნება

**გია ცეცაძე გორის "დილაში" ასისტენტის რანგში დაბრუნებითაც ბედნიერია. ის ამბიციური მწვრთნელია, მაგრამ არ არის ამპარტავანი, უყვარს მუშაობა და ეს ნაბიჯი ამიტომაც გადადგა.**

**- დარწმუნებული ვარ, პირველ დანიშვნაზე არანაკლებ სასიამოვნო "დილაში" ასისტენტად დაბრუნებაა. ამით თქვენი მუშაობა დააფასეს.**

- რა თქმა უნდა, სასიამოვნოა და მართლაც მქონდა ის გრძნობა, რომ საქმე დავიწყე და ბოლომდე ვერ გავაკეთე. ახლა გაათმაგებული სურვილი გამიჩნდა, რომ მეტი მონდომებით ვიმუშაო და გაცილებით მეტ წარმატებას მივაღწიო იმ ადამიანთან ერთად, რომლის თანამოაზრედაც მიმაჩნია თავი.



გია ცეცაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- დიდი ხანია, რაც შალამბერიძეს იცნობთ?**

- საკმაოდ დიდი ხანია. მისი ფაქტორი იყო გადამწყვეტი. ორივე ბავშვებთან ვმუშაობდით და ყოველთვის ვთვლიდი, რომ თანამოაზრეები ვიყავით. მაგრამ დაახლოებით ათი დღის წინ, სანამ ეს ამბავი გახდებოდა ჩვენთვის ცნობილი, "საბურთალოში" კახა ჭუმბურიძესთან და თემურთან საფეხბურთო საკითხზე ვლაპარაკობდი. ისეთ შეფასებებს აკეთებდა, გუნდის მართვის სტრატეგიაზე, შეტევის დაწყებაზე, დაცვაზე, მეგონა, ჩემს აზრებს კითხულობდა. ასეთი მხოლოდ ორი კაცი მეგულებოდა – გიორგი დევდარიანი და თემურ ფოცხვერია. იცით, ამ ყველაფერს რატომ ვყვები? თანამოაზრესთან ერთად ამბიციურ კლუბში მუშაობა მართლაც დიდი სიამოვნებაა და დიდ პასუხისმგებლობასაც, იმედია, ღირსეულად ვატარებთ.

ამ ჩვენი ლაპარაკიდან მცირე დრო გავიდა და თემურმა მითხრა, "დილაში" მივდივარ და ჩემთან ერთად თუ წამოხვალო? არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, რადგან ვიცოდი, ვისთან ერთად მივდიოდი.

**- მწვრთნელები კი უნდა იყოთ კიდეც თანამოაზრეები, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობასთან საერთო ენა მალე გამონახეთ?**

- შინაგან საქმეთა სამინისტროდან ერთი-ერთი პიროვნება, ვინც "დილას" პატრონობს და ვისაც დღეს შევხვდით, კახა ლეგაშვილია. ფეხბურთთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ ალალად ვამბობ, გაოცებული დავრჩი მისი სწორი აზროვნებითა და შეხედულებებით - როგორ წარმოუდგენია გუნდისა და ფეხბურთის განვითარება. სერიოზულად ვამბობ, მლიქვნელობა არ მჩვევია, გამიხარდა, გუნდს ასეთი ხალხი რომ კურირებს. მისნაირი ბევრი რომ იყოს, საქართველოში ფეხბურთი განვითარდებოდა. ის ტაქტიკასა და ნიუანსებზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ, ზოგად მიმართულებაზე, იმაზე, როგორც წარმოუდგენია გუნდის მომავალი და მისი მშენებლობა, რა პრინციპებზე უნდა იყოს აწყობილი და ასე შემდეგ.

**- თქვენი აზრით, რა შედეგის მიღწევა შეუძლია "დილას"?**

- საშემოდგომო ეტაპზე რომ ვმუშაობდი, ის "დილა" ფაფხურობდა და არავის არაფერს ვუთმობდით. ახლა კი სახელიანი და გამოცდილი ბიჭები დაგვხვდა და დარწმუნებული ვარ, ჩვენს დავალებებს ადვილად გაიგებენ. 100 პროცენტით ვერ ვიტყვი, მაგრამ მჯერა, რომ უკეთესი გუნდი გამოვა, ვიდრე იყო.

გუნდის მშენებლობაში მთავარია გემოვნება და თანამოაზრეობა. ჩვენ კი თანამოაზრეები შევიკრიბეთ და იმედს სწორედ ეს მაძლევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრავმა

# არზიანი ორ კვირაში დაბრუნდება

გორის "დილაში" ბევრი ცნობილი მოთამაშე აიყვანეს. მაგრამ ჯერ ყველა სათანადოდ ვერ გაიხსნა და თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, უდავოდ **ზურაბ არზიანია.**

24 წლის საყრდენი ნახევარმცველი გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდა, შეტევების წამოწყება და განვითარება ეხერხება, მაგრამ სხვა საქმეა, თანაგუნდელები მხარს რომ ვერ უბამენ. ფოთის "კოლხეთთან" გასვლით შეხვედრაში, გორის "დილას" ლიდერი დაშავდა. ზურაბ არზიანი პირველი ტაიმის მიწურულს, 41-ე წუთზე შესაცვლელი გახდა.

დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ ტრავმა საშიში არ არის, მკურნალობისთვის მაქსიმუმ ორი კვირა სჭირდება, მაგრამ ჯერ უცნობია, მოახერხებს თუ არა არზიანი საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩისთვის მოედანზე დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ "დილა" 10 და 18 აპრილს ნახევარფინალში თასის მოქმედ მფლობელს, „გაგრას“ დაუპირისპირდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ არზიანი (მარჯვნივ)

სიტუაცია

# გინესის რეკორდების ნომინანტები



მალხაზ ჟვანია
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## მიჰბაძეთ მარტვილელებს!

მეორე ეტაპის დაწყებიდან თვეც არ გასულა და აი, მორიგი სამწვრთნელო ცვლილების შესახებაც შევიტყვეთ: გამოცდილი სპეციალისტი **თემურ მახარაძე** გორის „დილას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს! მოკლედ, საქართველოს ჩემპიონატში ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიცია კვლავაც გრძელდება და, ალბათ, სულ მალე „გინესის რეკორდების წიგნშიც“ შევალთ: სეზონის დაწყებიდან უმაღლეს ლიგაში უკვე 29 სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა! აქვე, ბარემ ის გუნდებიც ვახსენოთ, სეზონის მსვლელობისას ყველაზე მეტი მწვრთნელი რომ შეიცვალეს: ბოლნისის „სიონში“ და გორის „დილაში“ მეოთხე სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა; არც დანარჩენები ჩამორჩებიან, სადაც ორ-ორჯერ თუ სამ-სამჯერ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. არადა, 2011 წელი რომ დასრულდა და ჩემპიონატში პაუზა გამოცხადდა, იმ ფაქტზე ვამახვილებდით ყურადღებას, რომ უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან მხოლოდ ოთხ გუნდში არ იყო შეცვლილი მთავარი მწვრთნელი; ანუ, ეს ციფრი გვეცოტავებოდა და ახლა კი, ამ განვლილ სამ თვეში კვლავაც რამდენიმე სამწვრთნელო ცვლილების მომსწრენი გავხდით. ჯერ იყო და, **ელგუჯა ქომეთიანის** ნაცვლად „ბაიას“ მთავარ მწვრთნელად **გოჩა ტყებუჩავა** დაინიშნა; ამას მოჰყვა „დინამოს“ თავკაცის პოსტიდან **ალექს გარსიას** წასვლა და ამ პოსტზე **გიორგი დევდარიანის** მოსვლა. მოკლედ, მეორე ეტაპის დაწყებამდე ორად-ორი სპეციალისტი იყო დარჩენილი, ვინც თავის გუნდში ჩემპიონატის დაწყებიდან მუშაობდა: **ზურაბ ბერიძე** („ვიტ ჯორჯია“) და მალხაზ ჟვანია („მერანი“); თუმცა, მარტის დასაწყისში ბერიძესაც წასვლამ მოუწია (მის ნაცვლად „ვეტერინარების“ თავკაცად **მერაბ კოჭლაშვილი** დაინიშნა) და დღესდღეობით მხოლოდ **მალხაზ ჟვანია** დარჩა „ხელუხლებელი“! არადა, მსგავსი რამ ბოლოს როდის მოხდა, ვერც გაგვიხსენებია; უფრო ზუსტად, საქართველოს ჩემპიონატის 22-წლიან ისტორიაში არასდროს მომხდარა, როცა სეზონი სრულად მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ მწვრთნელს ჩაემთავრებინოს! ისე, ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა და ვინმემ, შესაძლოა, ისიც თქვას, რომ „მერანშიც“ ნუ გამორიცხავთ სამწვრთნელო ცვლილებასო; თუმცა, მოვლენების ასეთი განვითარების ნაკლებად კი არა, საერთოდ არ გვჯერა: მარტვილური კლუბის ხელმძღვანელობას, წესითა და რიგით, სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მალხაზ ჟვანიას მუშაობა. თანაც, ეს 36 წლის სპეციალისტი უკვე მეხუთე სეზონია „გადაბმულად“ მუშაობს მარტვილური კლუბის მთავარ მწვრთნელად და სწორედ ჟვანიას თავკაცობით შეძლო „მერანმა“ უმაღლეს ლიგაში ალზევებაც. აი, ნდობაც ამას ჰქვია და ისიც ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი ამ ნდობას ამართლებს...

## გემოვნებაზე არ დაობენ

თემურ მახარაძეს სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონატში არაერთ კლუბში უმუშავია და ვერავინ იტყვის, ტიტულები ან გამოცდილება აკლიაო; „ზესტაფონთან“ ერთად თასი მოიპოვა, რუსთავის „ოლიმპთან“ კი — ჩემპიონობა, აღარაფერს ვამბობთ მეორე-მესამე პრიზიორობასა თუ თასის ფინალისტობაზე. „დილაში“ მისვლამდე მახარაძეს დაახლოებით ერთწლიანი პაუზა ჰქონდა, და აი, შარშან, გვიან შემოდგომაზე კვლავაც დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს. თანაც, გორის „დილაში“ სეზონის დაწყებიდან ეს უკვე მესამე სამწვრთნელო გადაადგილება იყო: ჩემპიონატი ახალგაზრდა სპეციალისტმა **გია ცეცაძემ** დაიწყო, ვინც მოგვიანებით **რამაზ სოლოლაშვილმა** ჩაანაცვლა, მერე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თემურ მახარაძე მიიწვიეს. ცეცაძის ხელმძღვანელობით „დილა“ მართლაც თვალსასეირო ფეხბურთს უჩვენებდა და რამდენიმე ხმაურიანი სენსაციაც შემოგვთავაზა; ჯერ მარტო „ზესტაფონთან“ სტუმრად გამარჯვება (4:0) რად ღირდა, ან კიდევ ასევე სტუმრად თასის მერვედფინალში „დინამოსთან“ ფრე (2:2). თუმცა, 4-3-3 ტაქტიკური სქემის მოყვარულ ცეცაძეს დიდხანს მუშაობა არ დააცადეს და XI ტურის შემდეგ, „სპარტაკთან“ საშინაო მარცხის (1:2) მერე გუნდიდან გაუშვეს. „დილას“ გაძღოლა დროებით რამაზ სოლოლაშვილს დაეკისრა — ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს და მოგვიანებით უკვე მეკარეების მწვრთნელს სერიოზული გამოცდის ჩატარებამ მალე



თემურ მახარაძე ფოტო: www.fcdila.ge

მოუწია; თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრას ვგულისხმობთ, როცა „დილამ“ თავისთვის სასურველი ანგარიშით (0:0) დაამთავრა მატჩი და „დინამო“ ამ გათამაშებიდან გამოთიშა! რაც შეეხება ჩემპიონატს, სოლოლაშვილის ხელმძღვანელობით გორელებმა მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარეს — „ვიტ ჯორჯიასთან“ შინ ფრედ (1:1) ითამაშეს, „ტორპედოსთან“ სტუმრად კი დამარცხდნენ (1:2). აი, სწორედ ამის შემდეგ ჩაიბარა გუნდი თემურ მახარაძემ და უნდა ითქვას, რომ მის წინაშე დასახული ორივე ამოცანა შეასრულა: თასის მეოთხედფინალში „დილამ“ ორი მატჩის ჯამში „ბაიას“ აჯობა და რაც მთავარია, ჩემპიონატში საუკეთესო 8 გუნდში მოხვდა. ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ზამთრის პაუზის დროს „დილას“ სერიოზულზე-სერიოზული პატრონიც გამოუჩნდა, გუნდში ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებიც ჩაირიცხნენ და ასეთი ამბიციური კლუბის „ზედა რვიანში“ ვერმოხვედრა, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელიც იყო. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მწვრთნელისთვის საოცნებოა, როცა კლუბს სერიოზულ-გავლენიანი პატრონი ჰყავს, უცხოურ შეკრებასაც რომ გაივლის და გუნდშიც კვალიფიციურ ფეხბურთელებს რომ მიუყვანენ; მაგრამ, ეტყობა, ბევრს „დაავიწყდა“, რომ ახალი გუნდი ერთ და ორ თვეში არ „კეთდება“: „დილაში“ 20-მდე ახალწვეული ჩაირიცხა და ერთმანეთთან შეუთამაშებლობის პრობლემა გორელთა გუნდის თითქმის ყველა მატჩში ცხადად ჩანდა. მახარაძის ხელმძღვანელობით „დილამ“ ჩემპიონატში 12 მატჩი ჩაატარა: 4 მოიგო, 5 ფრედ ითამაშა და 3 წააგო (ბურთების სხვაობა — 13-6). განსაკუთრებით არადამაჯერებელი იყო „დილას“ ასპარეზობა „ზედა რვიანში“: სამი მატჩიდან ერთი წააგო და ორი ფრედ ითამაშა; თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრისთვის მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო: ამ სეზონში „დილას“ პრიორიტეტი ხომ თასზე წარმატებული ასპარეზობა იყო; მით უფრო, რომ გორელთა გუნდს კენჭისყრაზეც გაუმართლა და ნახევარფინალში „ზესტაფონსა“ და „მეტალურგს“ „აცდა“...

## შეხვედრა წარსულთან

XXIII ჩემპიონატს ვატარებთ და მხოლოდ ოთხი შემთხვევა იყო, გორის „დილას“ უმაღლეს ლიგაში რომ არ უასპარეზია (2000-01 წლების სეზონში და 2008-11 წლებში); ანუ, გუნდი ამჟამად XIX სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში და ამაზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოს“ აქვს, ანალოგიური - ფოთის „კოლხეთს“). თუმცა, „დილას“ არასდროს ჰქონია პრეტენზია საპრიზო ადგილებისათვის და საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილზე გასვლაა (2003-04 წლების სეზონში); უფრო ზუსტად, **ზურაბ ხორგუაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დილამ“ ჩემპიონატი VI ადგილზე დაამთავრა, მაგრამ „სიონს“ ყველა ქულა რომ ჩამოერთვა, ამის გამო საბოლოო ცხრილიც შეიცვალა. ბევრად უკეთესი შედეგი აქვთ გორელებს საქართველოს თასზე: წლევანდელი სეზონის ჩათვლით „დილა“ მესამედ არის ნახევარფინალში გასული.

ამ სეზონში გუნდს... მეოთხე ახალი მწვრთნელი ეყოლება, თუმცა ასეთი მაგალითები „დილაში“ ადრეც ყოფილა, როცა სეზონის განმავლობაში გუნდში სამი-ოთხი სამწვრთნელო გადაადგილებაც მომხდარა. საპირისპირო სიტუაციაც არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ერთსა და იმავე მწვრთნელს სეზონის სრულად ჩატარების საშუალება ჰქონდა: **მერაბ კოჭლაშვილს, რობერტ ამბრიაშვილს, დავით შავდათუაშვილს, ივანე თაყაძეს** (ორჯერ) და უკვე ნახსენებ **ზურაბ ხორგუაშვილს.**

...„დილას“ ახალ თავკაცს, 44 წლის **თემურ შალამბერიძეს** დღემდე არც უმაღლეს და არც პირველ ლიგაში არ უმუშავია; სამაგიეროდ, ბავშვთა ფეხბურთში ერთობ წარმატებულ სპეციალისტად მიიჩნევენ. თემურ შალამბერიძეს როგორც ოსტატთა გუნდის მწვრთნელს თუ არ იცნობენ, სამაგიეროდ ბევრს ემახსოვრება მისი საფეხბურთო კარიერა; თბილისის „შევარდენის“, ხაშურის „ივერიას“, გურჯაანის „ალაზანისა“ და თელავის „კახეთის“ შემადგენლობაში ეროვნულ ჩემპიონატში 180-მდე მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა (1990-1997 წლებში). სხვათა შორის, შალამბერიძეს გორთან ადრეც ჰქონია „გარკვეული ურთიერთობა“: 1988 წელს, როცა „დილა“ საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობდა, სწორედ ამ გუნდში თამაშობდა.

**გია ტუხაშვილი**

● პრემიერლიგა. XXX ტური. შეჯამება

# მანჩინი და გამოცხადება

**პრემიერლიგაში** ზუსტად ის დროა დგება, როცა კლუბებმა გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული გაწეული შრომის შედეგი უნდა მიიღონ. ამ დროს "ჩელსის" თავკაცი პესიმიზმს შეუპყრია და იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელებს შეუძახოს, ამბობს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი მიზერულიაო. ჰარი რედნაპი პირიქით, ამბობს, "არსენალის" გადასწრება და ლიგაში პირდაპირ მოხვედრა ჯერ კიდევ შეგვიძლიაო. აი, ტურის ყველაზე უბედურის ტიტულის მქონე კენი დალგლიში კი ამბობს, რალა დროს ლამაზი ფეხბურთია, შედეგზე უნდა ვითამაშოთო. ჩვენი მხრივ კი იმას ვიტყვით, მისტერ კენ, რალა დროს ამის მიხვედრა იყო?


რობერტო მანჩინიმ დრო იხელთა და ბოსნიას ესტუმრა

## 1. თავგზააბნეული წითელი არმია

არა, ძალიან უცნაურია... "ლივერპული" ემსგავსება გემს, რომელმაც არ იცის რა უნდა მის კაპიტანს. პრინციპში, არა, **კენი დალგლიში** მიხვდა, რომ მისგან გულშემატკივარი ლამაზი კომბინაციების გარდა შედეგსაც ითხოვს. "წითლებს" წელს ცუდად ბევრჯერ უთამაშიათ, მაგრამ ეს მართლა პიკი იყო. "ენფილდზე" შეკრებილმა 44 500-მდე მაყურებელმა მიმდინარე სეზონში ყველაზე უსუსური გუნდი იხილა. ძალიან ძნელია იმის ახსნა, თასზე ბრწყინვალედ მოასპარეზე "ლივერპული" რანაირად ახერხებს ჩემპიონატის ასე ჩაგდებას. და რა მოხდებოდა გუნდს ევროთასებზეც რომ ჰქონოდა სათამაშო და ძალების გადასროლა იქითაც დასჭირვებოდა? იმედია, "მეფის შეგირდებს" საქმე გავარდნამდე არ დაუდგებოდათ.

რა შეიძლება ითქვას "უიგანზე"? "ენფილდზე" მოგება მისთვის მიღწევა იყო. აქამდე, პროვინციულ კლუბს ამ არენაზე თამაშის პატივი ისტორიაში 6-ჯერ ჰქონია, საიდანაც 4 წააგო და 2-ჯერ ფრედ ითამაშა. თუმცა ფეხბურთის ხიბლი სწორედ ის არის, რომ მოულოდნელობები უფრო ხშირად ხდება, ვიდრე სპორტის სხვა სახეობებში. ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზი საფეხბურთო სამყაროს **რობერტო მარტინესის** გუნდმა შესთავაზა.

## 2. მანჩინი და მისი სისუსტეები

ადრეც დავწერეთ, "მანჩესტერ სიტის" სეზონის მიწურულს ნერვები ღალატობს-თქო და ამის მაგალითად **მარიო ბალოტელისა** და **იაია ტურეს** შორის მომხდარი ჩხუბი დავასახელეთ. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეგრე არ წვიმს, როგორც ქუხსო, ასე გამოუვიდა **რობერტო მანჩინის**, მაგრამ როგორ ავხსნათ თავად იტალიელის საქციელი, ვინც "სტოკ სიტისთან" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა? ალბათ ისევ და ისევ ნერვების თამაშით. ჰოდა იტალიელმა განტვირთვა გადაწყვიტა. ადგა ორშაბათს და ბოსნიაში გაფრინდა, სადაც მეჯდუგორიეს ეკლესიაში წირვას დაესწრო. გადმოცემით აქ 1981 წლის ივნისში პატარა ბავშვებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა.

არადა, როგორ ცდილობდა მთელი კვირა "ქალაქელთა" ბანაკი "იუნაიტედი" თამაშში ჩაეთრია. **პატრიკ ვიეირამ** აქაოდა რალა დროს **პოლ სქოულზის** ფეხბურთია, ეგ "იუნაიტედის" სისუსტის ბრალიაო. ვის სად აქვს "აქილევსის ქუსლი", ამის საბოლოოდ გარკვევას კიდევ 8 ტური სჭირდება. იქამდე კი ჩვენ მხოლოდ ტენდენციებზე შეგვეძლება ლაპარაკი.

**ჩელსი–ტოტენჰემი 0:0**

**საუკეთესო:** ხუან მატა (ჩელსი)

**არსენალი–ასტონ ვილა 3:0**

**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

**ბოლტონი–ბლექბერნი 2:1**

**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**ლივერპული–უიგანი 1:2**

**საუკეთესო:** შონ მელონი (უიგანი)

**ნორვიჩი–ვულვერჰემპტონი 2:1**

**საუკეთესო:** სტივენ ფლეტჩერი (ვულვერჰემპტონი)

**სანდერლენდი–ქუინზ პარკი 3:1**

**საუკეთესო:** სოტირიოს კირიაკოსი (სანდერლენდი)

**სუონსი–ევერტონი 0:2**

**საუკეთესო:** მიხელ ვორმი (სუონსი)

**სტოკ სიტი–მანჩესტერ სიტი 1:1**

**საუკეთესო:** ჯონათან უოლტერსი (სტოკ სიტი)

**ვესტ ბრომვიჩი–ნიუკასლი 1:3**

**საუკეთესო:** პაპის სისე (ნიუკასლი)

**მანჩესტერ იუნ.–ფულჰემი 1:0**

**საუკეთესო:** კლინტ დემპსი (ფულჰემი)

**სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA სპორტს-ის მიხედვით:**
1. რობინ ვან პერსი (არსენალი) - 699 ქულა
2. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 663
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 537
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 526
5. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) – 487

| ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის |
| --- |
| 299 მატჩი |
| 227 მოგება |
| 72 ფრე |
| 156 მშრალად შენახული კარი |
| 833 გოლი |
| 4 359 ზუსტი დარტყმა კარში |
| 3 379 აცილება |
| 524 ფეხბურთელი |
| 68 ეროვნების მოთამაშე |
| 16 ჰეთ თრიკი |
| 942 ყვითელი ბარათი |
| 54 წითელი ბარათი |
| 10 317 471 ფანი ტრიბუნებზე |

**ტურის გმირი**

**პიტერ კრაუჩი (სტოკ სიტი)**

30-ე ტურში **პიტერ კრაუჩის** გოლი მართლა ისტორიული იყო. შეიძლება გადაჭარბებაა, მაგრამ სტაჟიანი ქომაგი შეიძლება დაგვეთანხმოს კიდეც - ის რაღაცით ნამდვილად ჰგავდა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში **მარკო ვან ბასტენის** გოლს.

**ტურის მწვრთნელი**

**რობერტო მარტინესი (უიგანი)**

**რობერტო მარტინესი** პრემიერლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია. მისი გუნდისგან "ენფილდზე" 3 ქულის აღება ნამდვილად მოულოდნელი იყო და ვფიქრობთ, ამისთვის ის ალალად იმსახურებს 30-ე ტურის მწვრთნელის ტიტულს.

**ტურის ნაკრები**

**ალ ჰაბსი** (უიგანი) – **სანია** (არსენალი), **უიტერი** (ბოლტონი), **ევანსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ბეინსი** (ევერტონი) – **უოლკოტი** (არსენალი), **პიენაარი** (ევერტონი), **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი), **ბენ არფა** (ნიუკასლი) – **კრაუჩი** (სტოკ სიტი), **სისე** (ნიუკასლი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. იუნაიტედი | 30 | 23 | 4 | 3 | 74-27 | 73 |
| 2. სიტი | 30 | 22 | 4 | 4 | 72-22 | 70 |
| 3. არსენალი | 30 | 18 | 4 | 8 | 61-39 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 30 | 16 | 7 | 7 | 53-35 | 55 |
| 5. ჩელსი | 30 | 14 | 8 | 8 | 49-34 | 50 |
| 6. ნიუკასლი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-42 | 50 |
| 7. ლივერპული | 30 | 11 | 9 | 10 | 36-31 | 42 |
| 8. სანდერლენდი | 30 | 11 | 7 | 12 | 39-34 | 40 |
| 9. ევერტონი | 30 | 11 | 7 | 12 | 30-32 | 40 |
| 10. სუონსი | 30 | 10 | 9 | 11 | 34-36 | 39 |
| 11. ნორვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 41-47 | 39 |
| 12. სტოკ სიტი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-41 | 38 |
| 13. ფულჰემი | 30 | 9 | 9 | 12 | 37-41 | 36 |
| 14. ვესტ ბრომვ. | 30 | 10 | 6 | 14 | 36-41 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 29 | 7 | 12 | 10 | 31-38 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 30 | 7 | 7 | 16 | 43-62 | 28 |
| 17. ბოლტონი | 29 | 8 | 2 | 19 | 33-58 | 26 |
| 18. ქუინზ პარკი | 30 | 6 | 7 | 17 | 33-53 | 25 |
| 19. უიგანი | 30 | 5 | 10 | 15 | 27-55 | 25 |
| 20. ვულვზი | 30 | 5 | 7 | 18 | 31-65 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 21 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი) 13 - ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი); 12 – კლინტ დემპსი (ფულჰემი); 11 – ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), მარიო ბალოტელი (მანჩესტერ სიტი)

**ასისტენტები:** 12 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 - ხუან მატა (ჩელსი); 9 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 8 - რაიან გიგზი, ლუიშ ნანი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი); ტეო უოლკოტი, ალექს სონგი (ორივე არსენალი), გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

**მომდევნო ტური**

31 მარტი: ასტონ ვილა-ჩელსი, ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი, ფულჰემი-ნორვიჩი, მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი, ქუინზ პარკი-არსენალი, უიგანი-სტოკ სიტი, ვულვზი-ბოლტონი

1 აპრილი: ნიუკასლი-ლივერპული, ტოტენჰემი-სუონსი

2 აპრილი: ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტური

# გმირები და ანტიგმირები თეატრის სცენაზე

## თამაშის მიმდინარეობა

"იუნაიტედს" "ფულჰემთან" მთელი თამაში სერიოზული უპირატესობა ეპყრა ხელთ და თუკი ამას გავითვალისწინებთ, მატჩის შედეგი ლოგიკურად მოგვეჩვენება. "ეშმაკებმა" გოლი დაცვის ელემენტარული შეცდომის წყალობით შეაგდეს. თუმცა იყო ეპიზოდი, რომელსაც შეეძლო მათი გარჯა ერთი ხელის მოსმით წყალში გადაეყარა. 89-ე წუთზე არბიტრმა **მაიკლ ოლივერმა დავიდ დე ხეას** კარში წარმოუდგენელი პენალტი არ დანიშნა. შედეგი დაფიქსირებულია. "იუნაიტედმა" თანაქალაქელ "სიტის" ცხრილში 3 ქულით გაასწრო. წინა შეხვედრისგან განსხვავებით (ვულვზი 5:0), **ალექს ფერგიუსონმა** ძირითადში 2 ფეხბურთელი შეცვალა - **პოლ სქოულზისა** და **ხავიერ ერნანდესის** ნაცვლად **რაიან გიგზი** და **ეშლი იანგი** დააყენა. "სუონსისთან" განადგურების შემდეგ (0:3) კი **მარტინ იოლმა** სასტარტოში 3 ფეხბურთელი გამოცვალა. მხოლოდ სკამზე მოინახა ადგილი **ფილიპ სენდეროსისთვის**. შვეიცარიელმა უელსელებთან მართლა კოშმარულად ითამაშა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ლონდონელები ვერაფრით ახერხებდნენ ბურთის შენარჩუნებას. პირველი მომენტი მე-11 წუთზე შეიქმნა. შანსი გიგზმა გაუშვა ხელიდან, **პატრის ევრას** ჩაწოდების შემდეგ უელსელის თავური **მარკ შვარცერმა** იოლად აილო. სტუმრები კარგა ხანს უძლებდნენ შტურმს, მერე კი გაუბედავად, მაგრამ მაინც გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და დე ხეას მზადყოფნა შეამოწმეს. თავის გამოჩენა შეეძლოთ **მუსა დემბელესა** და **კლინტ დემპსის**. თავის მხრივ არც "ეშმაკები" აკლებდნენ ხელს. ძალიან აქტიურები იყვნენ რუნი, **ვალენსია** და **უელბეკი**. გოლამდე წუთით ადრე ანგარიშის გახსნა მასპინძლებს ჯერ ვალენსიას ჩაწოდების შემდეგ შეეძლოთ, მაგრამ ბურთს ფეხი ვერავინ დაუხვედრა, მერე კიდევ ევრა ეძებდა თავის შანსს, მაგრამ მისი დარტყმა **სტივენ კელიმ** დაბლოკა და კუთხურზე მოიგერია. იანგის კუთხურის შემდეგ **აარონ ჰიუზმა** და **იონ არნე რიისემ** ვერ შეძლეს ბურთის საჯარიმოდან გამოტანა და ის **ჯონი ევანსს** მიუვიდა. ჩრდილოირლანდიელმა იქვე მყოფ რუნის დაუგორა. თავდამსხმელი ახლო მანძილიდან ზუსტი იყო – 1:0.

მეორე ტაიმი ვალენსიას მომენტით გაიხსნა, თუმცა ორი მცველის პრესინგში მოხვედრილმა ეკვადორელმა შვარცერს სერიოზული პრობლემები ველარ შეუქმნა. 53-ე წუთზე იანგის კონტრშეტევა მისივე დარტყმით სრულდება შორეულ კუთხეში, მაგრამ ვეტერანი ავსტრალიელი მეკარე ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზეა. ამის მერე თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა და ლამის 20 წუთის განმავლობაში საინტერესო არაფერი მომხდარა. 75-ე წუთზე შვარცერმა კიდევ ერთხელ ითამაშა ზლაპრულად. მან ჯერ იანგს აუღო ძლიერი დარტყმა, მერე ვალენსიას დამატებულიც მოიგერია, გიგზის წინააღმდეგ ის უძლური იქნებოდა, მაგრამ ამჯერად მეკარეს მცველებიც მიეშველნენ და ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანეს. 89-ე წუთზე კი მოხდა ის, რაზეც ზემოთ


იუნაიტედი-ფულჰემი

მოგახსენეთ. **მაიკლ კერიკმა** შეცვლაზე შესული **დენი მერფის** წინააღმდეგ საჯარიმოში წესები დაარღვია, მაგრამ მსაჯმა რატომღაც ასე არ მიიჩნია.

**მატჩის შემდეგ**

**ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *"ამიერიდან ყველა თამაში გამოცდაა. დღეს იმისი გაკვეთილი მივიღეთ "ფულჰემთან", თუ რა სცენარით წარიმართება ჩვენი თამაშები. გუნდების უმრავლესობა ბოლომდე იბრძოლებს მიზნის მისაღწევად და კრავივით არავინ მოგვიშვერს კისერს მოსაჭრელად. დღევანდელი მეტოქე გამოცდილი იყო მსგავს ბრძოლებში. მათი წინააღმდეგობის დასაძლევად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. როცა გუნდი 11 კაცით იცავს კარებს, არ აქვს მნიშვნელობა, 11 ფეხბურთელია თუ სანტექნიკოსი, ასეთი დაცვის გარღვევა ძალიან ძნელია. არაერთი საგოლე შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და თამაშის ბოლოს ამის გამო კინაღამ დავისაჯეთ.*

*ბოლო წუთზე კერიკისა და მერფის შეჯახების ეპიზოდში სტუმართა გულშემატკივრები პენალტს ითხოვდნენ. მათ ნამდვილად ჰქონდათ ამის საფუძველი, მაგრამ მეორე ტაიმში ევრას ჩაწოდების შემდეგ ჩვენც შეგვეძლო პენალტი მოგვეთხოვა, როცა ჰიუზმა ხელით ითამაშა. მაიკლ ოლივერს ალბათ ეს ეპიზოდი გაახსენდა და ამიტომ შეიკავა თავი. ვფიქრობ, ჩემი გუნდი იმსახურებდა ამას, რადგან 90 წუთის განმავლობაში ვდომინირებდით მოედანზე. განსაკუთრებით კი ბოლო 15 წუთში. ბიჭები კარგად ახერხებდნენ ბურთის გათამაშებას და მუდმივად კარზე იყვნენ დაგეშილები. "ფულჰემს" გარჯას ვუწონებ. გუნდმა დაცვითი ტაქტიკა აირჩია და ამოცანას დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა".*

**მარტინ იოლი** (ფულჰემი): "სტადიონზე მყოფთაგან ვერავინ იტყვის, რომ დენი მერფი სიმულანტობდა. ყველა იმას ელოდა, რომ პენალტი უნდა დანიშნულიყო. მაიკლ ოლივერმა ყველაფერი მშვენივრად დაინახა, მაგრამ მას უბრალოდ გამბედაობა არ ეყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად. არადა, პენალტთან ერთად მას კერიკიც უნდა გაეძევებინა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● სერია A XXIX ტურის შეჯამება

# დიდი დერბის გამოძახილი და ისევ იბრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზლატან იბრაჰიმოვიჩის საგოლე თავური

**ქვემოთ, სერია A-ს მორიგი ტურის სიმბოლურ ნაკრებზე, გმირზე, ციფრებსა და ფაქტებზე გვექნება საუბარი - ამასთან, ყველაზე აქტუალურ თემას გამოვეხმაურებით, რომელიც "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კლაუდიო რანიერის გათავისუფლებას შეეხება. დიდ იტალიურ დერბიზე, უფრო სწორად კი უშუალოდ თამაშზე, ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან უკვე ისედაც ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა; დანარჩენს ქვემოთ გაეცნობით...**

## მორატის აღარ დაეჯერება და არა მარტო მორატის...

საფეხბურთო კლუბების მესვეურებს რომ ბევრი არაფერში დაეჯერებათ, დიდი ხანია ვიცით და თუ თქვენ ჯერ კიდევ ნდობით ხართ მათ მიმართ განწყობილნი, შეგიძლიათ **მასიმო მორატის** მიერ დაახლოებით ერთი კვირის წინ გაკეთებულ კომენტარს გადახედოთ:

*„კლაუდიო რანიერის მშვიდად შეუძლია ყოფნა, რადგან მის სკამს არაფერი ემუქრება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არსებულ კრიზისში კლაუდიოს ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი და შესაბამისად, მისი გაშვების აზრს უბრალოდ ვერ ვხედავ. წინ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის „იუვენტუსთან" და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სამი ქულა მოვიპოვოთ. „ბიანკონერის" დამარცხება შესაძლოა გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით. პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს".*

აი, ასეთი კომენტარი გააკეთა "ინტერის" პრეზიდენტმა, სულ რამდენიმე დღეში კი რანიერი პოსტიდან გაათავისუფლა და გუნდი დროებით **ანდრეა სტრამაჩიონის** ჩააბარა. ეს უკანასკნელი აქამდე "ინტერის" პრიმავერას მწვრთნელი იყო და ალბათ, სეზონის ბოლომდე იმუშავებს მთავარი გუნდის თავკაცად. მორატის კი ნამდვილად აღარ დაეჯერება და არა მარტო მორატის...

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) – **დიაკიტე** (ლაციო), **რაიმონდი** (ატალანტა), **ბონერა** (მილანი) – **კასერესი** (იუვენტუსი), **მარტინიო** (ჩეზენა), **ბარეტო** (პალერმო), **ვიდალი** (იუვენტუსი), **ვარგასი** (ფიორენტინა) – **პანდევი** (ნაპოლი), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი).

გასულ ტურში, ფორვარდებმა ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი და ამად არის, რომ სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელია: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი.** შვედს **გორან პანდევი** შევუწყვილეთ, რომელსაც უფრო უკნიდან უყვარს თამაში და ხანდახან, გარემარბადაც გვევლინება. პანდევმა შესანიშნავად ითამაშა "კატანიასთან" პაექრობაში და ის, რომ ნეაპოლელებმა ორი ქულა დაკარგეს, მაკედონიელის ბრალი ნაკლებად არის.

რაც შეეხება იბრას, მან მორიგი შოუ დადგა და "მილანის" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ნახევარმცველებს შორის **არტურო ვიდალის** გამორჩევა შეიძლება, რომელიც ბრწყინვალე იყო "ინტერთან' პაექრობაში და თავი ყველა მხრივ საუკეთესოდ წარმოაჩინა; მეტოქის არაერთი იერიში ჩაშალა და **ალესანდრო დელ პიეროს** საოცარი საგოლე პასი მისცა. აქვეა კიდევ ერთი "იუვენტინო", **მარტინ კასერესი,** რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში დიდ იტალიურ დერბიში.

მცველებიდან **დიაკიტე** გამოვყოთ, რომელმაც 88-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა და "ლაციოს" "კალიარისთან" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოაპოვებინა. კარში განუმეორებელი **ჯანლუიჯი ბუფონი** დგას, რომელმაც "ინტერთან" პაექრობაში არაერთხელ გაიბრწყინა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა.



დელიო როსიმ ერთკვირიანი შვებულება ითხოვა

### ტურის გმირი

უკვე მერამდენედ, ტურის გმირად ზლატან იბრაჰიმოვიჩი უნდა შევრაცხოთ. შვედი ფენომენალურად ატარებს მიმდინარე სეზონს და ამაზე სტატისტიკური მონაცემები ნათლად მეტყველებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზლატანს უკვე 22 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. გასულ ტურში, "მილანმა" "რომა" დაამარცხა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდწილად ეს იბრაჰიმოვიჩის დამსახურებაა. ბალკანური წარმოშობის სკანდინაველმა ჯერ თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი პატარა საფეხბურთო სპექტაკლი დადგა და ლომბარდიულ გრანდს მორიგი სამი ქულა მოუტანა... სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც 83-ე წუთზე მოხდა – იბრამ **მარტენ სტეკელენბურგს** ბურთი თავზე გადაუგდო და შემდეგ, მცველთან ჭიდილში თავური დარტყმით კარში მოათავსა.

მატჩის შემდეგ, ზლატანი ემოციებს ვერ მალავდა: *"მე ისევ იბრაკადაბრა ვარ, რაც პირველ რიგში ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. ასეთ თამაშებში ადრენალინს დიდი დოზით გამოვყოფ და ბოლომდე ვიხარჯები, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მთავარი არაა ვინ გაიტანა გოლები, მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ და ისევ დამაჯერებლად ვლიდერობთ სატურნირო ცხრილში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის საუკეთესო სეზონი ჩემს კარიერაში და იმედია, საუკეთესოდვე დაგვირგვინდება".*

### ტურის ფრაზა

**დელიო როსი (ფიორენტინას მთავარი მწვრთნელი):** *„ფაქტია, რომ რაღაც ისე ვერ არის, როგორც ჩვენ გვინდა და ამაში მთავარი დამნაშავე მე ვარ. ბევრ რამეზე უნდა დავფიქრდე და დასკვნები გამოვიტანო, ამიტომ, კლუბის მესვეურებს ერთი კვირა შვებულება ვთხოვე, ეს დრო კი ყველაფერის გასააზრებლად საკმარისი იქნება".*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ფიორენტინა-იუვენტუსი 0:5 (XXVIII ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** ნაპოლი-კალიარი 6:3 (XXVII).

### სერიები

მოგება: მილანი - 4 თამაში

წაგება: რომა, ბოლონია, კალიარი, ინტერი - 1

წაუგებლად: იუვენტუსი - 29

მოუგებლად: ჩეზენა - 8

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 59 გოლი - მილანი; 54 - ნაპოლი; 46 – იუვენტუსი.

საუკეთესო დაცვა: 17 გაშვებული - იუვენტუსი; 23 – მილანი; 27 – უდინეზე.

უარესი თავდასხმა: 18 გოლი - ჩეზენა; 24 – ნოვარა; 25 - კიევო.

უარესი დაცვა: 51 გაშვებული - ჯენოა, 47 - ჩეზენა; 46 – პალერმო, პარმა, ნოვარა.

ზუსტი გადაცემები: 15693 - იუვენტუსი; 15656 – მილანი; 15252 - რომა.

კარის მიმართულებით დარტყმები: 536 - იუვენტუსი; 458 – რომა, მილანი; 449 – ინტერი.

კარში დარტმები: 189 - იუვენტუსი; 173 - მილანი; 148 - ნაპოლი.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 22 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 15 - ხერმან დენისი (ატალანტა), როდრიგო პალასიო (ჯენოა); 14 - დიეგო მილიტო (ინტერი); 13 – მიროსლავ კლოზე (ლაციო); 12- სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

**ასისტენტები:** 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 10 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 8 - პაბლო არმერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), რობინიო (მილანი), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), ჯიბრილ სისე (ლაციო); 5 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა).



მასიმო მორატიმ ერთი თქვა და მეორე გააკეთა

**ზუსტი პასები:** 2321 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1912 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1744 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1650 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1626 – ფრანჩესკო ლოდი (კატანია); 1624 - დანიელე დე როსი (რომა); 1618 - ტიაგო სილვა (მილანი).

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 125 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 101 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 100 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 95 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 94 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 91 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

**კარში დარტყმები:** 54 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 47 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 41 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 37 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 36 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 34 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 33 - ხერმან დენისი (ატალანტა); 30 – მიროსლავ კლოზე (ლაციო).

**ჯარიმები:** 69 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 67 - მატია დესტრო (სიენა); 66 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო), ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 64 - გაბი მუდინგაი (ბოლონია); 59 - ხუან კუადრადო (ლეჩე), გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე).

### ციფრები და ფაქტები

"ინტერს" "იუვენტუსისთვის" გასვლითი მატჩი 2005 წლის შემდეგ არ მოუგია;

■ ■ ■

**"იუვენტუსმა" საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა, გუნდის ანგარიშზე 30 წაუგებელი მატჩია;**

■ ■ ■

ალესანდრო დელ პიერომ პირველი გოლი გაიტანა მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

**სიმონე პეპემ და ჯორჯო კიელინიმ მე-200 მატჩები ჩაატარეს სერია A-ში;**

■ ■ ■

დანიელე დე როსის გოლმა "მილანის" 321-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

**თუ ზლატან იბრაჰიმოვიჩი გოლს იტანს, "მილანი" არ აგებს და ასეთ მატჩთა რიხვმა უკვე 31-ს მიაღწია;**

■ ■ ■

"ლაციოს" 13 ტურია ფრედ არ დაუსრულებია შეხვედრა;

■ ■ ■

**"ლაციოს" თავდამსხმელმა ტომაზო როკიმ მე-300 მატჩი ჩაატარა სერია A-ში;**

■ ■ ■

"კალიარის" გასვლითი მატჩი გასული წლის 4 დეკემბრის შემდეგ არ მოუგია;

■ ■ ■

**"ნაპოლის" წაუგებელი მატჩების სერიამ 9-ს მიაღწია;**

■ ■ ■

"კატანიამ" ისტორიაში პირველად ითამაშა ფრედ ნეაპოლში;

■ ■ ■

**"ნაპოლის" ნახევარმცველმა ბლერიმ ჯემაილმა მეასე მატჩი ჩაატარა სერია A-ში და მე-4 გოლი გაიტანა;**

■ ■ ■

ფაბრიციო მიკოლიმ 62-ე გოლი გაიტანა "პალერმოს" შემადგენლობაში და ამ მაჩვენებლით გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს კარლო რადიჩეს გაუთანაბრდა;

■ ■ ■

**მანოლო გაბიადინიმ "ატალანტადან" და ფრანჩესკო აჩერბიმ "კიევოდან" პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;**

■ ■ ■

"ნოვარას" 3 მატჩია არ წაუგია და 277 წუთია გოლი არ გაუშვია;

| Team | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 29 | 19 | 6 | 4 | 59-23 | 63 |
| 2. იუვენტუსი | 29 | 15 | 14 | 0 | 46-17 | 59 |
| 3. ლაციო | 29 | 15 | 6 | 8 | 43-34 | 51 |
| 4. ნაპოლი | 29 | 12 | 12 | 5 | 54-32 | 48 |
| 5. უდინეზე | 29 | 13 | 9 | 7 | 40-27 | 48 |
| 6. რომა | 29 | 13 | 5 | 11 | 42-35 | 44 |
| 7. კატანია | 29 | 10 | 12 | 7 | 38-37 | 42 |
| 8. ინტერი | 29 | 12 | 5 | 12 | 38-38 | 41 |
| 9. ატალანტა | 29 | 10 | 13 | 6 | 33-29 | 37 |
| 10. პალერმო | 29 | 10 | 6 | 13 | 41-46 | 36 |
| 11. კიევო | 29 | 9 | 9 | 11 | 25-36 | 36 |
| 12. ბოლონია | 29 | 9 | 9 | 11 | 31-35 | 36 |
| 13. კალიარი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-36 | 34 |
| 14. ჯენოა | 29 | 9 | 7 | 13 | 37-51 | 34 |
| 15. ფიორენტინა | 29 | 8 | 9 | 12 | 29-35 | 33 |
| 16. სიენა | 29 | 8 | 9 | 12 | 33-31 | 33 |
| 17. პარმა | 29 | 7 | 11 | 11 | 35-46 | 32 |
| 18. ლეჩე | 29 | 6 | 9 | 14 | 31-45 | 27 |
| 19. ნოვარა | 29 | 5 | 9 | 15 | 24-46 | 24 |
| 20. ჩეზენა | 29 | 4 | 6 | 19 | 18-47 | 18 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

**31 მარტი:** კატანია-მილანი, პარმა-ლაციო.

**1 აპრილი:** რომა-ნოვარა, კალიარი-ატალანტა, ლეჩე-ჩეზენა, ფიორენტინა-კიევო, ინტერი-ჯენოა, ბოლონია-პალერმო, სიენა-უდინეზე, იუვენტუსი-ნაპოლი.

გვერდი მოამზადა

**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდები



# მესი: ძრწოდეთ რეკორდებო!

## ვან ნისტელროი აქვეა, რაული - შორს, მუნდიალი - აქილევსის ქუსლი



**გასული კვირის განმავლობაში ლიონელ მესიმ რამდენიმე რეკორდი დაამხო: ის კლუბის ისტორიაში მთავარი მეგოლე გახდა (ოფიციალურ მატჩებში), „ბარსას“ მაისურით ლა ლიგის სეზონის რეკორდი მოხსნა და გუნდში ყველაზე მეტკეპიანი ლეგიონერიც შეიქნა. თითქოს, ყველა მწვერვალს არგენტინელმა ჯადოქარმა უკვე მიაღწია, თანაც 24 წლის ასაკში! ნუთუ, კიდევ დარჩა დასაპყრობი მწვერვალები? რა თქმა უნდა, დარჩა - თუნდაც, რაულის 71 გოლი ავილოთ ჩემპიონთა ლიგაში, ან კრიშტიანო რონალდოს 6 ჰეთ თრიკი ლა ლიგის სეზონში, პელეს ათას გოლზე მეტს (1281 ზუსტი რიცხვია) რას დაუწუნებთ?**

**ქვემოთ იმ რეკორდებს ჩამოვთვლით, რომლებიც მესიმ შესაძლოა ახლო თუ შორეულ მომავალში დაამხოს...**

### უახლოესი სამიზნე(ები)

უახლოეს კვირებში ლეოს შეუძლია კიდევ ორი რეკორდი დაამხოს. მას 3 გოლიღა აშორებს, რომ გახდეს „ბარსელონას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი არაოფიციალური თამაშების ჩათვლით ერთ სეზონში. რეკორდი კლუბის ძველ ლეგენდას, მე-19 საუკუნეში დაბადებულ **კლემენტე გრასიას** ეკუთვნის - 59 გოლი სეზონში. გრასიას მიღწევა 90 წლისაა (1921/22 წლების სეზონში). ლეოს ანგარიშზე ახლა 57 გოლია (ოფიციალურებს წინასასეზონო შეკრებაზე გატანილი 2 ბურთი ემატება). კიდევ ორი გოლი და მესი გრასიას გაუთანაბრდება, მესამეთი კი მის რეკორდს დაამხობს.

2010/11 წლების სეზონში კრიშტიანო რონალდომ ლა ლიგაში 6 ჰეთ თრიკი შეასრულა. ამ სეზონში მესის ანგარიშზე (ლა ლიგაში) 5 ჰეთ თრიკია. პირველივე ჰეთ თრიკით ჩემპიონატში ლეო რონის რეკორდს გაუთანაბრდება, ხოლო თუ მე-7 ჰეთ თრიკსაც შეასრულებს, ლა ლიგის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი ექნება ერთი სეზონის მიხედვით.

ლა ლიგის ისტორიაში სეზონში ყველაზე მეტი გოლი კრიშტიანო რონალდომ (შარშან) გაიტანა - 40. მესის 5 გოლი აშორებს მიღწევამდე, ისევე როგორც თავად რონალდოს.

### ვან ნისტელროის ჩამოსატოვებლად

„ბარსელონას“ რთული მეტოქე ერგო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში - „მილანი“. მაგრამ საკმარისია, მესიმ ერთი გოლიც გაიტანოს და ის ლიგის სეზონის რეკორდს მოხსნის, რომელიც **რუუდ ვან ნისტელროის** ეკუთვნის.

რა თქმა უნდა, მესის ჯერ კიდევ ბევრი უკლია რაულის ლეგენდარულ მიღწევამდე - ის 22 გოლით ჩამორჩება „შალკეს“ ესპანელ ლეგიონერს, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ის მხოლოდ 24 წლისაა და კარიერის დიდი ნაწილი წინ აქვს. ამ ტემპით მესი რაულს 2 სეზონში დაეწევა.

### სანაკრებო ასპარეზი - ასათვისებელი ყამირი

თქმა არ უნდა, როცა ლეოს სანაკრებო მიღწევებზე ვლაპარაკობთ, ჯადოქრული ციფრები სადღაც ქრება - წარმოიდგინეთ, ლეოს ანგარიშზე მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე სულ 1 (!) გოლია. შორია არგენტინის ნაკრების საუკეთესო მეგოლეობამდეც, **გაბრიელ ბატისტუტას** 56 გოლი აქვს, მესის კი მხოლოდ - 22.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ინდ. ჯილდო | | |
|---|---|---|
| ოქროს ბურთი | კრუიფი, პლატინი, ვან ბასტენი (3) | 3 |

| ბარსელონა | რეკორდი | მესი |
|---|---|---|
| თამაში | ჩავი (616) | 315 |
| გოლი ლა ლიგაში | სესარი (192) | 154 |
| გოლი (ამხ. ჩათვ.) | პაულინიო ალკანტარა (369) | 246 |
| გოლი სეზ. (ამხ. ჩ.) | კლემენტე გრასია (59) | 57 |
| გოლი თამაშში | ჟოან გამპარი (9) | 5 |
| ჩემპიონის ტიტ. | ჩავი, გვარდიოლა, სამიტიერი (6) | 5 |

| ლა ლიგა | | |
|---|---|---|
| თამაში | სუბისარეტა (622) | 205 |
| ჩემპიონის ტიტული | ხენტო (12) | 5 |
| გოლი ლა ლიგაში | ტელმო ზარა (252) | 154 |
| გოლი სეზონში | რონალდო (40) | 35 |
| გოლი ლა ლიგის მატჩში | კუბალა, ბატა (7) | 4 |
| ჰეთ თრიკი სეზონში | რონალდო (6) | 5 |

| ჩემპიონთა ლიგა | რეკორდი | მესი |
|---|---|---|
| თამაში | რაული (144) | 64 |
| ტიტული | ხენტო (6) | 3 |
| გოლი | რაული (71) | 49 |
| ბომბარდირი | გერდ მიულერი (4) | 3 |
| გოლი სეზონში | ვან ნისტელროი (12) | 12 |
| ჰეთ თრიკი | ინძაგი, გომესი, ოუენი (3) | 3 |

| არგენტინა და საერთაშორისო ასპარეზი | | |
|---|---|---|
| თამაში | ხავიერ ძანეტი (145) | 67 |
| გოლი | გაბრიელ ბატისტუტა (56) | 2 |

| მსოფლიოს ჩემპიონატები (ფინ. ეტაპი) | | |
|---|---|---|
| მატჩი | ლოთარ მათეუსი (25) | 8 |
| გოლი | რონალდო (ბრაზილია) (15) | 1 |
| ტიტული | პელე (3) | 0 |

ამბები

## ლენონს ბრალს სდებენ

ამის თაობაზე გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით: "ოლდ ფირმ ზურ ბის" შესვენებისას "სელტიკის" თავკაცი **ნილ ლენონი** არბიტრ **კალუმ მიურეის** მიეჭრა და გამოუცხადა, რომ შენი მუშაობით ძალიან უკმაყოფილო ვარო. ამის გამო შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ 40 წლის სპეციალისტს ოფიციალურად წაუყენა ბრალი და გამოუცხადა, რომ თუკი ორგანიზაციას არგუმენტირებულ პასუხს 3 აპრილამდე არ მისწერს, რატომ მოიქცა ასე, მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის. ჩრდილოირლანდიელის მდგომარეობას ის ართულებს, რომ მას ანალოგიური ბრალდება რამდენიმე დღის წინ "კილმარნოკთან" შოტლანდიის ლიგის თასის ფინალის წაგების (18 მარტი. 0:1) შემდეგაც წაუყენეს. ლენონი მაშინ გაცეცხლებული **უილი კოლუმს** მიეჭრა და საქმის გარჩევა დაუწყო.



ნილ ლენონი

## ლინდეგორისთვის სეზონი დასრულებულია



რის ანდერს ლინდეგორი

ESPN-ის ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" 27 წლის გოლკიპერის **ანდერს ლინდეგორისთვის** სეზონი დასრულებულია. ფეხბურთელმა კოჭის ტრავმა გაირთულა, რისი მკურნალობაც ძალიან გაიწელა და როგორც ამბობენ, კიდევ 2-3 თვე დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ დანიელს 14 იანვარს "ბოლტონთან" 3:0-ის შემდეგ არ უთამაშია. ის იყო ფეხბურთელი სრულფასოვან ვარჯიშს უნდა შესდგომოდა, რომ მდგომარეობა კიდევ ერთხელ დამძიმდა. არადა, ფეხბურთელმა თითქმის მთელი შემოდგომა დიდებულად ჩაატარა და **დავიდ დე ხეას** სკამზეც კი გადასვა.

## ბექჰი ქონებას ყიდის

**დევიდ ბექჰემმა** გადაწყვიტა, ჰერტფორდშირის საგრაფოში მისი სახლის გარაჟში "მტვერდადებული" მანქანების ნაწილი გაყიდოს. მათ შორის 2 "ბენტლი", "რეინჯ როვერი", BMW 645 და "ლამბორგინი გალიარდო". როგორც პრესა ირწმუნება, ინგლისელი ვარსკვლავი მათში არანაკლებ ნახევარ მილიონ ფუნტს იშოვის, თუმცა გამორიცხული არ არის, ისტორია განმეორდეს და მავანმა მყიდველმა რომელიმე "თოჯინაში" საბაზრო ფასზე მეტი მხოლოდ იმიტომ გადაიხადოს, რომ ის ბექჰს ეკუთვნოდა. მოსალოდნელია ისიც, რომ დევიდი მალე გაყიდის 100 ათასამდე ღირებულ "ჰარლი დევიდსონსაც". *"დევიდს შესანიშნავი კოლექცია აქვს. ის მანქანები, რომელთაც ყიდის, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად უხმარია. ბექჰემი ამერიკაში ცხოვრობს და მანქანები იქაც ჰყავს, ბრიტანეთიდან კიდევ ამათი ტრანსპორტირება არაპრაქტიკული იქნება,"* – აცხადებს ფეხბურთელის ახლო მეგობარი. "დეილი მეილის" ჟურნალისტმა გაიხსენა, რომ 1997 წელს 44 ათასად შეძენილი BMW M3 ვარსკვლავმა 2005 წელს 90 ათასად გაყიდა. ასე რომ, თუკი ჩვეულებრივ სიტუაციაში მანქანა დროსთან ერთად ფასს კარგავს, ბექჰის ავტომობილებზე ეს წესი არ ვრცელდება.



დევიდ ბექჰემი

## ეკიპი: ბლანი თვეში მილიონად



ლორან ბლანი

ფრანგული გამოცემა "ეკიპი" ირწმუნება, რომ **ლორან ბლანი** ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ "ჩელსის" ჩაიბარებს და ხელფასის სახით თვეში ერთ მილიონ ევროს მიიღებს. **ანდრე ვილაშ ბოაშის** გაშვების შემდეგ "ლურჯებს" დროებით **რობერტო დი მატეო** თავკაცობს, მაგრამ როგორც ჩანს, იტალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ლონდონელები ვერ ახერხებენ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას. თეორიულად ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ პრაქტიკულად წარმოდგენა კი ჭირს. ბლანს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება სწორედ ევროფორუმის შემდეგ ეწურება, რის შემდეგაც 46 წლის სპეციალისტი საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას გეგმავს.

აქვე ორიოდე სიტყვით სატრანსფერო ამბებს შევეხოთ: თუკი სეზონის დასრულების შემდეგ **ეშლი კოული** "ჩელსის" დატოვებს, "ლურჯები" ვეტერანის ნაცვლად "ჰამბურგიდან" გერმანიის ნაკრების 25 წლის წევრ **დენის აოგოს** გადაიბირებენ. HSV ფეხბურთელს 12 მილიონ ევროდ აფასებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

დრიბლინგი

**გოტფრიდ ლენცის**
საავტორო რუბრიკა

## უცხოური ფეხბურთი

**„ინტერის“ ფანები სტადიონზე მხოლოდ იმიტომ დადიან, რომ გაზაფხულია; ალესანდრო დელ პიერო ღირსეულად ბერდება; ინგლისში მარტო დალგლიში კი არა, მოსამართლეებიც ბოდავენ; ესპანეთი უკვე მოსაწყენი ხდება; ეს ყველაფერი და რამდენიმე გერმანული აბსურდი „დრიბლინგში“:**

ბებერი მელა



დაბერდა, მაგრამ მაინც მაგარია: ალესანდრო დელ პიერო ინტერის კარში გატანილი გოლის შემდეგ

იტალია

### იუვენტუსის ასპროცენტიანი საღამო

სუფთა საფეხბურთო შესაძლებლობებს და (მანდილოსნებს გულს ნუ დავწყვეტთ) გარეგნობასაც რომ თავი დავანებოთ, მას სახელი და გვარიც კი ხელს უწყობს იმაში, რომ ძალიან პოპულარული და ყველასათვის საყვარელი ფეხბურთელი იყოს – აბა, კიდევ, ერთხელ დაფიქრდით, რაოდენ მუსიკალურად ჟღერს: **ალესანდრო დელ პიერო**. დაგვეთანხმეთ, სულ რომ არაფერი იყოს, ჯერ მარტო სახელი და გვარი აქვს ისეთი, გინდა ხშირად იმეორო.

ამ ყველაფერთან ერთად, მისი ხასიათის (მელანქოლიური, ცოტათი სენტიმენტალური, თავმდაბალი, უმეტესად ჩუმი, თავის საქმეზე შეყვარებული, ერთგული...) დამსახურებაცაა ის, რომ ალექსი ისეთი ფეხბურთელების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც არავის სძულს – ასეთები კი, მოგეხსენებათ, ძალიან ცოტანი არიან...

ტურინული გრანდის თავკაც **ანტონიო კონტეს** კარგი ყნოსვა ჰქონია: დელ პიეროს მთელი სეზონის მანძილზე უმეტესად სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებს, „ინტერთან“ კი მოედანზე საოცრად ადრე, 53-ე წუთზე შეუშვა და „ბებერმა მელამაც“ მაინცდამაინც „იუვეს“ ქომაგებისთვის ყველაზე საძულველ მეტოქეს, „ინტერს“ გაუტანა გოლი, რაც „იუვეს“ „ტიფოზერიისთვის“ ბედნიერების პიკი გახლდათ. ამიტომაც ქუხდა „ბებერი ქალბატონის“ სტადიონი სულ სხვანაირად: ალესსსანდროოოო – ყვიროდა გამომცხადებელი; დელ პიერო – პირდაპირ გულიდან ამოხდებოდათ „იუვეს“ ტიფოზებს.

„იუვენტუსის“ 37 წლის „კაპიტანომ“ 317-ე გოლი გაიტანა და ტურინული გრანდის ტიფოზერიას არ უნდა, რომ დელ პიერო დაბერდეს. დაბერებას ვინ ჩივის, უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ეს სეზონი მისთვის „იუვენტუსში“ უკანასკნელი იქნება – არადა, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება არ უნდა და არც ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ითხოვს.

მართალია, „იუვეს“ გადაბმულწარბებიან პატრონ **ანდრეა ანიელის** ისეთი გამომეტყველება აქვს, რომ დიდი ჭკუა არ მოეკითხება, მაგრამ ისეთი უჭკუო როგორ იქნება, თუნდაც ერთი წამით რომ არ გაეფიქრა, ეს კაცი „იუვენტუსში“ უნდა დარჩესო...

### JUST STATISTIC

„ინტერთან“ გამარჯვებამ „იუვენტუსი“ ბრწყინვალე ხასიათზე კი დააყენა, მაგრამ ტურინელები „მილანს“ ისევ 4 ქულით ჩამორჩებიან. „სკუდეტოსთან“ ერთად, მილანელები ტურინელებს წვრილმანი სტატისტიკების გამოც ებრძვიან. კერძოდ, „მილანმა“ იტალიის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის შემდეგ არა მარტო „ლეგა კალჩოს“, არამედ „უეფასაც“ მიმართა, ტურინში გამართული მატჩის ძირითადი დრო 2:1 რომ მოვიგეთ, ვფიქრობთ, ეს „იუვენტუსს“ ამ სეზონში პირველ წაგებად უნდა ჩაეთვალოსო.

მილანელებმა ზემდგომი ინსტანციებიდან დამცინავი პასუხი მიიღეს: უეფასთან ყოველი შემთხვევისთვის გავლილი კონსულტაციის შემდეგ, „ლეგა კალჩომ“ მილანელები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ როცა საფეხბურთო მატჩში დამატებითი ტაიმები ინიშნება, ძირითად 90 წუთში დაფიქსირებულ შედეგს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც, მაგალითად, კალენდარული შეხვედრის დროს პირველ 45 წუთში დაფიქსირებულს.

როგორც ხედავთ, ეს ზედმეტად ჩახლართული, ტიპური იტალიური პასუხია და უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მილანელებს უთხრეს, ნეტაი თქვენ, საქმე გამოგლევიათო...

### ის ურჩევნია მორატის...

„ინტერმა“ კი იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში მე-12 თამაში წააგო, რასაც „ნერაძურის“ ტიფოზები უკვე იუმორით უყურებენ. ერთ-ერთმა „ინტერისტამ“ „იუვენტუს არენაზე“ ასეთი შინაარსის ტრანსფარანტი გამოჭიმა: *„სტადიონზე უკვე მხოლოდ გოგოების შესაბმელად მოვდივართ!“*

„ინტერის“ პატრონ **მასიმო მორატის** კი ეს უკვე აღარ სჭირდება და შესაბამისად, სტადიონზე არ ყოფილა – მასიმო ლონდონში იმყოფებოდა, სადაც პატარა „ინტერისტებმა“ ეგრეთ წოდებული ჭაბუკების ჩემპიონთა ლიგა, ოფიციალურად კი „Next Generation Series“ მოიგეს (ფინალში „აიაქსი“ დაამარცხეს)...

ინგლისი

### რა მოხდება, თუ პულისს მართვის მოწმობას ჩამოართმევენ? აპოკალიფსი!

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** „სტოკ სიტის“ დამრიგებელ **ტონი პულისს** საფინალო სასტვენის შემდეგ (1:1, მეომარმა ჟირაფმა **პიტერ კრაუჩმა** მაგარი გოლი გაიტანა) ხელი არ ჩამოართვა. იტალიელი უკიდურესად განრისხებული გახლდათ, პულისი კი მის უზრდელობას გაგებით მოეკიდა – მანჩინი უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული და ჩემთვის გასაგებია, რატომაცაა ხასიათწამხდარიო. პულისს მართლაც არაფერი აქვს საწუწუნო, რადგან წინა კვირაში საოცარი რამ მოახერხა.

იმ ზონაში, სადაც მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე 100 კმ/სთ გახლდათ, ტონიმ 160-ით გაიქროლა და ცხადია, სახლში ფოსტით „სამახსოვრო ფოტოც“ მიუტანეს, მაგრამ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მან მართვის მოწმობის შენარჩუნება მოახერხა. როგორ? აი, ასე:

პულისის ადვოკატმა მოსამართლეს რამდენიმე გენიალური არგუმენტი მოუყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ ტონისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევა უდიდესი დანაშაული იქნებოდა.

პირველი არგუმენტი: *„პულისს არ შეუძლია მძღოლის აყვანა, რადგან მერე ამ უკანასკნელს შეეძლება, მისი ტაქტიკური ჩანაფიქრები გაიგოს და ყველაფერი მეტოქეებს ჩაუკაკლოს, რაც იმას გამოიწვევს, რომ „სტოკ სიტის“ პრემიერლიგიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრება.“*

მეორე არგუმენტი: *„სტოკ სიტის“ გავარდნას კი ის მოჰყვება, რომ მთელი ქალაქი მოიწყენს.“*

მესამე არგუმენტი: *„პულისი ხშირად სტუმრობს ხოლმე სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს, რასაც მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში იშვიათად, ან საერთოდ ველარ მოახერხებს და შესაბამისად, ბავშვები ძალიან მოიწყენენ.“*

ამ არგუმენტებმა შედეგი გამოიღო! მართალია, მტყუან-მართალის გარჩევის დღეს „სტოკს“ გასავარდნ ზონამდე 14 ქულა აშორებდა, მაგრამ მოსამართლე მაინც „დაგოიმდა“.

მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ, ტონი!

### რას ბოდავს დალგლიში?

*„შესანიშნავი ფეხბურთის თამაში უნდა შევეშვათ!“* - მოითხოვა გასულ უქმეებზე **კენი დალგლიშმა**. არ ვხუმრობთ, მართლა ასე თქვა! ჰო, შესანიშნავმა, უფრო სწორად, ისეთმა ზეციურმა ფეხბურთმა, როგორიც მისმა გუნდმა „უიგანთან“ 1:2-ზე წაგებულ მატჩში ითამაშა, მართალია, „ლივერპული“ ლიგის თასისა და ასოციაციის თასის ფინალებში გაიყვანა, სამაგიეროდ, დალგლიშის სამწყსო პრემიერლიგაში ზედიზედ ორი წაგების (ორივე გავარდნის კანდიდატებთან) შემდეგ, მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს 13 ქულით ჩამორჩება. კენიმ წაგება გადაღლილობას დააბრალა და ისიც თქვა, იქნებ საჭიროა, რომ ფილოსოფია შევცვალოთო, ოღონდ, კონკრეტულად რის შეცვლას გულისხმობდა, აღარ დაუკონკრეტებია.

ფილოსოფიისა რა გითხრათ, მაგრამ ეჭვი გვაქვს, „ლივერპულის“ ამერიკელი მფლობელები მწვრთნელის შეცვლაზე კი ნამდვილად ფიქრობენ.

ესპანეთი

### ნამეტანია, ნამეტანი!

თითქოს ის არ ეყოფოდა, რომ პრიმერადივიზიონი მხოლოდ „ბარსელონას“ და „რეალის“ ხანგრძლივი დუელია, ესპანეთის სანაქებო ჩემპიონატი ახლა **ლიონელ მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** პირად დაპირისპირებადაც გადაიქცა.

პორტუგალიელი და არგენტინელი რეკორდების დამხობას აგრძელებენ და ისტორიას ქმნიან. თუკი მესი წინა ტურში „გრანადასთან“ ჰეთ-თრიკით „ბარსას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შაბათს, „მალიორკას“ კარში გატანილი გოლით კატალონიური გრანდის კიდევ ერთი ლეგენდარული თავდამსხმელის, ბრაზილიელი **რონალდოს** რეკორდი „შემოემყარა“. ლეო ბომბარდირთა დავას კვლავაც კრიშტიანოსთან ერთად ლიდერობს და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სეზონის ფინიშამდე 9 ტურია დარჩენილი, ცხადია, ისინი 40-გოლიან ზღვარსაც გადააბიჯებენ, რაც კიდევ ერთი, ვინ მოთვლის, მერამდენე რეკორდი იქნება.

– ეს ყველაფერი უკვე მოსაწყენი ხდება, არა?

გერმანია

### აბსურდი, სახელწოდებით ჰამბურგი

„ჰამბურგი“ ავარიასავითაა - არ გინდა, რომ შეხედო, მაგრამ შინაგანი ძალა მაინც გიბიძგებს და გაყურებინებს. სანახაობა კი მართლაც საზარელია: „ჩელსის“ ბალასტით დატვირთული „ბუნდესლიგის უკანასკნელი დინოზავრი“ სულს ღაფავს.

ჩრდილოგერმანულ კლუბს ძალიან ბევრი პრობლემები აქვს, დღეისათვის კი ყველაზე მთავარი სტანდარტული სიტუაციების დროს მცველების უკიდურესი ქალაჩუნობაა. ეს მთავარმა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმაც** შენიშნა და აი, რა მოიგონა: კუთხურიდან ან ჯარიმიდან გაშვებული თითოეული გოლის გამო ფეხბურთელები ჯარიმებს იხდიან, მაგრამ თუ თავად გაიტანენ ასეთ გოლს, გადებულ თანხას იბრუნებენ. „ჰამბურგის“ ბოსების მოტივაცია გასაგებია: „წარუმატებლობა წარუმატებლობად და ფული მაინც დავზოგოთ!“

იქნებ, ჰამბურგელები ყველაფერს სწორად აკეთებენ? აბსურდების თეორიაზე გსმენიათ რაიმე? თუ არა, მარტივად ვთქვათ: ჯოკერში ხომ არსებობს „ხიშტების პრემია“?

იქნებ, ჰამბურგელებმა სწორედ მათ კართად შესრულებული სტანდარტულების შედეგად დაადგინეს, რომ ბუნდესლიგა უაზრო ტურნირია? ან, სამყარო, სადაც მონარქიულად მართული სოფლის გუნდები იმდენს ახერხებენ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ინტრიგა შეიტანონ? („ჰოფენჰაიმმა“, რომელიც „ბაიერნთან“ 1:7 განადგურდა, ხომ მოუგო „გლადბახს“, რომელმაც „ბაიერნი“ შინაც გაამწარა და სტუმრადაც) განა აბსურდი არ არის ისიც, რომ ზედიზედ სამი წაგების შემდეგ „ლევერკუზენი“ ჯერ კიდევ მეხუთე ადგილზეა?

აბსურდების თეორიას თუ განვავრცობთ და სერიოზულად ვიფიქრებთ, რომ „ჰამბურგს“ „ხიშტების პრემიაზე“ გასვლა უნდა, იმასაც მივხვდებით, რატომ არის ამ გუნდში **პაოლო გერერო** ყველაზე მალალანაზღაურებადი ფეხბურთელი, ან იმას, თუ რატომ ათამაშა ფინკმა ამას წინათ **რობერტ ტეშე** გამთამაშებლად...

### 90-იანებში ჩარჩენილი ბალაკოვი

იდეაში, „კაიზერსლაუტერნი“ ამ სეზონში „ჰამბურგზე“ დიდი აბსურდია, უბრალოდ, „ჰამბურგი“ უფრო ჩანს. „ლაუტერნის“ ახალმა თავკაცმა **კრასიმირ ბალაკოვმა** ჩამწარებული დებიუტის (0:2 ფრაიბურგში) შემდეგ თქვა, ოცნება ამიხდა, აქ რომ დავინიშნეო. საინტერესოა, იცის თუ არა ბულგარელმა, რომ ახლა 2012 წელია და ის „კაიზერსლაუტერნის“ მთავარი მწვრთნელია?

### ეჰ, რუდი, რუდი...

„ლევერკუზენი“ ერთხელ უკვე ვახსენეთ ცუდ კონტექსტში, მაგრამ მეორეც უნდა ვთქვათ. „ბაიერის“ სპორტულ დირექტორ **რუდი ფიოლერს** „სქაის“ ექსპერტი **ფიორტოფტი** შემოელანძღა - მაინტერესებს, ვინ აიყვანა ექსპერტად ეგ კლოუნიო. „შეურაცხყოფის“ მიზეზი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, ადრესატმა კი ფიოლერს „თვითერიდან“ კარგი პასუხი გასცა: *„ჩემი აზრით, ძალიან ცუდია, როცა ფიოლერი სიტყვა კლოუნს უარყოფით კონტექსტში იყენებს – კლოუნები უმეტესად კარგი ტიპები არიან და თანაც, ყველა კლოუნი ხელოვანია!“*

რაც მთავარია, ახლა უკვე მთელმა გერმანიამ იცის, რომ ჰაინრიხ ბიოლი ნალდად არ არის ფიოლერის საყვარელი მწერალი...

დორტმუნდის ბორუსია

## მარიოს ახალი კონტრაქტი

### გიოტცე დორტმუნდში 2016 წლამდე დარჩება!

დორტმუნდის „ბორუსიას“ 19 წლის გამთამაშებელმა **მარიო გიოტცემ**, რომლის გადაბირებაც ევროპის თითქმის ყველა სუპერგრანდს სურს, გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა. ეს ინფორმაცია „ბორუსიამ“ გუშინ გაავრცელა.

*„ყველამ იცის, რაოდენ კარგად ვგრძნობ თავს დორტმუნდში. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება ნამდვილად არ გამიჭირდა,“* - უთხრა გიოტცემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მარიო უარით ისტუმრებს ისეთ გიგანტებს, როგორებიც არიან „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „არსენალი“ და სხვები...

გიოტცესთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით უაღრესად კმაყოფილია „დორტმუნდის“ გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**, რომელიც მარიოსთან მოლაპარაკებებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა. შეგახსენებთ, რომ გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს ტრავმის გამო სამი თვეა ფეხბურთი არ უთამაშია, გუშინ კი მსუბუქი დატვირთვით ვარჯიში განაახლა. გიოტცე მოედანს 11 აპრილს, „ბაიერნთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩში დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# როგორც მოსალოდნელი იყო

## ტორესი ნაადრევად ჩამოწერეს

**აპოელ-რეალი 0:3**

**აპოელ (4-4-1-1):** ქიოტისი - პურსაიტიდისი, ოლივეირა (13. კაკა), პაულო ჟორჟე, ბოავენტურა - ხარალამბიდისი, მორაიში, პინტო (72. სოლარი), ალექსანდრუ (46. სოუზა) - ტრიჩკოვსკი - ალმეიდა.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო (63. მარსელო) - ხედირა, შაჰინი (84. გრანერო) - ბენზემა, იოზილი, რონალდო - იგუაინი (63. კაკა).

**გოლები:** 0:1 ბენზემა (74), 0:2 კაკა (82), 0:3 ბენზემა (90)

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 0-20 (0-9); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 22 859

**ბენფიკა-ჩელსი 0:1**

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - პერეირა, ლუიზაო, ჟარდელი, ემერსონი - აიმარი (69. მატიჩი), ხ. გარსია (81. ნოლიტო), ბ. სეზარი (69. როდრიგო) - ვიტსელი, გაიტანი, კარდოსო.

**ჩელსი (4-4-1-1):** ჩეხი - ფერეირა (80. ბოსინგვა), დ. ლუიზი, ტერი, კოული - რამირესი, მეირელეში (68. ლემპარდი), მატა, მიკელი - კალუ (82. სტარიჯი) - ტორესი.

**გოლი:** 0:1 კალუ (75)

**გაფრთხილება:** სეზარი, ლუიზაო, გარსია - მეირელეში

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 9-17; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 14-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 65 275

*საპასუხო მატჩები 4 აპრილს*



ბენფიკა-ჩელსი 0:1

კუნძული თითქმის 75 წუთის განმავლობაში ეიფორიაში იყო, „სამეფო კლუბი" უტევდა მათ აპოელ-ს და ვერას აკლებდა, მაგრამ საოცარი ზღაპარი, რომელიც აგერ უკვე თვეებია გრძელდება ოდესმე ხომ უნდა დასრულებულიყო და... **ჟოზე მოურინიოს** ბიჭებმაც აპოელ-ს სათანადო ადგილი მიუჩინეს, დუბლი **ქარიმ ბენზემამ** შეასრულა, ხოლო ერთი გოლიც **კაკას** ანგარიშზეა (ბრაზილიელმა თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა). საპასუხო მატჩი მადრიდში ფორმალობაღაა - „რეალს" შეუძლია ისევ ლა ლიგაზე გადაერთოს გარკვეული ხანი...

ლისაბონში კი გაცილებით თანაბარძალოვანი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრის ბედი ერთმა კაცმა გადაწყვიტა, რომელსაც ბოლო თვეებია ძალიან იშვიათად აქებენ, ხშირად კი აძაგებენ - ვფიქრობთ, გადამეტებულადაც - ესპანელმა **ფერნანდო ტორესმა** მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და იუველირის სიზუსტით გაუკეთა საჯარიმოში პასი **კალუს**. ეს იყო შეხვედრის ერთადერთი გოლი, მატჩისა, რომელიც ფრედ დასრულებას უფრო იმსახურებდა. საპასუხო მატჩის წინ „ჩელსი" უკვე აშკარა ფავორიტია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



აპოელ-რეალი 0:3



დიდი დუელის მთავარი მოქმედი პირები: ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ლეო მესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპა ბარსათი იზომება!

## დღეს გავიგებთ, რა შეუძლია მილანს სინამდვილეში...

**მილანი-ბარსელონა 22:45**

ათი წელი საკმარისი დროა იმისათვის, რომ ამა თუ იმ გუნდზე დასკვნები გაკეთდეს და მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა" და „მილანი" დასკვნებს არ საჭიროებენ, ჩვენი ვალია, მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ „ბარსამ" ამ ათ წელიწადში ჩემპიონთა ლიგა სამჯერ მოიგო, „მილანმა" კი ორჯერ. ევროპის ორი სუპერკლუბის დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ცენტრალური, ყურადღების ცენტრში მოქცეული დუელია და დღეს საღამოს ამ სიამოვნების პირველი სერია გველის. „სან სიროზე" გასამართ ამ სუპერმატჩს ინტრიგას ის ფაქტორიც მატებს, რომ „ბარსა" და „მილანი" ჯგუფშიც ერთად იყვნენ.

თუმცა, ცხადია, ეს გუნდები ერთმანეთს მხოლოდ მიმდინარე სეზონის ჯგუფური ეტაპიდან არ იცნობენ. 1959 წლიდან დღემდე „ბარსა" და „მილანი" ერთმანეთს 11-ჯერ შეხვდნენ, მაგრამ ამ 11 მატჩიდან ფინალი მხოლოდ ერთი იყო – ოღონდ ისეთი, რომლის დავიწყება შეუძლებელია. არადა, კატალონიური გრანდის მთავარ მწვრთნელ **პეპ გვარდიოლას** ძალიან უნდა, რომ ის ფინალი თავისი მეხსიერებიდან ამოშალოს. იმიტომ კი არა, რომ „ბარსამ" წააგო, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ის ფინალი უაღრესად ამაყი და ძლევამოსილი „ბარსელონას" დემონტაჟი გახლდათ: 1994 წლის მაისში „როსონერიმ" კატალონიური გიგანტი ათენში გამართულ ფინალში 4:0 გაანადგურა.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი მიზეზია იმისა, რაც გვარდიოლამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა – „მილანი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო, დიდი გუნდიაო. მაშინ, 1994-ში „როსონერიმ" ჩემპიონთა თასი **ფაბიო კაპელოს** ხელმძღვანელობით და ისეთი დიდი ფეხბურთელებით მოიგო, როგორებიც იყვნენ **მალდინი, დონადონი, დესაი, ბობანი, სავიჩევიჩი** და სხვები. იმ ფინალიდან 18 წლის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას" დამარცხება ისევ უკიდურესად ძნელია და ნებისმიერი, ვინც „ბარსას" მოუგებს, ავტომატურად ტურნირის მთავარი ფავორიტი ხდება.

მართალია, ექსბარსელონელმა, ამჯერად კი „მილანის" მთავარმა იარაღმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გუშინ ამაყად თქვა, „ბარსა" მარტო **მესი** არ არის, ჩვენ მთელი გუნდი უნდა შევაჩეროთ და არა მხოლოდ მესიო, მაგრამ ფაქტია, რომ „მილანის" უკანახაზელების პირველი და უმთავრესი ამოცანა სწორედ ლეოს შეჩერება იქნება, რაც „ბარსელონას" განიარაღებას ნიშნავს. არგენტინელს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 12 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ერთი გოლი აშორებს იქამდე, რომ თავისი და **რუუდ ვან ნისტელროის** ერთობლივი რეკორდი (13 გოლი ერთ სეზონში) გაიმეოროს. 24 წლის მესი დღეს ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში 64-ე მატჩს ჩაატარებს და თუ გაიტანს, ეს მისი 50-ე გოლი იქნება ჩემპიონთა ლიგაში.

*„კატალონიელებს მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ჰყავთ, ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ წნეხის ქვეშ „მილანი" კი არა, „ბარსელონაა" მოქცეული,"* - ამბობს იბრაჰიმოვიჩი და პრინციპში მართალიცაა, რადგან „ბარსელონასთან" გავარდნის გამო „როსონერის" არავინ გაკიცხავს, „ბარსა" კი ნებისმიერი სახის წარუმატებლობის შემთხვევაში გაიკიცხება.

ჯგუფურ ეტაპზე, „ნოუ კამპზე" გამართული დუელი 2:2 დამთავრდა, ხოლო „სან სიროზე" „ბარსელონამ" 3:2 მოიგო. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კატალონიელები „სან სიროზე" თავს საკმაოდ კარგად გრძნობენ ხოლმე: ბოლო ათი სტუმრობიდან, ამ სტადიონზე ოთხჯერ გაიმარჯვეს, ოთხჯერ ფრეს მიაღწიეს და მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ. საერთოდ, ჩემპიონთა ლიგაში გვარდიოლას გუნდის ბოლო ნაგება 2011 წლის 16 თებერვლით თარიღდება – მაშინ „ბარსამ" მერვედფინალის პირველი მატჩი ლონდონში, „არსენალთან" 1:2 დათმო.

თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყოს, „ბარსასთვის" ისიც პლუსია, რომ „მილანს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. „როსონერის" თავკაც **მასიმილიანო ალეგრის მარკ ვან ბომელი** დისკვალიფიცირებული ჰყავს, **ანტონიო კასანო, ჯენარო გატუზო, ინაციო აბატე, ალეშანდრე პატო** და **ტიაგო სილვა** კი ტრავმირებულები არიან.

მიუხედავად ამისა, გვარდიოლა მაინც ურთულეს მატჩზე საუბრობს: *„საკადრო პრობლემები „მილანს" დიდად ვერ შეასუსტებს. „როსონერის" ძალიან ბევრი გამოცდილი და ჭკვიანი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებსაც ყოველთვის შეუძლიათ საგოლე მომენტების შექმნა, მათი გამოყენება და დაცვაშიც ძალიან კარგად დგანან,"* - აღნიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე 41 წლის პეპმა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ბონერა, ნესტა, მექსე, ძამბროტა – ნოჩერინო, ამბროზინი, ემანუელსონი – კ. პ. ბოატენგი – იბრაჰიმოვიჩი, ელ შაარავი.

**ბარსელონა (3-4-3):** ვიქტორ ვალდესი – პიკე, მასკერანო, პუიოლი – ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი, ინიესტა – სანჩესი, მესი, პედრო.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

**მარსელი-ბაიერნი 22:45**

„ბაიერნი" ამ წყვილის უდავო ფავორიტია და მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენური გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, მარსელში ფრეც დაგვაკმაყოფილებსო, ცხადია, რეკორდმაისტერი მოგებას „ველოდრომზევე" შეეცდება. გერმანული გრანდი ძალიან კარგ ფორმაშია, რაც ბუნდესლიგის ბოლო ტურებში და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩშიც (7:0 ბაზელთან) გამოჩნდა, აი, „მარსელზე" კი იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვით. **დიდიე დეშამის** გუნდს კრიზისი აქვს და თუ მერვედფინალური ბარიერი გადალახა, პირველ რიგში იმიტომ, რომ მეტოქედ უარეს დღეში მყოფი „ინტერი" ჰყავდა.

ამ უქმეებზე „მარსელმა" „ნიცასაც" ვერ მოუგო (1:1), მაგრამ დეშამმა იხტიბარი არ გაიტეხა – „ბაიერნთან" მოსალოდნელი დუელის წინ არც ეს შედეგია ურიგოო. ფრანგულ კლუბს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: მეკარე **მანდანდა** და დაცვის ბურჯი **დიავარა** დისკვალიფიცირებულები არიან. მართალია, ეს უკანასკნელი მანდანდასგან განსხვავებით მხოლოდ ერთი მატჩითაა დასჯილი, მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ ვერც მიუნხენში ითამაშებს, რადგან „ნიცასთან" სერიოზული ტრავმა მიიღო.

ეს ფაქტორები „ბაიერნის" ფავორიტობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, მაგრამ ბავარიული გრანდის ხელმძღვანელები მაინც მოკრძალებულ განცხადებებს აკეთებენ. სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** თქვა, „მარსელი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არისო და ქომაგებს ჯგუფური ეტაპი გაახსენა, სადაც „ოლიმპიკმა" გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" ორივე თამაში მოუგო. ნერლინგერმა ამით ერთი მხრივ ეიფორია შეაჩერა, მეორე მხრივ კი ხელიდან არ გაუშვა მორიგი შანსი, ეკბინა „დორტმუნდისთვის"...

დღევანდელი მატჩი განსაკუთრებულია შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ფრანკ რიბერისთვის**, რომელიც „ბაიერნში" 2007 წელს სწორედ „მარსელიდან" გადავიდა. 28 წლის ფრანგი „ოლიმპიკს" კარგად იცნობს და ჯერ კიდევ წილისყრის შემდეგ თქვა, ვინც ფიქრობს, რომ ნახევარფინალში იოლად გავალთ, ძალიან ცდებაო. ასე რომ, რიბერი დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს. სხვათა შორის, „ბაიერნში" კიდევ ერთი ექსმარსელელია – **დანიელ ვან ბუიტენი**, რომელიც ტრავმირებულია და დღეს ვერ ითამაშებს.

მარსელში გაფრინდა **ბასტიან შვაინშტაიგერი**, მაგრამ მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** თქვა, შევიყვან თუ არა შვაინის განაცხადში, ამას ხვალ, უშუალოდ მატჩის წინ გადავწყვეტო. ვან ბუიტენთან ერთად, მიუნხენში დარჩა **ბრენოც**...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მარსელი (4-2-3-1):** ელინტონ ანდრადე – ასპილიკუეტა, ფანი, ნ' კულუ, მორელი – ა. დიარა, მბია – ამალფიტანო, ვალბუენა, ა. აიუ – რემი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ჟ. ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – ლუის გუსტავო, კროოსი – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**არბიტრი:** კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

ძიუდო. ნაკრები

# ნაკრები დაბრუნდა

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები უკვე დაბრუნდა აზიიდან, სადაც ჯერ იაპონიაში, მერე კი კორეაში გაიარა ერთკვირიანი ერთობლივი სანვრთნელი შეკრება. „ამომავალი მზის ქვეყანაში" ჩვენები თავიდან მხოლოდ მასპინძლებთან ერთად ემზადებოდნენ, მერე კი გაერთიანებულ შეკრებაზე გადაინაცვლეს, სადაც ევროპული და სხვა აზიური გუნდებიც იყვნენ.

ნაკრები თბილისში ერთი კვირა დარჩება, შაბათს, გამთენიისას კი ბერლინში გაფრინდება, სადაც ოლიმპიური მზადების ცენტრში მასპინძელთა პირველ ნაკრებთან გაივლის ერთობლივ წვრთნას. გუნდს თბილისიდან **გიორგი ვაზაგაშვილი** წაიყვანს, რადგან ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** სეულიდან პირდაპირ ვენაში გაფრინდა. გერმანულ შეკრებაზეც იგივე შემადგენლობა გაემგზავრება, ვინც აზიაში ივარჯიშა: **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100). შეგახსენებთ, რომ იაპონია-კორეაში ამ გუნდს **ბექა ღვინიაშვილი** (81) და **ლევან მატიაშვილიც** (+100) ახლდნენ, ოღონდ ისინი ახლა ახალგაზრდულ ნაკრებს დაუბრუნდნენ და აპრილის დასაწყისში ამ გუნდის შემადგენლობაში საბერძნეთში იჭიდავებენ საერთაშორისო ტურნირში.

ბერლინში ჩვენი გუნდი ერთი კვირა ივარჯიშებს, მერე კი მონღოლეთში გადაფრინდება, სადაც ასევე ერთკვირიან ერთობლივ წვრთნას გაივლის. იქიდან ნაკრები თბილისში დაბრუნდება და აქ გააგრძელებს მზადებას 26-28 აპრილს რუსულ ჩელიაბინსკში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის.



**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ევროპის თასი

# კიევისთვის ნაკრები ანთალიამ დაასახელა




ამ უქმეებზე კიევში ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის ევროპის თასი ტარდება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას: **ირაკლი კუპატაძე** (50), **გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი, ერეკლე არხოზაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი** (55), **კობა მჭედლიშვილი, ბექა სეხნიაშვილი, დიმიტრი ცაბაძე, ბექა უდესიანი** (60), **ზაზა მეგრელიშვილი** (66), **თამაზ კირაკოზაშვილი, ვანო ჩურჩხელაშვილი** (73), **გიორგი ქურდიანი, ნიკა მოველიძე** (81), **დავით რამაზაშვილი, გიორგი გველესიანი** (90), **გიორგი ძებისაშვილი, ზაზა გოჯიაშვილი** (+90). ორი წარმომადგენელი გვეყოლება გოგონების ტურნირშიც - **მარიამ ჯანაშვილი** და **გურანდა შოთაძე**, რომლებიც 57-ში ჭიდაობენ.

ნაკრების მწვრთნელები - **გიორგი თენაძე** და **გიორგი რევაზიშვილი** ევროპის ჩემპიონატისთვის არჩევენ შეგირდებს და ძირითადად ანთალიის ევროპის თასზე ნაჩვენებ შედეგებს დაეყრდნენ. იმ ტურნირმა მთელ რიგ წონებში კიდევ უფრო დაძაბა კონკურენცია. მწვრთნელებსაც კიევში ყველა კონკურენტი მიჰყავთ. შეგახსენებთ, რომ თურქეთში ნათათრალიშვილი და მეგრელიშვილი ჩემპიონები, არხოზაშვილი, მჭედლიშვილი, **ბაჩანა ბოლქვაძე** (66), რამაზაშვილი და გოჯიაშვილი მეორეპრიზიორები გახდნენ; კუპატაძე, კაციაშვილი, მოველიძე, გველესიანი, ძებისაშვილი ჯანაშვილი და შოთაძე კი მესამე ადგილზე გავიდნენ. ამათგან კიევში მხოლოდ ბოლქვაძე ვერ მიდის, რომელმაც ანთალიაში ფინალში მეგრელიშვილთან შეხვედრაში ხელი იტკინა. ამათგან საქართველოს ჩემპიონი ბოლქვაძეა, თუმცა თურქულ ფინალში მეგრელიშვილი იმ ტრავმამდეც დიდი უპირატესობით უგებდა.



სიახლეა ჭაბუკებში ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ კირაკოზაშვილის 73-ში გამოჩენაც, რომელიც ადრე 60-ში ჭიდაობდა, ახლა კი ერთი წონის გამოტოვება გადაწყვიტა. ვნახოთ, რამდენად გამოიჩენს თავს ასეთი რადიკალური ნახტომის შემდეგ.

ანთალიური შეჯიბრების მედალოსნებს მწვრთნელებმა რამდენიმე ფალავანიც დაამატეს, რომელთა შორისაა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელის, ოლიმპიურ პრიზიორ **სოსო ლიპარტელიანის** ვაჟი ირაკლი ლიპარტელიანი. ის აქამდე რამდენიმე ტურნირში ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდა.

სავარაუდოდ, კიევის ტურნირი უკვე გამოავლენს 22-24 ივნისს ჩერნოგორიის ქალაქ ბარში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელ შემადგენლობას, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ზოგიერთ წონებში კონკურენცია კვლავაც ვერ გადაიჭრას. მაგალითად, 55-ში 2 ადგილისთვის სამი დაახლოებით თანაბრად ძლიერი კანდიდატი იბრძვის. თუ ვაკანტური ადგილები კიევის შემდეგაც დარჩება, მაშინ კონკურენცია მაისში გერმანიის ტურნირზე გადაიჭრება, სადაც ასევე წავლენ ის ფალავნები, რომლებსაც უკვე განალდებული ექნებათ ევროპაზე ჭიდაობა. წინა კატეგორიისთვის თუ ის შეჯიბრება შესარჩევი იქნება, ამათთვის სასტარტო ფუნქციას შეასრულებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# სამი თვე მოუგებლად

ფლორიდის შტატის ქალაქ ოსპრეიში 50-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ძალები **სოფიო შაფათავამ** (264) მოსინჯა. 23 წლის ქართველის წარუმატებლობები გრძელდება - სოფიოს ნოემბრის შემდეგ ერთეულებში მატჩიც კი არ მოუგია - ოსპრეიში პირველივე საკვალიფიკაციო რაუნდში ამერიკელ **კოკო ვანდევეგესთან** (169) წააგო - 1:6, 1:6.

ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველივე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა 16 წლის **კლეოპატრა ქარუმაშვილი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

# ქართულ-დაღესტნური საჭიდაო პარალელები

## გადისოვი - გოგშელიძის კონკურენტი

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჩვენთვის საინტერესო კომენტარი გააკეთა დაღესტნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **საჯიდ საჯიდოვმა**, როცა ბელგრადში აწ უკვე ევროპის ჩემპიონ **აბდუსალამ გადისოვის** (96) გამოსვლა შეაფასა. *„გადისოვმა ყველა გაგვახარა. ხუთ შეხვედრაში მას არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და დიდი რეზერვი გვაჩვენა. ვფიქრობ, ის ფინალში ქართველ გიორგი გოგშელიძეს და თურქ სერხატ ბალცისაც შეაჩერებდა, რომლებიც ტურნირის დაწყებამდე ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. ისინი ბადის სხვა მხარეს მოხვდნენ და ჯერ ერთმანეთში იჭიდავეს. თან იმდენად დაძაბულად იბრძოლეს, ამ წყვილის გამარჯვებულ ბალცის ნახევარფინალში უკრაინელ ვალერი ანდრიიცევთან ძალები აღარ შერჩა".*

ვფიქრობთ, ეს სიტყვები „თეთრი ხელთათმანი" უნდა გამოდგეს **გოგშელიძისთვის,** რომელსაც ახალი და არანაკლებ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, ვიდრე ამ წონაში რუსთა ნაკრების აქამდელი ლიდერი, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის რამდენიმეგზის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** იყო. ჩრდილოკავკასიელი ქომაგები თუ სპეციალისტები გოგშელიძეს დღესაც ძალიან აფასებენ, როგორც ძლიერ მოჭიდავეს. იქაურ ფორუმებსა თუ სპორტულ ინტერნეტსაიტებზე საწინააღმდეგო აზრს ვერ ნახავთ, ოღონდ ეს ჩვენებურს წარმატებაში ვერ წაადგება, თავად თუ სათანადოდ არ იშრომა. მით უფრო, კონკურენცია იზრდება, რასაც გადისოვის მაგალითიც ადასტურებს.


გიორგი გოგშელიძე

გადისოვი რუსეთის ნაკრებში პირველად 2009 წელს მოხვდა ცოტა კურიოზულ ვითარებაში - მაშინ ის 84 კილოგრამში გამოდიოდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში ირიცხებოდა, მაგრამ მწვრთნელებმა სატურნირო პრაქტიკისთვის ვაჟთა შორის რუსეთის ჩემპიონატში აჭიდავეს. **იმანმურზა ალიევის** აღზრდილი ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონი გახდა და რაკი ის შეჯიბრება მსოფლიოს პირველობისთვის შესარჩევიც იყო, წაიყვანეს კიდეც. მაშინ დანიურ ჰერნინგში მეხუთეზე გავიდა, რასაც მერე ზედმეტი წონით გამოწვეული ჩავარდნა მოჰყვა, ხელმეორე აღმასვლა კი 96-ში გადანაცვლების შემდეგ დაიწყო. ბელგრადში მოპოვებული კონტინენტის ჩემპიონობა მის კარიერაში პირველი დიდი გამარჯვებაა. ფიზიკურად არაჩვეულებრივად მომზადებული შეუჩერებელი იყო მეტოქეებისთვის. თან სწრაფია, ტექნიკური, ყველა წინა პირობა აქვს მაღალი მწვერვალების დასაპყრობად. ლამის გადაჭრით შეიძლება იმის თქმაც, რომ უახლოეს წლებში გოგშელიძეს ავარელთან მოუწევს კონკურენცია. დღეს ძალზე საეჭვოა, მისი დამარცხება გაცალოვმა შეძლოს, სხვა კონკურენტებს კი გადისოვი იოლად გაუსწორდა ივან იარიგინის ტურნირზე - ნახევარფინალში თბილისიდან წასული **გიორგი კეტოევი** დაჯაბნა, ფინალში - თანაგუნდელი დაღესტნელი **იბრაგიმ საიდოვი**. ვფიქრობთ, ჭიდაობის ქომაგისთვის ძალიან საინტერესო იქნება გადისოვისა და კიდევ ერთი ჩინებული „ფიზიკოსის", აზერბაიჯანელთა ოსი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **ხეტაგ გოზიუმოვის** პაექრობა - გოგშელიძის არ იყოს, მასაც ავარელი სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. არაა გამორიცხული, ეს ორთაბრძოლა 20-22 აპრილს სოფიაში, ევროპის სალიცენზიო ტურნირზეც შედგეს, თუმცა წინასწარი მონაცემებით, რუსები იქ საიდოვის წაყვანას აპირებენ.

გადისოვს ევროპის ჩემპიონობა სამშობლოშიც დაუფასეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა **საგიდ მურთაზალიევმა** ტოიოტას ჯიპი აჩუქა. თავის მოგვარე, ევროპის პირველობის დებიუტანტ და მესამე პრიზიორ **რასულ მურთაზალიევს** (60) ხასავიურტში ბინა უსახსოვრა. საბედნიეროდ, მანქანებით და ბინებით დასაჩუქრება არც ჩვენ გვიკვირს, თუმცა საგიდ მურთაზალიევის შემთხვევაში ჩვენთვის ერთი საინტერესო მომენტია - ოლიმპიური ჩემპიონი „დაღესტანში თავისუფალი ჭიდაობის მხარდაჭერის ფონდის" პრეზიდენტია და სპორტსმენებიც ამ ფონდის მეშვეობით დააფინანსა. სამწუხაროდ, სპონსორობის ასეთი ინსტიტუტი ჯერ უცხოა საქართველოსთვის.

### კიდევ ერთი არაქართული მაგალითი

დაღესტნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ამ დღეებში მახაჩყალაში, ოლიმპიური მზადების ცენტრში შეკრებაზეა, რისი სახსრებიც იმავე მურთაზალიევის ფონდისა და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ომარ მურთუზალიევის** დახმარებით გამოიძებნა. როგორც მურთუზალიევმა თქვა, ამით ისინი ორ კურდღელს დაიჭერენ - გადიან დამატებით წვრთნას და ემზადებიან ფედერალური ოლქის პირველობისთვის, რომელმაც რუსეთის ჩემპიონატის მონაწილენი უნდა გამოავლინოს. თავის მხრივ, ის საოლიმპიადოდ შესარჩევი შეჯიბრებაა.

მახაჩყალაში ამ შეკრებაზე უცხოელთაგან ბელარუსები და ყაზახები, რუსეთის რეგიონებიდან - იაკუტიის ნაკრებია ჩასული. მახაჩყალაშივეა პოლონეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც, ოღონდ ისინი ცალკე ვარჯიშობენ. მათმა თავკაცმა, **მარეკ გარმულევიჩმა** თქვა, პირობები პოლონეთშიც კარგია, შესანიშნავი ოლიმპიური ბაზა გვაქვს, მაგრამ სპარინგები გვაკლია, აქ კი რომელ დარბაზშიც შეხვალ, ყველგან სიამოვნებით გეჭიდავებიანო.

ყურადღება მიაქციეთ - მხოლოდ მახაჩყალაში რამდენი საჭიდაო ბაზაა, თორემ არაფერს ვამბობთ ხასავიურტზე, ყიზილიურტსა და ავტონომიის სხვა ქალაქებზე! თანაც, გამიდოვისა და ალიევის დარბაზები 5-5-ათასიანია, ხოლო ოლიმპიურ ცენტრზე ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, კარგა ხანს არ გვექნება ისეთი. თავი დავანებოთ იმას, რომ ნაკრების შეკრებას ცენტრალური ბიუჯეტის გარდა არავინ აფინანსებს, ქვეყანაში ერთი ისეთი დარბაზიც არაა, სადაც რამდენიმე ნაკრები თავისუფლად დაეტევა სავარჯიშოდაც და საცხოვრებლადაც. უცხოელებს ერთობლივ ვარჯიშებზე ჩამოსვლა აქაც სურთ, მაგრამ სწორედ ბაზის პრობლემის გამო უარს ეუბნებიან. მართალია, არის გამონაკლისები, მაგრამ ეს პატარ-პატარა ჯგუფებია და ისიც - აქედან წასული მოჭიდავეები, რომლებსაც ზოგჯერ მეგობრებიც მოჰყავთ ხოლმე სავარჯიშოდ. ჩვენი ფალავნები პერიოდულად კი მიდიან უცხოეთში მოსამზადებლად, მაგრამ ძირითადად მაინც საკუთარ წვენში იხარშებიან. არადა, ძლიერი ფალავნებით გადატენილი დარბაზი მასპინძელი ფალავნებისთვისაც სხვა სტიმულია. არაფერს ვამბობთ სპარინგ-პარტნიორთა ცვლის ხშირ სიკეთეზე - ფალავნები ეჩვევიან განსხვავებულ საჭიდაო სტილს, განსხვავებულ მეტოქეებს... ჩვენებს შეკრებაზე კი დაჰყავთ წონაში 4-5 კაცი, მაგრამ სად მუდმივად ერთთან ჭიდაობა და სად - სხვადასხვასთან. იმ ხუთიდან ყველამ ყველაფერი იცის მოწინააღმდეგეზე, უცხოელებთან ჭიდაობა კი ამ ხარვეზსაც აღმოფხვრიდა. ერთობლივი შეკრებების აუცილებლობა თუ ვინმეს მაინც საკამათოდ მიაჩნია, გადახედოს ბელარუსთა და რუსეთის ნაკრებში იმავე იაკუტიელთა ბოლოდროინდელ მიღწევებს (ევროპის ორგზის ჩემპიონი **ოპან სატი** (60) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ვიქტორ ლებედევი** (55) იქაურები არიან), რომლებიც სისტემატურად დადიან დაღესტანში შეკრებებზე.

ერთი სიტყვით, ქვეყანაში სასწრაფოდ გვჭირდება თანამედროვე სპორტკომპლექსი. სპორტის სასახლეები, რაც აქამდე აშენდა რეგიონებში ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელიცაა, მაგრამ მაღალი მიღწევების სპორტს სხვა მოთხოვნები სჭირდება. თანაც, რაც ხშირად ჩამოვლენ ჩვენთან უცხოელები, თბილისიც მით მეტად იქცევა რეგიონში ჭიდაობის ცენტრად, თორემ უკვე დავთმეთ პოზიციები.

**ირაკლი თავაძე**

ნიჩბოსნობა

# გვახარეთ, ნიჩბოსნებო ოლიმპიური სახელებით!


ეკატერინე შაბურიშვილი

სხვადასხვა ასაკის თბილისელი, ქუთაისელი, მცხეთელი, ფოთელი, რუსთაველი და დუშელი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მცხეთასთან მდინარე მტკვარზე გაიმართულ საქართველოს საგაზაფხულო პირად პირველობაში აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარასა და კანოეში. გოგონათა შორის 200 და 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარით ოქროს მედლები მცხეთელმა **ანი გვილავამ** (უმცროსებში) და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, დუშელმა **ეკატერინე შაბურიშვილმა** (უფროსებში) მოიპოვეს. ვაჟებში ყველას აჯობეს **გიორგი ელბაქიძემ** (დუშეთი), **ბადრი ყაველაშვილმა** (თბილისი) და **ზაზა ჯიშკარიანმა** (ქუთაისი). კანოეში, ასევე, 200 და 500 მეტრზე, პირველი ადგილები **მალხაზ ჭინჭარაშვილმა, გიორგი შაბურიშვილმა** (დუშეთი), **ვარლამ ნადირაძემ** (მცხეთა) და **ნიკოლოზ კუციამ** (რუსთავი) დაიკავეს. ამ სახეობაში არ უასპარეზია საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და ეროვნული ნაკრების წევრ **ზაზა ნადირაძეს,** რომელიც ამჟამად კიევში იმყოფება და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირისთვის ემზადება.

ფინიშის ხაზთან პირველები მიიჭრნენ ორადგილიანი ბაიდარათი: დუშელები - **ნიკა ლაზიაშვილი** და **გიორგი გობეჯიშვილი** (უმცროს ასაკში), ქუთაისელები - **ემზარ კიკალიშვილი** და **ზაურ დევიძე** (უფროსებში), ორადგილიანი კანოეთი: დუშელები - **მორის** და **მირზა უშიკაშვილი** (უმცროსებში), **გიორგი ჭინჭარაშვილი** და **გიორგი შაბურიშვილი** (უფროსებში).

აკადემიურ ნიჩბოსნობაში 1000 და 2000 მეტრზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ერთადგილიანი ნავებით - **არჩილ ბაიაშვილი** და **ნიკა კანდელაკი** (ორივე - მცხეთა), ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით 1000 მეტრზე: **დავით გიორგაძე-გიორგი** კათელაძე და **გიორგი ჩირაძე-დავით ფხაკაძე** (ოთხივე - ქუთაისი); 2000 მეტრზე - **გიორგი თოფურია-გიორგი** მუხათგვერდელი და **გიორგი მოთიაშვილი-ოთარ მოთიაშვილი** (ოთხივე -მცხეთა).

- შარშან მინგეჩაურში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა სპორტსმენებმა, - გვითხრა საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა.** - ბადრი ყაველაშვილმა ერთადგილიანი ბაიდარათი ორ დისტანციაზე პირველი ადგილები დაიკავა, ეკატერინე შაბურიშვილმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, აკადემიურ ნიჩბოსნობაში ძმები გიორგი და ოთარ მოთიაშვილები ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მესამე ადგილზე გავიდნენ. წლეულს მარტის ბოლოს ოთხივე სპორტსმენი კვლავ გაემგზავრება მინგეჩაურში მსგავს ტურნირზე საასპარეზოდ. მათთან ერთად გამოცდიან ძალებს აკადემიურში ერთადგილიანი ნავებით ნიკოლოზ კანდელაკი, არჩილ ბაიაშვილი, გიორგი ჯიქია; ორადგილიანით - გიორგი მუხათგვერდელი და გიორგი თოფურია; ერთადგილიანი კანოეთი - მალხაზ ჭინჭარაშვილი, ხოლო ორიანით - გიორგი შაბურიშვილი და გიორგი ჭინჭარაშვილი.

- ჩვენი ნაკრები აზერბაიჯანში ცალკე გუნდად წარდგება, - ჩაერია საუბარში ფოთის ნიჩბოსნობის სკოლის უფროსი მწვრთნელი **აკაკი იოსავა.** - მინგეჩაურში ფოთის მერიის დაფინანსებით რვა სპორტსმენი გაემგზავრება: გიორგი ტაბატაძე (ერთადგილიანი ბაიდარა), რატი ტულუში-ლაშა კვაჭაძე (ორადგილიანი ბაიდარა), იასონ ბართია (ერთადგილიანი კანოე), პეტრე ქავთარაძე, ნიკა ქავთარაძე, გიორგი კუჭავა და გელა ქოიავა (ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი). ბოლო დროს ჩვენთან მეტი ყურადღება ეთმობა ნიჩბოსნობას. ამას ისიც მოწმობს, რომ ჩვენთან მდინარე კაპარჭასა და რიონზე სამივე სახეობაში 1993-1999 წლებში დაბადებული 80-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ქალაქის მერიამ შარშან წლის ბოლოსთვის უცხოეთიდან ორი ათას დოლარზე მეტის ღირებულების 3 ნავი, ნიჩბები და ერთი ძრავა შეგვიძინა. შეგვპირდნენ, რომ წლის ბოლომდე კეთილმოწყობილ ბაზას აგვიშენებენ 50 ნავზე გათვლილი ელინგითა და სათავსებით. ყოველივე ეს კი ფოთში ნიჩბოსნობის უწინდელი ტრადიციების აღორძინებაში დაგვეხმარება.

**შალვა მუსოევი,** დუშეთის ნაკრების მწვრთნელი: - ასეთი მკაცრი ზამთარი არ მახსოვს – ბაზალეთი სამი თვის განმავლობაში იყო გაყინული, ამიტომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით კვირაში სამჯერ რვა გოგონა და ვაჟი მცხეთაში დაგვყავდა სავარჯიშოდ, დანარჩენ დროს ფიზმომზადებას ვუთმობდით. სეზონის პირველ შეჯიბრებაში ჩვენს სპორტსმენებს ურიგო შედეგები არ უჩვენებიათ. არც მინგეჩაურში შევირცხვენთ თავს. თუმცა, ერთი დიდი პრობლემა გვაწუხებს: დუშეთის სხვადასხვა სოფლიდან ბაიდარასა და კანოეში სავარჯიშოდ 25 გოგონა და ვაჟი დადის. თავშესაფრად ნიჩბოსნობის უწინდელი სასპორტო სკოლის შენობას ვიყენებთ, რომელიც დანგრევის პირასაა. მალე იქ შესვლა შეუძლებელი იქნება და ნიჩბოსნობაში კიდევ ერთი კერა მოირღვევა. ეს შენობა, სადაც ჯერ კიდევ ვატარებთ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ამიტომ დუშეთის მუნიციპალიტეტი რემონტს ვერ ატარებს. კარგი იქნება, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით ეს პრობლემა დროულად თუ მოგვარდება...

მინგეჩაურში ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირი აპრილის პირველ დეკადაში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტოები


ბადრი ყაველაშვილი

ჭადრაკი

# ლიდერები ფრთხილობენ

პლოვდივში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ერთდღიანი შესვენების შემდეგ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. მეწინავეთა პირველ 15 დაფაზე მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა შედეგიანად, დანარჩენ 12 პარტიაში მეტოქეები დაზავდნენ. ქართველთაგან **ბაადურ ჯობავამ** ქულა გაიყო ივან ივანიშევიჩთან (სერბეთი), **ლევან ფანცულაია** ყაიმზე შეუთანხმდა ფრანცისკო ვალეხოს (ესპანეთი). ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: იულიან რადულსკი (ბულგარეთი)-**მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **შოთა აზალაძე**-სანან სიუგიროვი (რუსეთი) 0.5:0.5, სტელიოს ფალკაისი (საბერძნეთი)-**დავით ლომსაძე** 0.5:0.5 ტორსტენ სარბოკი (გერმანია)-**დავით ბენიძე** 0:1, **ლუკა პაიჭაძე**-რობინ დრაგომირესკუ (რუმინეთი) 1:0, სვეტლანა ჩერედნიჩენკო (უკრაინა)-**გაიოზ ნიგალიძე** 0.5:0.5, **გიორგი ხელაია**-ბურხანუდინ მისინი (ესკ) 1:0.

შვიდი ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად ბელარუსი სერგეი აზაროვი დაწინაურდა. 12 მოჭადრაკეს 5.5:5.5 ქულა აქვს. ქართველთა მონაგარი: ჯობავა, ფანცულაია, მჭედლიშვილი-5-5, აზალაძე-4.5, ლომსაძე, ბენიძე-4, პაიჭაძე-3.5, ნიგალიძე-2.5, ხელაია-1.5 ქულა.

დღეს მე-8 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი

# კახეთში ჭადრაკი მომძლავრდა

კახეთის მხარე თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ჭადრაკის ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონად. აქ უკვე საკმაოდ მომრავლდნენ მაღალი რანგის სპორტსმენები - დიდოსტატები და საერთაშორისო დიდოსტატები. სწორედ მათთან მოეწყო ტრადიციული (უკვე მესამედ) შეხვედრა თელავის სამუსიკო სასწავლებელში ჭადრაკის რეგიონული ფედერაციის (პრეზიდენტი **გიორგი ღვინიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თაოსნობით.

მოწვეულთა შორის იყვნენ თელაველები - **ლელა ჯავახიშვილი, ქეთი ნანალაშვილი, თამარ ხმიადაშვილი,** გურჯაანელი **მაკა ფურცელაძე,** საგარეჯოელი **ნანა უნაფქოშვილი.** ღონისძიებას ვერ დაესწრო თელაველი **ანა მათნაძე,** რომელიც ამჯერად ესპანეთის ტურნირში თამაშობს. ცნობილ მოჭადრაკეებს გადაეცათ საჩუქრები.

ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ 20 მოჭადრაკის მონაწილეობით გაიმართა ტურნირი კახეთში ჭადრაკის პირველი პროპაგანდისტისა და მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, **გოგი ელიოზიშვილის** გარდამავალ თასზე. ადგილები განაწილდა ასე: 1. ლელა ხოტენაშვილი, 2. მალხაზ სულაშვილი (იგი წინა ორი ტურნირის გამარჯვებულია), 3. ნინო უნაფქოშვილი. ვეტერანებში პირველობა მოიპოვა თამარ ხმიადაშვილმა, ახალგაზრდებში - **გიორგი მათეშვილმა** (სიღნაღი). გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**ლელა ხეჩოშვილი**

გურჯაანიდან



# ამირან ყიფიანის გახსენება

40 დღე გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, როცა ავტოკატასტროფაში დაიღუპა 28 წლის სპორტსმენი, ცნობილი ხელბურთელი **ამირან ყიფიანი.**

ამ უბედურმა შემთხვევამ სულის სიღრმემდე შეძრა საქართველოს ხელბურთის სამყარო, უბედურება დაატყდა მის ოჯახს, სანათესაოს, მის მეგობრებს.

ამირანისთვის ხელბურთი მხოლოდ გატაცება არ იყო, სპორტი შესაძლებლობას აძლევდა წრფელად და ლაღად სრულად წარმოეჩინა უნიკალური ფიზიკური და პიროვნული ღირსებები, გამოირჩეოდა ენერგიული, სხარტი, სწრაფი თამაშით. მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის - სტუ-ს გუნდში, სადაც 2004 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თამაშობდა, გოლეადორის სახელი დაიმკვიდრა, ამასთან იყო გამორჩეულად გუნდური მოთამაშე, თანაგუნდელთა და ქომაგთა იმედი.

2003 წელს სპეციალისტთა ერთსულოვანი რეკომენდაციით საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჩარიცხეს. სამი წლის შემდეგ უკვე ეროვნული ნაკრების მაისურა, ნაკრებმა კი მისი თამაშის უნიკალური ხელწერა მოირგო. სტუ-ში გამოსვლის შუალედში ერთი სპორტული სეზონი უკრაინაში გაატარა, მაგრამ თავისი ქვეყნის პატრიოტი, 2009 წელს კვლავ თავის საყვარელ ქართულ გუნდს დაუბრუნდა. დაუბრუნდა გუნდსაც და ოჯახსაც - საფიცარ მშობლებს, მეუღლეს, პატარა ვაჟიშვილს...

მეგობრებს ისღა დაგვრჩენია მუდამ ღირსეულად მოვიგონოთ თანაგუნდელი, რომელმაც ქართული ხელბურთის სამსახურში, თანამოძმეთა თანადგომასა და სიყვარულში გალია თავისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე.

**მეგობრები**


თამაშის ასეთი სტილით გამოირჩეოდა ამირან ყიფიანი (№14)

მკლავჭიდი

# როცა 18 წლისა ხარ...

სპორტკომპლექსს „არენაში" 18-წლამდელ მკლავჭიდელთა საქართველოს პირველობაში სხვადასხვა რეგიონის 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა იასპარეზა ოთხ წონით კატეგორიაში როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მკლავით. ფაქტობრივად, თითოეულ წონაში 35-40 მონაწილე იბრძოდა მედლებისთვის. დაძაბული პაექრობების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**60 კგ. მარცხენა მკლავით.** 1. ოლეგ ცისკაძე, 2. ჯონი ზვიადაური, 3. გიორგი ივანიშვილი (სამივე - თბილისი). **მარჯვენა მკლავით.** 1. თორნიკე ქოროღლიშვილი (თბილისი), 2. ლევან პოლოსიანი (აჭარა), 3. გიორგი ჯიშიაშვილი (თბილისი).

**70 კგ. მარცხენათი.** 1. ვალერიან მელაძე (თბილისი), 2. გიორგი აბელაშვილი, 3. ზაზა ოქროცვარიძე (ორივე - ახმეტა). **მარჯვენათი.** 1. გიორგი აბელაშვილი, 2. რევაზ სინჯაძე (დუშეთი), 3. გიგა ჭილაძე (აჭარა).

**80 კგ. მარცხენათი.** 1. ელჩინ ბინატოვი (თბილისი), 2. ტარიელ გელაშვილი (ხაშური), 3. თამაზ მერაბიშვილი (თბილისი). **მარჯვენათი.** 1. გიორგი ბერიძე (თბილისი), 2. ბორის გარდელაშვილი (ქუთაისი), 3. ელჩინ ბინატოვი.

**+80 კგ. მარცხენათი.** 1. იოსებ მარუკაშვილი (ახმეტა), 2. გოგიტა რესულიძე (აჭარა), 3. ოვანეს ქერციანი (ნინოწმინდა). **მარჯვენათი.** 1. იოსებ მარუკაშვილი, 2. შალვა ფსუტური (ახმეტა), 3. ოვანეს ქერციანი.

ტრადიციულად, შეჯიბრებაში გოგონებმაც მოსინჯეს ძალები. ყველა საპრიზო ადგილი აჭარის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

**65 კგ. მარჯვენათი.** 1. დიანა ადამიანი, 2. ნინო მახარაძე, 3. მარინე ფუტკარაძე. **მარცხენათი.** 1. მარინე ფუტკარაძე, 2. დარინე ცერცვაძე, 3. მარი მელქაძე.

**+65 კგ. მარჯვენათი.** 1. მარინე ფუტკარაძე, 2. დარინე ცერცვაძე, 3. ნინო აბაშიძე. **მარცხენათი.** 1. მარინე ფუტკარაძე, 2. ლია გვიანიძე, 3. დარინე ცერცვაძე.

- საინტერესო შეჯიბრება გამოვიდა. მართალია, მონაწილეებმა პირველად იასპარეზეს დიდ სარბიელზე, მაგრამ ბევრმა მათგანმა პროფესიონალიზმით მოგვხიბლა, - გვითხრა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა **ერეკლე გურჩიანმა.** - თითოეულ წონაში ოთხ-ხუთ საუკეთესოს შევარჩევთ და საწვრთნელ შეკრებასთან ერთად სპარინგ შეხვედრებსაც ჩავუტარებთ, რათა მართლაც უძლიერესებით დავაკომპლექტოთ საქართველოს ნაკრები, რომელიც 13-20 მაისს პოლონეთში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. იმავე შეჯიბრებაზე გამოვა ეროვნული გუნდიც, რომელსაც 25 აპრილს საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დავაკომპლექტებთ.

**ვაჟა დანელია**

საფალავნოს ფოტომატიანე

1960-იანი წლების მეორე ნახევარში თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითად ბირთვს ქართველი ფალავნები წარმოადგენდნენ და წარმატებებიც გარანტირებული იყო. იმ პერიოდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა ფალავნებმა საერთაშორისო სარბიელზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში თუ ოლიმპიურ თამაშებში.

სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1967 წელს ალუშტაშია გადაღებული, საბჭოთა ნაკრების შეკრებაზე ყოფნის დღეებში.

მარცხნიდან: **შოთა ლომიძე, ნოდარ ხოხაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე.**

*ფოტო თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, გურამ სალარაძის ალბომიდან.*



სუპერლიგა. XIX ტურის რჩეულნი

# ცხრილი და გაცხრილულები




ჩვენი გაზეთის ორშაბათის ნომერში სუპერლიგის მატჩების მიმოხილვა შემოგთავაზეთ, თუმცა ადგილის სიმცირის გამო სატურნირო მდგომარეობის განხილვაზე ყურადღება სათანადოდ ვერ გავამახვილეთ. არადა, რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 3 ტური დარჩა და ბევრი გუნდის საკითხი უკვე გარკვეულია. ცხრილი დღეს გავაანალიზოთ.

## X-XI

დავიწყოთ ქვემოდან. „რუსთავს" 1 მოგება აქვს, „ბათუმს" - 2. ისინი საპლეიოფო რვაეულში მყოფ თსუ-ს (6 გამარჯვება) ველარ დაეწევიან. ასე რომ, ქვემოქართლელებსა და აჭარლებს სეზონის დასრულებამდე სამ-სამი მატჩი დარჩათ.

## IX

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს სტუ, რომელმაც გასულ შაბათს თსუ-სთან პრინციპული შეხვედრა დათმო და მერვეადგილოსანს ერთი მოგებით ჩამორჩა. რადგან ტექნიკოსებს თსუ-სთან უარყოფითი ბალანსი აქვთ, საპლეიოფო ზონიდან რომ გამოაძევონ მომდევნო სამ ტურში ორი მატჩი მაინც უნდა მოიგონ (ამასობაში თსუ-მ ყველა წააგოს), რაც ახალგაზრდული გუნდისთვის ზერთული ამოცანაა - გადახედეთ მათ მომავალ მეტოქეებს.

## VII-VIII

ასე და ამგვარად, თსუ პრაქტიკულად მეოთხედფინალშია. თუმცა პლეი ოფში მერვე ადგილით შესვლა სახარბიელო სულაც არ არის - პირველ ეტაპზე მეტოქედ „არმია" ეყოლება. თუმცა, სადღეისო მონაცემებით მეშვიდე ადგილის დაკავების მეტი შანსი „სამედიცინოს" აქვს, რომელიც თსუ-ს 1 გამარჯვებით უსწრებს და რეგულარული ეტაპი თანაბარი ქულებითაც რომ დაასრულონ ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის მიხედვით მეშვიდეზე „მედიკოსები" დარჩებიან. ამიტომ, თსუ-ელებმა „სამედიცინოს" მოგებათა რაოდენობით უნდა გადაასწრონ. ეს რამდენად რეალურია, დარჩენილი მატჩების მიხედვით თავად შეგიძლიათ განსაზღვროთ.

## IV-V-VI

დიდი სიმჭიდროვეა ცხრილის შუაში. „სოხუმს" 18 მატჩში 28 ქულა აქვს, „შსს აკადემიას" 17 შეხვედრაში - 27, „დინამოს" 17-ში - 26. იმის გათვალისწინებით, რომ სოხუმელებს ორი დარჩენილიდან ერთი თამაში „არმიასთან" ელით, დინამოელებს აქვთ შანსი, რეგულარული ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულონ. „შსს აკადემიას" კი მეოთხე პოზიციას, ალბათ ვერავინ შეეცილება, რადგან მომდევნო შეხვედრებში ცხრილში მასზე ქვემოთ მყოფებთან ითამაშებს.

იმასაც გეტყვით, რომ მეოთხედფინალში მეოთხეადგილოსანი მეხუთეს შეხვდება, მესამე - მეექვსეს, მეორე - მეშვიდეს, ხოლო პირველი - მერვეს.

## II-III

მეორე ადგილის მკვიდრ „ქუთაისს" ორი მატჩი აქვს დარჩენილი, ორივე აუტსაიდერებთან. სასწაული უნდა მოხდეს, იმერლებმა „ბათუმთან" ან სტუ-სთან რომ წააგონ. ამიტომ, მეორე პოზიციის დასაკავებლად „ოლიმპს" სამივე მატჩი მოსაგები აქვს, მათ შორის 21 აპრილს „არმიასთან". მეორეობა კი „ოლიმპისთვისაც" და „ქუთაისისთვისაც" დიდი პლუსია, რადგან ნახევარფინალში ურთიერთშეხვედრის შემთხვევაში მოედნის უპირატესობა იმ გუნდის მხარეს იქნება, ვინც რეგულარულ ეტაპს უკეთეს პოზიციაზე დაასრულებს.

## I

რეგულარულის ჩემპიონის ვინაობა დიდი ხანია გაირკვა - „არმია" მიმდინარე სუპერლიგაში ერთხელაც არ დამარცხებულა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 17 | 0 | 1538/1074 | 34 |
| 2. ქუთაისი | 18 | 14 | 4 | 1540/1390 | 32 |
| 3. ოლიმპი | 17 | 14 | 3 | 1437/1247 | 31 |
| 4. სოხუმი | 18 | 10 | 8 | 1433/1377 | 28 |
| 5. შსს აკადემია | 17 | 10 | 7 | 1512/1334 | 27 |
| 6. დინამო | 17 | 9 | 8 | 1407/1442 | 26 |
| 7. სამედიცინო | 18 | 7 | 11 | 1457/1545 | 25 |
| 8. თსუ | 17 | 6 | 11 | 1383/1499 | 23 |
| 9. სტუ | 17 | 5 | 12 | 1289/1475 | 22 |
| 10. ბათუმი-რსუ | 17 | 2 | 15 | 1216/1512 | 19 |
| 11. რუსთავი | 17 | 1 | 16 | 1176/1493 | 18 |

**XX ტური**

**30 მარტი (ბათუმი)**

17:00 ბათუმი-არმია

**30 მარტი (ქუთაისი)**

18:00 ქუთაისი-სტუ

**31 მარტი (თბილისი)**

14:00 ოლიმპი-დინამო
16:00 შსს-სამედიცინო
18:00 თსუ-რუსთავი

**XXI ტური**

**5 აპრილი (ბათუმი)**

17:00 ბათუმი-რუსთავი

**6 აპრილი (თბილისი)**

12:00 დინამო-სტუ
14:00 ოლიმპი-სამედიცინო
16:00 არმია-სოხუმი
18:00 თსუ-შსს

**XXII ტური**

**20 აპრილი (ქუთაისი)**

18:00 ქუთაისი-ბათუმი

**21 აპრილი (თბილისი)**

12:00 შსს-რუსთავი
14:00 არმია-ოლიმპი
16:00 თსუ-დინამო
18:00 სოხუმი-სტუ



სამედიცინო-ქუთაისი .......... 84:92
სტუ-თსუ .......... 77:100
სოხუმი-შსს აკადემია .......... 52:74
რუსთავი-არმია .......... 71:75
ბათუმი-ოლიმპი .......... 85:103

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 14/20; 3-ქულ 2/6; საჯ 7/8
03.03.12 შსს-დინამო

**მოხსნა**

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**ჩაჭრა**

8 - ბენჯამინ ვუდსაიდი (არმია)
10.03.12 სამედიცინო-არმია

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი

14 - ბენჯამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
14.02.12 დინამო-არმია

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
17.03.12 დინამო-ბათუმი

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 11 | 301 | 27.36 |
| 2 | ძიენ კარტერი | დინამო | 14 | 324 | 23.14 |
| 3 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 231 | 23.1 |
| 4 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 17 | 381 | 22.41 |
| 5 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 17 | 356 | 20.9[illegible] |
| 6 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 202 | 18.36 |
| 7 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 162 | 18 |
| 8 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 17 | 294 | 17.29 |
| 9 | უილიამ ტომასი | არმია | 14 | 239 | 17.07 |
| 10 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 17 | 288 | 16.94 |
| 11 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 14 | 234 | 16.71 |
| 12 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 16 | 267 | 16.69 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიენ კარტერი | დინამო | 14 | 76 | 115 | 191 | 13.64 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 17 | 42 | 131 | 173 | 10.18 |
| 3 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 11 | 47 | 64 | 111 | 10.09 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 37 | 124 | 161 | 9.47 |
| 5 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 16 | 69 | 76 | 145 | 9.06 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 16 | 32 | 111 | 143 | 8.94 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 17 | 34 | 117 | 151 | 8.88 |
| 8 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 17 | 47 | 98 | 145 | 8.53 |
| 9 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 58 | 83 | 141 | 8.29 |
| 10 | აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 16 | 53 | 78 | 131 | 8.19 |
| 11 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 17 | 45 | 92 | 137 | 8.06 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 14 | 123 | 8.79 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 61 | 6.78 |
| 3 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 15 | 98 | 6.53 |
| 4 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 11 | 71 | 6.45 |
| 5 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 17 | 92 | 5.41 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 91 | 5.35 |
| 7 | დავით არწივიძე | რუსთავი | 17 | 85 | 5 |
| 8 | ბექა წივწივაძე | დინამო | 10 | 48 | 4.8 |
| 9 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 15 | 72 | 4.8 |
| 10 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 41 | 4.1 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 11 | 36 | 3.27 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 9 | 27 | 3 |
| 3 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 17 | 44 | 2.59 |
| 4 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 14 | 36 | 2.57 |
| 5 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 34 | 2 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 33 | 1.94 |
| 7 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 17 | 33 | 1.94 |
| 8 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 17 | 33 | 1.94 |
| 9 | გილერმო დიასი | არმია | 13 | 25 | 1.92 |
| 10 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 17 | 31 | 1.82 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 16 | 27 | 1.69 |
| 2 | იოაკიმ შილგომი | არმია | 16 | 26 | 1.63 |
| 3 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 16 | 21 | 1.31 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 22 | 1.29 |
| 5 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 17 | 20 | 1.18 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 17 | 20 | 1.18 |
| 7 | ჟულივეტ ტუჯანი | რუსთავი | 17 | 19 | 1.12 |
| 8 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 16 | 17 | 1.06 |
| 9 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 17 | 1 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 17 | 86 | 5.06 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 14 | 54 | 3.86 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 15 | 57 | 3.8 |
| 4 | ბექა წივწივაძე | დინამო | 10 | 36 | 3.6 |
| 5 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 15 | 51 | 3.4 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 17 | 54 | 3.18 |
| 7 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 15 | 47 | 3.13 |
| 8 | ზურა მაჟავარიანი | რუსთავი | 17 | 51 | 3 |

18-წლამდელთა ჩემპიონატი. პლეი აუტი

# მეოთხედფინალამდე...

**ბათუმი-თელავი 62:51**

15:12, 12:13, 15:10, 20:6

**ბათუმი:** მელუა (14ქ), ბოლქვაძე (11ქ, 14მ)
**თელავი:** ხაჩიძე (19ქ, 15მ); ყვარელაშვილი (15), ამონაშვილი (10ქ, 21მ)

**ავერსი-კარდინალი 66:79**

15:20, 20:26, 11:18, 20:15

**ავერსი:** ღლონტი (14ქ), ოსკოპელი (13)
**კარდინალი:** კენჭიაშვილი (19ქ), მ. მეგრელიძე (18ქ), თ. მეგრელიძე (18)




სანამ პლეი ოფი დაიწყებოდეს, 18-წლამდელთა ჩემპიონატში IX-XII ადგილებისთვის მატჩები გაიმართა.

მეცხრე ადგილისთვის ერთმანეთს ბათუმისა და თელავის გუნდები შეხვდნენ. რეგიონულ დაპირისპირებაში ზღვისპირელებმა იმარჯვეს. შეხვედრა დაძაბული გამოდგა, რომლის ბოლო მეოთხედი უკეთ ბათუმელებმა ჩაატარეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ. შესაბამისად, 18-წლამდელთა ჩეპიონატში მე-9 ადგილი აჭარულ გუნდს დარჩა, ხოლო მეათეზე კახელები გავიდნენ.

XI-XII ადგილებისთვის ერთმანეთს „ავერსი" და „კარდინალები" დაუპირისპირდნენ. გამარჯვება კარდინალებმა მოიპოვეს, რომლებმაც მეტოქე 79:66 დაამარცხეს.

მოგებულთა შორის 19 ქულით საუკეთესო **გურამ კენჭიაშვილი** იყო, რომელსაც თითო ქულით **მიხეილ** და **თედო მეგრელიძეები** ჩამორჩნენ. პლეი აუტში დარჩენილია ერთი მატჩი. XII-XIV ადგილებისთვის ერთმანეთს „სამედიცინო" და 1997-წლამდელთა ნაკრები დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში 8 გუნდია გასული. მეოთხედფინალური სერია ორ გამარჯვებამდეა. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „ქუთაისი"-"აკადემია 2", „სოხუმი"-"შსს აკადემია", რუსთავი"-"მარნეული" და „აკადემია"-"ჰიუნდაი".

აქვე შემოგთავაზებთ რეგულარული ეტაპის საბოლოო ცხრილებს.

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 12 | 12 | 0 | 1177/732 | 24 |
| 2. აკადემია | 12 | 9 | 3 | 919/694 | 21 |
| 3. შსს აკადემია | 12 | 9 | 3 | 1043/682 | 21 |
| 4. მარნეული | 12 | 5 | 7 | 692/855 | 17 |
| 5. თელავი | 12 | 3 | 9 | 735/922 | 15 |
| 6. ავერსი | 12 | 2 | 10 | 731/1016 | 14 |
| 7. სამედიცინო | 12 | 2 | 10 | 616/1012 | 14 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 14 | 13 | 1 | 1219/918 | 27 |
| 2. სოხუმი | 14 | 13 | 1 | 978/729 | 27 |
| 3. ჰიუნდაი | 14 | 10 | 4 | 1085/937 | 24 |
| 4. აკადემია 2 | 14 | 7 | 7 | 903/807 | 21 |
| 5. ბათუმი | 14 | 6 | 8 | 952/1027 | 20 |
| 6. კარდინალი | 14 | 5 | 9 | 903/1008 | 19 |
| 7. ნაკრები 97 | 14 | 2 | 12 | 815/971 | 16 |
| 8. ნიკე | 14 | 0 | 14 | 732/1190 | 14 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ტურნე ინგლისსა და უელსში



# მეორე გამარჯვება ბრიტანულ მიწაზე

**უელსი XV-საქართველო A 32:36**

**საქართველო A:** 15. საბა ნიკოლავა, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. გიორგი ჯიმშელაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ირაკლი გეგენავა, 9. გიორგი კაჭარავა. 1. ირაკლი მირცხულავა, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. გიორგი მენაბდიშვილი, 4. მიხეილ გაჩეჩილაძე, 5. დავით ჩიტიძე, 6. ბექა ბინაძე, 7. გივი ბერიშვილი, 8. გიორგი ტყეშელიაძე.

16. ბექა მეკოკიშვილი, 17. ლევან ჩილაჩავა, 18. ჯაბა კიკვიძე, 19. გიორგი თხილაიშვილი, 20. ალექსანდრე ნიჟარაძე, 21. გიგა გაგოშვილი, 22. ბექა ურჯუკაშვილი.

**ნლ:** მამუკაშვილი, ჩიტიძე, კაჭარავა, ჩხიკვაძე, კიკვიძე.

საქართველოს A ნაკრებმა ბრიტანულ ტურნეში მეორე შეხვედრა მოიგო. ამჯერად მეტოქე ინგლისურ „ეშერზე" ბევრად ძლიერი გვყავდა, მაგრამ უელსის კლუბების ნაკრების ძლევა ჩვენმა მორაგბეებმა მაინც შეძლეს - 36:32, თანაც ისე, რომ მასპინძლებს ხუთი ლელო გაუტანეს, საპასუხოდ კი მხოლოდ ორი მიიღეს.

პირველი ტაიმის 25-ე წუთისთვის ჩვენმა მორაგბეებმა ორი ლელოს გატანა მოახერხეს და 14:12-ს იგებდნენ. ლელოები პირველხაზელმა **შალვა მამუკაშვილმა** და მეორეხაზელმა **დავით ჩიტიძემ** მიითვალეს, ორივეჯერ ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** გარდასახა.

სამწუხაროდ ქართველი მორაგბეები ხშირად ჯარიმდებოდნენ. მასპინძლებმა 28-ე წუთზე მეხუთე საჯარიმო გაგვიტანეს და ანგარიშში დაწინაურდნენ - 15:14. პირველი ნახევრის დასკვნით ათ წუთში კაცნაკლულმა მოგვიწია თამაშმა. ჩხუბისთვის მოედნიდან ათი წუთით პირველხაზელი **გიორგი მენაბდიშვილი** გააძევეს. რიცხობრივი უპირატესობით უელსელებმა ისარგებლეს და ლელო გაგვიტანეს, მათ არც გარდასახვა გასჭირვებიათ - 22:14.

ტაიმის მიწურულს ჩვენმა მორაგბეებმა მაინც იძალეს და უელსის კლუბების ნაკრები ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** მესამედ დაალელოვა, ნიკოლავამ ესეც გარდასახა - 21:22. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ უელსელებმა მალევე კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანეს და ანგარიშში ოთხი ქულით დაწინაურდნენ - 25:21. ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობას მთლიანად საქართველოს A ნაკრები დაეუფლა და ზედიზედ ორი ლელოს გატანა შეძლო. თავი შუამარბმა **ირაკლი ჩხიკვაძემ** და შეცვლაზე შესულმა მეორეხაზელმა **ჯაბა კიკვიძემ** გამოიჩინეს, ნიკოლავამ მხოლოდ ერთი გარდასახა - 33:25.

მატჩის დასრულებას ექვსი წუთი აკლდა, როცა უელსელებმა მეორე ლელო გაგვიტანეს და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს - 32:33. ორიოდ წუთში კი ნიკოლავამ საჯარიმო გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 36:32.

შეგახსენებთ, რომ გუნდთან ერთად ტურნეში იმყოფებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი** და **ტონი ბარჯესი.** მომდევნო შეხვედრას საქართველოს A ნაკრები 31 მარტს ჩრდილოეთ უელსის ნაკრებთან გამართავს.

**21 მარტი**

**საქართველო A-ეშერი 25:8**

**31 მარტი**

**საქართველო A-ჩრ. უელსი XV**

გაზაფხულის ტურნირი

# დასაწყისშივე ორი მატჩი გადაიდო

გაზაფხულის ტურნირის პირველი ეტაპი, პირველი ლიგის გუნდების მონაწილეობით, დასრულდა. მეორე ეტაპზე თამაშის უფლება, რომელშიც უმაღლესლიგელებიც ჩაერთვებიან, ქუთაისის „ბაგრატმა" და თბილისის „თიბისიმ" მოიპოვეს.

თბილისურმა გუნდმა აღმოსავლეთ ზონაში გაიმარჯვა. აქ გათამაშება ერთი კვირის წინ დასრულდა. „თიბისიმ" და თბილისის „ხულიგანამ" ერთნაირი, 10-10 ქულა დააგროვეს, მაგრამ რადგან ურთიერთშეხვედრაში „თიბისიმ" აჯობა, პირველობაც მას ერგო. ახლა ეს გუნდი 1 აპრილიდან უმაღლეს ლიგელთა პაექრობაში ჩაერევა. თბილისელები B ჯგუფში მოხვდნენ, სადაც პირველი ტურის მატჩს სტუმრად გამართავს ფოთში, ქუთაისის „აიასთან".

ამავე ჯგუფში „ლოკომოტივი" ავჭალაში „ყოჩებს" დაუპირისპირდება, რუსთავის „ხარები" კი უმაღლესი ლიგის დებიუტანტს, თბილისის „ჯიქებს" უმასპინძლებს.

**აღმოსავლეთი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. თიბისი - 10 ქულა, 2. ხულიგანა - 10, 3. დევები - 8, 4. ვეფხვები - 1**

დასავლეთის ზონაში გათამაშება გასულ უქმეებზე დასრულდა. ბოლო ტურის მატჩების გარდა გაიმართა გადატანილი შეხვედრაც. სამწუხაროდ, სენაკში მაყურებელთა აგრესიული ქმედების გამო ჩაიშალა შეხვედრა ადგილობრივ „ნოქალაქევსა" და ოზურგეთის „არწივებს" შორის.

პირველობა ზონაში არავის დაუთმო ქუთაისის „ბაგრატმა", რომელიც მეორე ეტაპზე A ჯგუფში იასპარეზებს. ამ გუნდის პირველი შეხვედრა სტუმრად „არმიასთან" გადაიდო, რადგან არმიელთა წამყვანი მოთამაშეები საქართველოს A ნაკრებთან ერთად იმყოფებიან ბრიტანულ ტურნეში. ამავე მიზეზით გადაიდო თბილისური გუნდების, „ლელოსა" და „აკადემიას" დაპირისპირებაც.

A ჯგუფში 31 მარტს ერთი შეხვედრა გაიმართება, თბილისის „არმაზი" შინ „ბათუმი XV"-ს მიიღებს.

**დასავლეთი**

**V ტური**

**ჯრუჭი-ბაგრატი 3:45, ნოქალაქევი-არწივები (ჩაიშალა)**

**გადატანილი**

**რაინდები-ნოქალაქევი 36:6**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბაგარატი - 24 ქულა, 2. დელფინები - 19, 3. რაინდები - 13, 4. არწივები - 6, 5. ნოქალაქევი - 0, 6. ჯრუჭი - 0.**

**II ეტაპი**

**I ტური**

**A ჯგუფი**

**არმია-ბაგრატი (გადაიდო), ლელო-აკადემია (გადაიდო), არმაზი-ბათუმი XV**

**B ჯგუფი**

**ლოკომოტივი-ყოჩები, ხარები-ჯიქები, აია-თიბისი**

ზე რაგბი

# დაუმარცხებელი ერთია: კეიპთაუნის სტორმერზი

ზე რაგბის გათამაშების მე-5 ტური A ჯგუფის აუტსაიდერების „მელბურნ რებლზისა" და პერთის „ფორსის" დაპირისპირებით გაიხსნა. მელბურნელებმა უმძიმეს ბრძოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს - 30:29.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა თამაში საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და 26-ე წუთისთვის 24:7-ს იგებდნენ. მათ შვიდ-შვიდი წუთის შუალედით სამი ლელო გაიტანეს. ერთ-ერთი მათგანი ინგლისელი მგეზავის **დენი სიპრიანის** ანგარიშზეა. მანვე ზუსტად გამოიყენა სამივე გარდასახვაც.

სტუმრები მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურდნენ, 63-ე წუთზე დაწინაურება შეძლეს - 29:27. გამარჯვების მომტანი საჯარიმო მასპინძლებისთვის 73-ე წუთზე გარემარბმა **მარკ ჯერარდმა** გაიტანა.

ამავე ჯგუფში დიდი ინტერესი გამოიწვია გათამაშების ფავორიტების სიდნეის „ვორათაზისა" და დურბანის „ნატალ შარქსის" დაპირისპირებამ. სიდნეელებმა მეტოქეს ოთხი ლელო დაუდეს, რაზეც სტუმრებმა მხოლოდ სამით უპასუხეს და „ვორათაზმა" უმნიშვნელოვანესი ხუთი ქულა მიითვალა - 34:30.

აღსანიშნავია, რომ „ზვიგენებმა" მასპინძლებს პირველ ტაიმში 17:13 აჯობეს. შესვენების შემდეგ ანგარიშში უპირატესობა რვა წუთში თერთმეტამდე გაზარდეს - 24:13. სიდნეელები ამის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ და „ნატალ შარქსს" სამი უპასუხო ლელო გაუტანეს.

A ჯგუფის ლიდერმა კანბერას „ბრამბიზმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა B ჯგუფის პირველადგილოსანი დანიდინის „ჰაილენდერზი" - 33:26. ავსტრალიურ კლუბში სამი ლელოდან ორი გარემარბმა **ჯოზეფ ტომინიმ** მიითვალა, მგეზავის **კრისტიან ლეალიფანოს** ანგარიშზე 18 ქულაა (სამი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო).

**A ჯგუფი**

**მელბურნ რებლზი-ფორსი 30:29, ვორათაზი-ნატალ შარქსი 34:30, ბრამბიზი-ჰაილენდერზი 33:26.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 17 ქულა, 2. ვორათაზი - 13, 3. რედსი - 13, 4. მელბურნ რებლზი - 10, 5. ფორსი - 7.**

**VI ტური**

**ბრამბიზი-ნატალ შარქსი, ფორსი-რედსი**

B ჯგუფში ოქლენდის „ბლუზმა" შინ წააგო ველინგტონის „ჰარიკენზთან" - 25:26. მატჩი, როგორც ანგარიშიდან ჩანს, ძალზედ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, სტუმრებმა სამი ლელოს წყალობით მიმდინარე გათამაშებაში მესამე გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში აქამდე პირველ ადგილზე მყოფ „ჰაილენდერზს" ახლა მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან.

ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" - 28:21. აღსანიშნავია, რომ „ჯვაროსნები" 43-ე წუთისთვის 18:3 იგებდნენ, თუმცა სტუმრებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და მრისხანე მეტოქეს შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში მიღებული ტრავმის მოშუშების შემდეგ, პირველად ითამაშა „კრუსეიდერზის" შემადგენლობაში მგეზავმა **დენ კარტერმა**, რომელიც მოედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა.

**B ჯგუფი**

**ბლუზი-ჰარიკენზის 25:26, კრუსეიდერზი-ჩიტაზი 28:21**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 18 ქულა, 2. ჰაილენდერზი - 17, 3. ჰარიკენზი - 15, 4. კუსეიდერზი - 14, 5. ბლუზი - 6.**

**VI ტური**

**ჰაილენდერზი-მელბურნ რებლზი, ჰარიკენზი-ჩიტაზი, ჩიფსი-ვორათაზი.**

პრეტორიის „ბლუ ბულზმა" მოულოდნელად დიდი ანგარიშით დაამარცხა ზე რაგბის შარშანდელი გამარჯვებული ბრისბერნის „რედსი" - 61:8. „ლურჯი ხარების" მიერ „წითლების" ძლევა არავის გაკვირვებია, თუმცა ასეთ გამანადგურებელ ანგარიშსაც არავინ ელოდა. პრეტორიელებმა მეტოქეს რვა ერთმანეთზე უკეთესი ლელო გაუტანეს, რომლებიც „ბლუ ბულზის" რვა მორაგბის ანგარიშზეა. მგეზავმა **მორნი სტეინმა**, რომელმაც მოედანი ლელოს გარეშე დატოვა, გუნდს 18 ქულა შესძინა (ექვსი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

ზე რაგბის წლევანდელ გათამაშებაში ჯერაც დაუმარცხებელი ერთი გუნდიღა დარჩა. ეს კეიპთაუნის „სტორმერზია", რომელმაც მე-5 ტურში სტუმრად სძლია იოჰანესბურგის „ლაიონზს" - 24:19. ყველაზე შედეგიანი გამარჯვებულთა შორის ფულბეკი **კრისტიან პიტერსენი** იყო, რომელმაც 14 ქულა დააგროვა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

**C ჯგუფი**

**ბლუ ბულზი-რედსი 61:8, ლაიონზი-სტორმერზი 19:24**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 20 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 19, 3. ნატალ შარქსი - 12, 4. ლაიონზი - 10, 5. ჩიტაზი - 7.**

**VI ტური**

**ლაიონზი-კრუსეიდერზი, სტორმერზი-ბლუ ბულზი**



პიერ სპისი მეტოქით ხელში

ექვსი ერი

# პომების თავკაცი ხვალ გაცხადდება

ინგლისის რაგბის კავშირი უახლოეს დღეებში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობას დაასახელებს. სპეციალურ გასაუბრებაზე უკვე მიწვეული ჰყავდათ დროებითი თავკაცი **სტიუარტ ლანკასტერი** და სამხრეთაფრიკელი **ნიკ მალეტი,** რომელიც აქამდე იტალიის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში.

საერთო აღიარებით, უპირატესობა ლანკასტერს აქვს, თუმცა ასპარეზზე გამოჩნდა კიდევ ერთი კონკურენტი **კლაივ ვუდვორდი,** რომელმაც „პომებს" 2003 წელს ავსტრალიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება მოაგებინა.

ინგლისური რაგბის ხელმძღვანელი ორგანოს გენერალურმა დირექტორმა **იან რიჩმა** საბოლოო გადაწყვეტილება 48 საათში უნდა წარუდგინოს ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ახალ მწვრთნელს ოფიციალურად დაამტკიცებს.

ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი" ამტკიცებს, რომ ყველაზე ძლიერი პოზიცია **სტიუარტ ლანკასტერს** უჭირავს. მან გასაუბრებისას თავდადებით დაიცვა თავისი თანაშემწეები **ენდი ფარელინ** და **გრემ რაუნტრი,** რომლებმაც მასთან ერთად უდიდესი სამუშაო გასწიეს წლეულს გამართულ ექვსი ერის გათმაშების მსვლელობისას. ინგლისის რაგბის კავშირს სურვილი ჰქონია მწვრთნელთა შტაბს „ოლ ბლექსის" ყოფილი მწვრთნელი **უეინ სმიტი** დაამატოს, რასაც ლანკასტერი არ დაეთანხმა. შესაბამისად, სმიტი „პომებთან" მხოლოდ მაშინ იმუშავებს, თუ მთავარ მწვრთნელად ნიკ მალეტს დანიშნავენ.

ამასთან ერთად, გაზეთი „დეილი ექსპრესი" ამტკიცებს, რომ ნაკრების მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატი კლაივ ვუდვორდია. თუმცა ახლახან „ლონდონ აირიშის" დირექტორად დანიშნულმა ინგლისის ნაკრების უკანა ხაზის მწვრთნელმა **ბრაიან სმიტმა** თქვა:

*„კლაივ ვუდვორდს შესაძლოა კონსულტანტის თანამდებობა შესთავაზონ. მას დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელთა მომავალ შტაბს ძალიან წაადგება.*

*ვფიქრობ, საბოლოოდ არჩევანი ლანკასტერზე გაჩერდება. რადგან ის კარგად იცნობს ახლაგაზრდა ინგლისელ მორაგბეებს, სტიუარტი ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ხომ მათ განვითარებაზე აგებდა პასუხს.*

*ლანკასტერი თანაშემწეებს უცვლელად დატოვებს, ამას დაუმატეთ ვუდვორდის ცოდნა და გამოცდილება. ვფიქრობ, შესანიშნავი გუნდი გამოვა, რომელსაც იოლად შეეძლება ურთულეს სიტუაციებში გუნდის სწორად მართვა".*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

### კრივი


ვლადიმერ კლიჩკო

# კლიჩკომ თარიღი დანიშნა

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვლადიმერ კლიჩკომ** თავისი მორიგი საჩემპიონო ბრძოლის თარიღი და ჩატარების ადგილი შეათანხმა ამერიკელ **ტონი ტომპსონთან**, რომელიც IBF-ის ტიტულის ოფიციალურ პრეტენდენტად მიიჩნევა. შეხვედრა 7 ივლისს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში გაიმართება.

ბრძოლას ბერნის საფეხბურთო მოედანი უმასპინძლებს – ეს არის Stade de Suisse-ის არენა, რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს.

წინა შვიდი ბრძოლა უმცროსმა კლიჩკომ გერმანიაში გამართა. ბოლო ბრძოლაში, რომელიც 4 მარტს გაიმართა, უკრაინელმა ნოკაუტით დაამარცხა ფრანგი **ჟან-მარკ მორმეკი**.

ვლადიმერ კლიჩკო და ტონი ტომპსონი ერთხელ უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. ეს მოხდა 2008 წელს ჰამბურგში. უკრაინელმა მე-11 რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა. იქიდან მოყოლებული ტომპსონმა ხუთი ბრძოლა გამართა, ხუთივე ნოკაუტით მოიგო და საჩემპიონო ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტი გახდა.

ამერიკელი 40 წლისაა. პროფესიულ რინგზე მან 38 ბრძოლა გამართა, რომელთაგანაც 36 მოიგო (24 – ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხდა.

აღნიშნულ ბრძოლაში კლიჩკო ზედიზედ მეთორმეტედ დაიცავს IBF-ის ტიტულს. ESPN-ის ინფორმაციით, გამარჯვების შემთხვევაში ვლადიმერი მორიგ ბრძოლას 2012 წლის 10 ნოემბერს ნიუ იორკში ამერიკელ **კრის არეოლას** წინააღმდეგ გამართავს.

### ჩოგბურთი


კურიე ფიშს ულოცავს

# ამერიკა როდიკის გარეშე

ახლოვდება დევისის თასის მეოთხედფინალური ეტაპი და მონაწილე გუნდების კაპიტნები მომავალი მატჩებისთვის შემადგენლობებს ასახელებენ.

ამერიკის ნაკრები 6-8 აპრილს, მონტე კარლოში საფრანგეთის ნაკრებს შეხვდება. ამ მატჩისთვის აშშ-ის კაპიტანმა **ჯიმ კურიემ** შემდეგი ჩოგბურთელები მიიწვია: **მერდი ფიში** (მე-8 ჩოგანი), **ჯონ ისნერი** (9) და წყვილთა თანრიგის მოთამაშეები, ტყუპი ძმები **ბობ** და **მაიკ ბრაიანი**.

წინა მატჩთან შედარებით, რომელშიც ამერიკამ 5:0 დაამარცხა **როჯერ ფედერერის** შვეიცარია, კურიემ ერთი ცვლილება განახორციელა – **რაიან ჰარისონი** ბობ ბრაიანმა შეცვალა, რომელიც ქალიშვილის დაბადების გამო ტოვებდა იმ მატჩს.

■ ■ ■

ესპანეთის ქალაქ ოროპესში ადგილობრივი ნაკრები ავსტრიას დაუპირისპირდება. გუნდების კაპიტნებმა – **ალექს კორეჩამ** და **კლემენს ტრიმელმა** შემდეგი ჩოგბურთელები მიიწვიეს შეკრებაზე.

ესპანეთის ღირსებას დაიცავენ: **დავიდ ფერერი, მარსელ გრანოლერსი, მარკ ლოპესი** და **ნიკოლას ალმაგრო**, ავსტრიელთა რიგებში ვიხილავთ **იურგენ მელცერს, ანდრეას ჰაიდერ-მაურერს, ალექსანდრ პეიასა** და **ოლივერ მარახს**.

პირველ რაუნდში ესპანელმა ყაზახეთი დაამარცხა (5:0), ავსტრიამ - რუსეთი (3:2).

### ველოსპორტი

# კოკაინი მკაცრად ისჯება

იტალიელი ველომრბოლი **მატია გავაცი** ორწლინახევრიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს კოკაინის გამოყენებისთვის. თავდაპირველად იტალიის ანტისადოპინგო სააგენტო ექვსი წლით აპირებდა სპორტსმენის დასჯას, მაგრამ დისკვალიფიკაციის ვადა შეამცირეს, რადგან 28 წლის გავაციმ ითანამშრომლა გამოძიებასთან, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ატარებს.

გავაცის დოპინგსინჯი 2010 წლის 31 მარტს აიღეს Settimana Lombarda-ს ველომრბოლის ერთ-ერთი ეტაპის შემდეგ. მეორე დღეს იტალიელი პირველი მივიდა ფინიშთან. დისკვალიფიკაციის ათვლა დოპინგსინჯის აღების დღიდან დაიწყო, ამიტომაც, გავაცის 2012 წლის 30 სექტემბრიდან ტურნირებში მონაწილეობა შეეძლება.

იტალიელი ველომრბოლი კოკაინის მიღებისთვის მეორედ დაისაჯა. 2004 წელს, ჯერ კიდევ მოყვარულის სტატუსით იტალიელი ანალოგიური დარღვევისთვის 14 თვით დაისაჯა.

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიტს ორი წაგება უყვარს

"მაიამი ჰიტმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. "ინდიანასთან" შეხვედრის პირველი ტაიმი თანაბარი გამოვიდა. პირველი ნახევრის ბოლო წამზე ინდიანელმა **ჯორჯმა** საკუთარი ნახევრიდან ჩააგდო და თავისი გუნდი სამი ქულით გაიყვანა წინ. მესამე მეოთხედი კი "პეისერსის" 7:0 გაქცევით დაიწყო, რომელიც ისევ ჯორჯის ზუსტი ტყორცნით დასრულდა. "ჰიტმა" ოპერატიულად შეამცირა სხვაობა, მაგრამ ამ მატჩში ფლორიდელებს წინ გასვლა არ ეწერათ. ამასობაში, **გრეინჯერმა** და **კოლისონმა** მეოთხედის დასრულებისთვის საკუთარი გუნდის უპირატესობა 13 ქულამდე აიყვანეს. ამ მომენტისთვის ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ "მაიამი" შეძლებდა "ინდიანასთან" ხუთმატჩიანი მოგებათა სერიის გაგრძელებას, მით უმეტეს, რომ მასპინძლების წინა ხაზს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა – 49 მოხსნა "მაიამის" 33 მოხსნის წინააღმდეგ. გარდა ამისა, **უესტისა** და **ჰიბერტის** მარწუხებში მოექცა **კრის ბოში**, რომელმაც 11-დან 4 ტყორცნა მოათავსა კალათში და მხოლოდ ორი (!) მოხსნა დააგროვა.

ასე რომ, "მაიამი" ინარჩუნებს ორმაგი წაგებების ტრადიციას: მარტში "ჰიტის" ყოველ წაგებას მეორე მოჰყვებოდა, მაგრამ ზედიზედ სამჯერ **სპოელსტრას** გუნდს არ წაუგია, ასე რომ, ახლა მოგების ჯერია.

■ ■ ■

გუშინ, აღმოსავლეთის კიდევ ერთმა ფავორიტმა წააგო. "ჩიკაგომ" "დენვერთან" მატჩის პირველ ორ წუთში 8:0 გაქცევა მოაწყო. შესაბამისად, **ჯორჯ კარლს** სწრაფად მოუწია პირველი ტაიმ-აუტის აღებამ. პაუზა მის გუნდს აშკარად მოუხდა, რადგან "ნაგეტსმა" საპასუხო 10:0 სპურტი განახორციელა, რომელშიც ერთბაშად ოთხმა კალათბურთელმა გამოიჩინა თავი. მეტოქისგან განსხვავებით, რეგულარულის ლიდერი ამ დარტყმისგან ბოლომდე ვერ მოვიდა გონს. თითქოს, "ჩიკაგო" შეეჩვია **დერიკ როუზის** გარეშე თამაშს, მაგრამ ამჯერად "ბულზს" შარშანდელი MVP-ის გარეშე ძალიან გაუჭირდა. მის არყოფნაში გაილაღა "დენვერის" გამთამაშებელმა **ლოუსონმა**, რომელმაც 27 ქულა დააგროვა და სეზონის პირადი რეკორდი გაიმეორა. კიდევ 12 ქულა დაამატა **ანდრე მილერმა** (ვეტერანის ანგარიშზე ორმაგი დუბლი მოდის). მცველების მონდომება "დენვერს" უცნაური სერიის გაგრძელებაში დაეხმარა: "ნაგეტსმა" ზედიზედ მეცამეტედ დაამარცხა აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდები. და მხოლოდ ერთხელ წააგო – შინ "კლივლენდთან".

## კვირის მოთამაშეები

„ატლანტა ჰოქსისა" და „ოკლაჰომა თანდერის" მცველები - **ჯო ჯონსონი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯონსონი თავის გუნდს ხუთიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ჯომ საშუალოდ 23.2 ქულა, 5.4 მოხსნა და 3.2 პასი დააგროვა. მან "კლივლენდთან" და "იუტასთან" მატჩში სამქულიანებით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, "ვაშინგტონთან" შეხვედრაში კი ასევე შორეული ტყორცნით მოგება მოუტანა თავის გუნდს.

ოთხიდან სამი მოგება ჰქონდა გასულ კვირას „ოკლაჰომას", დურანტის სტატისტიკური მონაგარი კი 29.5 ქულა, 10.3 მოხსნა და 2.0 ჩაჭრა იყო.

**ჯონსონის კვირა**

21 მარტი. ატლანტა-კლივლენდი 103:102 (ო). 22 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი.

24 მარტი. ვაშინგტონი-ატლანტა 92:95. 16 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი.

25 მარტი. ატლანტა-იუტა 139:133 (4ო). 37 ქულა, 8 მოხსნა.

**დურანტის კვირა**

21 მარტი. ოკლაჰომა-კლიპერსი 114:91. 32 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა.

23 მარტი. ოკლაჰომა-მინესოტა 149:120 (2ო). 40 ქულა, 17 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა.

25 მარტი. ოკლაჰომა-მაიამი 103:87. 28 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯოშ სმითი** („ატლანტა"), **გორან დრაგიჩი** ("ჰიუსტონი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **კევინ ლავი** („მინესოტა"), **ამარე სტაუდმაიერი** („ნიუ იორკი"), **რაიან ანდერსონი** ("იუტა") და **ელ ჯეფერსონი** („იუტა").

**ინდიანა-მაიამი 105:90**

24:24, 25:22, 29:19, 27:25

ი: გრეინჯერი (25+9 მოხსნა), კოლისონი (20+4 ჩაჭრა), ჯორჯი (16+10 მოხსნა), ბარბოზა (14), ჰიბერტი (11+9 მოხსნა+3 დაფარება), უესტი (10+12 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (24+9 მოხსნა), უეიდი (24+6 პასი+5 მოხსნა+4 დაფარება), ბოში (14), ჩელმერსი (13+3 ჩაჭრა).

**ტორონტო-ორლანდო 101:117**

26:28, 23:33, 24:32, 28:24

ტ: ფორბსი (21), კლეიზა (18), ჯ. ჯონსონი (13), კალდერონი (9+11 პასი).

ო: ანდერსონი (28+6 მოხსნა), ჰოვარდი (23+10 მოხსნა), ნელსონი (18+7 პასი), დევისი (13+7 მოხსნა), რედიკი (12).

**ნიუ ჯერსი-იუტა 84:105**

17:15, 15:34, 33:23, 19:33

ნ-ჯ: გრინი (20+3 ჩაჭრა), დ. უილიამსი (17+11 პასი), უოლასი (14), ჯ. უილიამსი (13+6 მოხსნა), ბრუქსი (10), ჰემფრიზი (2+10 მოხსნა).

ი: მილსეპი (24+13 მოხსნა), ჯეფერსონი (19+8 მოხსნა), ბერქსი (15+5 მოხსნა), მაილზი (10), ჰარისი (9+11 პასი).

**ჩიკაგო-დენვერი 91:108**

27:25, 25:29, 16:27, 23:27

ჩ: უოტსონი (17+8 პასი), ბუზერი (14+7 მოხსნა), კორვერი (14+5 პასი), ლუკასი (14).

დ: ლოუსონი (27+9 მოხსნა), აფლალო (22), ჰარინგტონი (17+5 მოხსნა), მილერი (12+10 პასი+3 ჩაჭრა), მაკგი (10+8 მოხსნა).

**კლიპერსი-ნიუ ორლეანი 97:85**

27:20, 22:18, 25:17, 23:30

კ: პოლი (25+10 პასი+4 ჩაჭრა), გრიფინი (20+7 მოხსნა+5 პასი), იანგი (17).

ნ-ო: ამინუ (15), ლენდრი (14+10 მოხსნა), ჯონსონი (11+6 მოხსნა).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 77:79**

14:16, 21:14, 27:23, 15:26

ვ: კროუფორდი (20+5 პასი+3 ჩაჭრა) უოლი (14+9 პასი+7 მოხსნა), სერაფინი (12+5 მოხსნა).

დ: სტაკი (24), პრინსი (18), მონრო (10+10 მოხსნა), ჟერებკო (9+12 მოხსნა).

**შარლოტი-ბოსტონი 95:102**

15:33, 35:19, 25:30, 20:20

შ: ჰენდერსონი (21), მალენსი (18+7 მოხსნა), ბრაუნი (16+7 პასი).

ბ: პირსი (36+10 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), გარნეტი (24), ბასი (15+5 მოხსნა), ბრედლი (11), რონდო (7+13 პასი+6 მოხსნა).

**ნიუ იორკი-მილუოკი 89:80**

30:26, 17:26, 21:12, 21:16

ნ-ი: ენტონი (28+12 მოხსნა), ჩენდლერი (13+9 მოხსნა), დევისი (13+7 პასი+5 მოხსნა), შუმპერტი (11+6 მოხსნა), სმიტი (9+10 მოხსნა).

მ: დანლივი (26+5 მოხსნა), ჯენინგსი (15+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).


ჩიკაგო-დენვერი

**ჰიუსტონი-საკრამენტო 113:106 (ო)**

17:29, 25:22, 29:21, 28:27, 14:7

ჰ: პატერსონი (24), სკოლა (16+14 მოხსნა), პარსონსი (16+8 მოხსნა+5 პასი), ლი (16), დრაგიჩი (14+10 პასი), ბადინგერი (11), ბოიკინსი (10+5 პასი).

ს: კაზინსი (38+14 მოხსნა), ტორნტონი (27), ევანსი (12+5 პასი+6 ჩაჭრა), უილიამსი (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 51 | 40 | 11 | 78.4 |
| 2. მაიამი* | 48 | 35 | 13 | 72.9 |
| 3. ორლანდო | 50 | 32 | 18 | 64.0 |
| 4. ფილადელფია* | 49 | 27 | 22 | 55.1 |
| 5. ინდიანა | 48 | 29 | 19 | 60.4 |
| 6. ატლანტა | 50 | 30 | 20 | 60.0 |
| 7. ბოსტონი | 49 | 27 | 22 | 55.1 |
| 8. ნიუ იორკი | 50 | 25 | 25 | 50.0 |
| 9. მილუოკი | 49 | 22 | 27 | 44.9 |
| 10. კლივლენდი | 46 | 17 | 29 | 37.0 |
| 11. დეტროიტი | 49 | 17 | 32 | 34.7 |
| 12. ტორონტო | 50 | 16 | 34 | 32.0 |
| 13. ნიუ ჯერსი | 51 | 16 | 35 | 31.4 |
| 14. ვაშინგტონი | 49 | 11 | 38 | 22.4 |
| 15. შარლოტი | 47 | 7 | 40 | 14.9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 49 | 37 | 12 | 75.5 |
| 2. სან ანტონიო* | 47 | 33 | 14 | 70.2 |
| 3. ლეიკერსი* | 49 | 30 | 19 | 61.2 |
| 4. კლიპერსი | 49 | 28 | 21 | 57.1 |
| 5. დალასი | 50 | 28 | 22 | 56.0 |
| 6. მემფისი | 47 | 26 | 21 | 55.3 |
| 7. იუტა | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 8. ჰიუსტონი | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 9. დენვერი | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 10. ფინიქსი | 49 | 25 | 24 | 51.0 |
| 11. მინესოტა | 50 | 24 | 26 | 48.0 |
| 12. პორტლენდი | 49 | 23 | 26 | 46.9 |
| 13. გ. სტეიტი | 47 | 20 | 27 | 42.6 |
| 14. საკრამენტო | 49 | 17 | 32 | 34.7 |
| 15. ნიუ ორლეანი | 49 | 12 | 37 | 24.5 |

* - დივიზიონის ლიდერი

| ქულა | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.3 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.7 |
| კევინ ლავი (მინ) | 26.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 24.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 23.0 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 21.8 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 21.1 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 21.0 |

| მოხსნა | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.7 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 12.3 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.1 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 11.0 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 10.8 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.4 |
| მარსინ გორტატი (ფინ) | 9.9 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 9.9 |

| პასი | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 10.7 |
| კრის პოლი (კლიპ) | 8.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.6 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.2 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 8.2 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.0 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 8.0 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 7.9 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 7.3 |

| ჩაჭრა | |
|---|---|
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| რიკი რუბიო (მინ) | 2.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 2.0 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.8 |
| პოლ მილსეპი (იუტ) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.7 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 1.7 |
| იმან შუმპერტი (ნ-იორ) | 1.7 |

| დაფარება | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.3 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.2 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 2.1 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.0 |
| სამუელ დალემბერი (ჰიუ) | 1.9 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.9 |
| მარკ გასოლი (მემ) | 1.8 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 1.8 |
| ბისმაკ ბიიომბო (შარ) | 1.8 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პლეი ოფი დეტროიტისაა

რეგულარული ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. აღმოსავლეთში უმნიშვნელოვანესი იყო "ვინიპეგისა" და "ოტავას" შეხვედრა. მასპინძლები ისევ ინარჩუნებენ პლეი ოფში მოხვედრის შანსს, სტუმრები კი ცდილობენ ახლოს არ მიუშვან "ვაშინგტონი" და "ოტავა" და გაიმყარონ პოზიციები მეშვიდე ადგილზე. მატჩი ძალიან საინტერესო გამოდგა და "ვინიპეგისთვის" ნაღვლიანი დასასრული ჰქონდა. მასპინძლებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და სამჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. "სენატორები" იგებდნენ - 2:0, 3:2 და 4:3, მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდათ. ბოლოს ანგარიში **ევანდერ კეინმა** გაათანაბრა - 58-ე წუთზე გაიტანა გოლი და თითქოს ოვერტაიმი გარდაუვალი იყო, მაგრამ "ოტავამ" **ალფრედსონისა და მიხალეკის** მონდომებით ძირითად დროში მოიგო, რითაც "ვინიპეგი" რთულ მდგომარეობაში ჩააყენა – ახლა ამ გუნდს ექვსი ქულის გაბათილება სჭირდება რეგულარულის დასრულებამდე ექვსი მატჩით ადრე.

"ვინიპეგთან" ახლოს არის "ტამპა ბეი", რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. ამჯერად, "ლაითნინგი" სტუმრად გაუსწორდა "ფილადელფიას" – 5:3. "ფლაიერსი" პირველი პერიოდის შემდეგ 0:2-ს აგებდა, შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბოლო 20-წუთეულში სტუმრებმა სამი გოლი გაიფორმეს და ახლა, ერთი ქულით არიან დაშორებული "ვინიპეგს". სეზონში 53-ე შაიბა გაიტანა **სტივენ სტემკოსმა**, რაც "ტამპას" საკლუბო რეკორდია. წინა რეკორდსმენი **ვენსან ლეკავალიე** იყო 52 გოლით (2006-07).

დასავლეთში კი ოფიციალურად გაიფორმა პლეი ოფში გასვლა "დეტროიტმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე გაანადგურა "კოლამბუსი" – 7:2. "რედ უინგზი" 7:0-ს იგებდა და ვერ დაეხმარა თავის მეკარეს **ტაი კონკლინს** "მშრალი" მატჩის ჩატარებაში. გამარჯვებულთა რიგებში ოთხ-ოთხი საგოლე პასი გაიფორმეს **ბერტუციმ** და **ზეტერბერგმა**, **ჰოლმსტრიომმა** კი დუბლი შეასრულა.

"დეტროიტი" ზედიზედ ოცდამეერთედ გავიდა პლეი ოფში, რაც საკლუბო რეკორდი გახლავთ. საინტერესოა, რომ ცნობილი ლოკაუტის შემდეგ, სტენლის თასის გათამაშება მხოლოდ "დეტროიტსა" და "სან ხოსეს" არ გამოუტოვებიათ.

პლეი ოფში ზედიზედ გასვლის რეკორდი კი "ბოსტონს" ეკუთვნის, რაც მან 1968-96 წლებში 29-ჯერ გააკეთა. მეორე ადგილზეა "ჩიკაგო" (28), მესამეზე "სენტ ლუისი" (25), მეოთხეზე "მონრეალი" (24) და მეხუთეზე "დეტროიტი".

გარდა ამისა, "რედ უინგზი" ლიდერობს ამ მაჩვენებლით არა მხოლოდ NHL-ში, არამედ ყველა ამერიკულ პროფესიულ ლიგაში. ყველაზე ახლოს მასთან "სან ანტონიო სპურსია", რომელსაც NBA-ში აქვს შანსი, ზედიზედ მეთხუთმეტედ გავიდეს პლეი ოფში.

მნიშვნელოვანი ორი ქულა მოიპოვა "კალგარიმ", რომელიც ზედიზედ მეორე მატჩში ხვდებოდა "დალასს". ორი დღის წინ კანადელებმა სტუმრად წააგეს, ამჯერად შინ 5:4 მოიგეს. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე პერიოდის ბოლო მონაკვეთი - 3:3-ზე "ვარსკვლავებმა" ზედიზედ ორი გაძევება მიიღეს და ამან მასპინძლებს ორი გოლი მოუტანა – თავი გამოიჩინეს **ჯორდანომ** და **ტანგეიმ**. "სტარზის" მხრიდან დუბლი შეასრულა **ჯეიმი ბენმა**. "კალგარის" რიგებში ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა **კამალერიმ**, რომელმაც სამი ქულა დააგროვა. "ფლეიმზი" მე-11 ადგილზე რჩება, "დალასს" კი ეს მარცხი დივიზიონში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა.

წყნარი ოკეანის დივიზიონში ლიდერობის მოპოვება შეეძლო "ლოს ანჯელესს", მაგრამ "მეფეებმა" სტუმრად წააგეს 0:1 "ვანკუვერთან", როცა ერთადერთი შაიბა გაუშვეს შეხვედრის სტარტზე. "კენაქსმა" ზედიზედ მესამე მოიგო, "ლოს ანჯელესი" კი ზედიზედ ექვსი მოგების შემდეგ მეორედ დამარცხდა.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **ევგენი მალკინი** დაასახელა. რუსმა ლეგიონერმა ოთხ მატჩში ცხრა ქულის (5 გოლი+4 პასი) დაგროვება მოასწრო, სულ კი 68 მატჩში მის ანგარიშზე 97 ქულაა (46+51) და თითქმის გარანტირებული აქვს რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირობა. გარდა ამისა, მალკინს ორი გოლი სჭირდება იმისთვის, რომ 2007-08 წლების სეზონში დამყარებული პირადი რეკორდი გააუმჯობესოს.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ბაფალოს" მეკარე **რაიან მილერი**. მან გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო, საშუალოდ 1.26 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.6 პროცენტი მოიგერია.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო "ვაშინგტონის" კაპიტანმა **ალექს ოვეჩკინმა**, რომელიც ლიგის ლიდერი იყო ექვსი გატანილი გოლით. რუსმა ამას ერთი საგოლე პასიც დაუმატა.




დეტროიტი პლეი ოფშია

**ფილადელფია–ტამპა ბეი 3:5**

0:2, 2:0, 1:3

**გოლები:** 0:1 მელოუნი-15 (ტ. სმიტი-3), 0:2 სტემკოსი-53 (სან ლუი-44, პურსელი-40), 1:2 სიმონდსი-23 (შენი-4, კუბინა-11), 2:2 რიდი-22 (ტიმონენი-38, ვორაჩეკი-26), 2:3 სან ლუი-24 (უოლასი-4, ბრიუერი-17), 2:4 უაიმანი-2, 3:4 ჰარტნელი-36 (ბრიერი-27, ვორჩაეკი-27), 3:5 პიატი-12 (ბრიუერი-18).

**ვინიპეგი–ოტავა 4:6**

0:1, 3:2, 1:3

**გოლები:** 0:1 კ. ნილი-12 (სპეცა-48, ე. კარლსონი-55), 0:2 დაუგავინსი-5 (კონდრა-16, ზ. სმიტი-12), 1:2 მიეტინენი-3 (ბოგოსიანი-20, უელვუდი-27), 2:2 უელვუდი-16 (ე. კეინი-24, ჰეინსი-10), 2:3 ტარისი-10 (სპეცა-49, ე. კარლსონი-56), 3:3 მიეტინენი-4 (სლეიტერი-7, გლასი-11), 3:4 ალფდერსონი-25 (ე. კარლსონი-57), 4:4 ე. კეინი-29 (უელვუდი-28), 4:5 ალფრედსონი-26 (კუბა-25, ტარისი-14), 4:6 მ. მიხალეკი-34 (სპეცა-50).

**დეტროიტი–კოლამბუსი 7:2**

4:0, 2:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ჰოლმსტრიომი-9 (ზეტერბერგი-42, კრონვალი-20), 2:0 ნიკუისტი-1 (დაციუკი-44, ბერტუცი-19), 3:0 ჰოლმსტრიომი-10 (ზეტერბერგი-43, კრონვალი-21), 4:0 ჰუდლერი-23 (ფილპულა-40, ბერტუცი-20), 5:0 ლიდსტრიომი-11 (ზეტერბერგი-44, ი. უაიტი-25), 6:0 ბ. სტიუარტი-6 (ბერტუცი-21, ფილპულა-41), 7:0 დაციუკი-18 (ზეტერბერგი-45, ბერტუცი-22), 7:1 ლეტესტუ-11 (ნეში-25, ნიკიტინი-21), 7:2 ნეში-27 (პროსპალი-35, ჯ. ჯონსონი-23).

**კალგარი–დალასი 5:4**

1:1, 4:2: 0:1

**გოლები:** 0:1 ბენი-25 (ოტი-27), 1:1 ო. იოკინენი-22 (სტეპნიაკი-13, გლენკროსი-21), 1:2 ბენი-26 (ბარიში-13, პერდი-3), 2:2 კომო-5, 3:2 კამალერი-17 (იგინლა-32, ბაბჩუკი-8), 3:3 რიბეირო-17 (რაიდერი-26, გოლიგოსკი-20), 4:3 ჯორდანო-9 (იგინლა-33, კამალერი-19), 5:3 ტანგეი-13 (კამალერი-20, ჯორდანო-17), 5:4 ლარსენი-2 (სურეი-15, ოტი-28).

**ვანკუვერი–ლოს ანჯელესი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 მალორტა-7 (ლაპიერი-8, ედლერი-35).

**სან ხოსე–კოლორადო 5:1**

0:0, 3:1, 2:0

**გოლები:** 1:0 პაველსკი-28 (ჯ. ბრაუნი-9, დ. ბოილი-36), 2:0 დემარდენი-4 (უინგელსი-6, დ. ბოილი-37), 2:1 ო'ბრაიენი-3 (რ. ო'რაილი-37, ლანდესკოგი-27), 3:1 ტ. მიტჩელი-9 (ჰანძუში-17, დ. მური-19), 4:1 პაველსკი-29 (კუტური-29, ჯ. ტორნტონი-56), 5:1 ქლოუ-14 (ჰავლატი-16).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-რეინჯერსი* | 75 | 47 | 21 | 7 | 101 |
| 2. ბოსტონი* | 75 | 44 | 28 | 3 | 91 |
| 3. ფლორიდა* | 75 | 36 | 24 | 15 | 87 |
| 4. x-პიტსბურგი | 75 | 47 | 22 | 6 | 100 |
| 5. x-ფილადელფია | 76 | 44 | 24 | 8 | 96 |
| 6. ნიუ ჯერსი | 76 | 42 | 28 | 6 | 90 |
| 7. ოტავა | 77 | 39 | 28 | 10 | 88 |
| 8. ვაშინგტონი | 76 | 38 | 30 | 8 | 84 |
| 9. ბაფალო | 76 | 37 | 29 | 10 | 84 |
| 10. ვინიპეგი | 76 | 35 | 33 | 8 | 78 |
| 11. ტამპა ბეი | 75 | 35 | 33 | 7 | 77 |
| 12. კაროლინა | 76 | 30 | 31 | 15 | 75 |
| 13. ტორონტო | 76 | 33 | 34 | 9 | 75 |
| 14. აილენდერსი | 75 | 31 | 33 | 11 | 73 |
| 15. მონრეალი | 76 | 29 | 34 | 13 | 71 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-სტ. ლუისი* | 76 | 47 | 20 | 9 | 103 |
| 2. y-ვანკუვერი* | 76 | 46 | 21 | 9 | 101 |
| 3. სან ხოსე* | 76 | 39 | 27 | 10 | 88 |
| 4. x-დეტროიტი | 76 | 46 | 25 | 5 | 97 |
| 5. ნეშვილი | 76 | 44 | 24 | 8 | 96 |
| 6. ჩიკაგო | 76 | 42 | 26 | 8 | 92 |
| 7. დალასი | 76 | 41 | 30 | 5 | 87 |
| 8. ფინიქსი | 77 | 37 | 27 | 13 | 87 |
| 9. ლოს ანჯელესი | 76 | 37 | 27 | 12 | 86 |
| 10. კოლორადო | 78 | 40 | 32 | 6 | 86 |
| 11. კალგარი | 77 | 35 | 27 | 15 | 85 |
| 12. ანაჰაიმი | 76 | 32 | 33 | 11 | 75 |
| 13. მინესოტა | 75 | 31 | 34 | 10 | 72 |
| 14. ედმონტონი | 76 | 31 | 36 | 9 | 71 |
| 15. კოლამბუსი | 76 | 24 | 45 | 7 | 55 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 97 (46+51) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 88 (53+35) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 86 (27+59) |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 81 (31+50) |
| ფილ კესელი (ტორ) | 77 (36+41) |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 76 (19+57) |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 76 (35+41) |
| ილია კოვალჩუკი (ნ-ჯერ) | 75 (32+43) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 75 (31+44) |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 74 (29+45) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 53 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 46 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 37 |
| ფილ კესელი (ტორ) | 36 |
| სკოტ ჰარტნელი (ფილ) | 36 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 36 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 35 |
| კორი პერი (ანა) | 35 |
| მეტ მოულსონი (აილ) | 34 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 34 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 60 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 59 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 57 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 56 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 51 |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 50 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 49 |
| რეი უიტნი (ფინ) | 48 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| აპოელ-რეალი | 0:3 |
| ბენფიკა-ჩელსი | 0:1 |

**ევრო 2012**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-სერბეთი | 1:1 |
| ალბანეთი-ირლანდია | 2:1 |

**ინგლისის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ბოლტონი | 3:1 |
| სანდერლენდი-ევერტონი | 0:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| იფსვიჩი-მიდლსბრო | 1:1 |
| ლესტერი-ნოტინგემი | 0:0 |
| პიტერბრო-ვესტ ჰემი | 0:2 |
| პორტსმუთი-ჰალი | 2:0 |
| კრ. პალასი-დონკასტერი | 1:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| მილტონი-კარლაილი | 1:2 |
| ოლდჰემი-ლეიტონი | 0:1 |
| პრესტონი-ბრენტფორდი | 1:3 |
| სტივენეიჯი-ბორნმუთი | 2:2 |
| უოლსოლი-კოლჩესტერი | 3:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ოქსფორდი | 0:2 |
| ალდერშოტი-როვერსი | 1:0 |
| ბრედფორდი-ქროული | 1:2 |
| ბარტონი-ჯილინგემი | 1:0 |
| შრიუსბერი-პორტ ვეილი | 0:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბეტი-იორკი | 0:1 |
| ბრენტრი-საუთპორტი | 0:0 |
| დარლინგტონი-რედსჰემი | 2:4 |
| ებსფლიტი-ალფრეტონი | 1:2 |
| ჰეიესი-ლინკოლნი | 1:2 |
| ტამუორტი-გრიმსბი | 1:1 |
| ტელფორდი-ფორესტ გრინი | 2:0 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-ოფენბახი | 0:1 |
| მუნსტერი-კარლ ცაისი | 1:0 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კაიზერი A-მაინცი A | 2:0 |
| ბოხუმი A-ელვერსბერგი | 2:0 |
| გლადბახი A-ფერლი | 3:0 |
| ვიდენბრუკი-შალკე A | 3:5 |
| ესენი-კობლენცი | 2:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მეცი-ლე მანი | 0:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ეპინალი-ფრეჟუსი | 4:0 |
| ლე პუარი-ნიორი | 1:0 |

**ჰოლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| [illegible] | 4:1 |

**[illegible]**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბლაუ ვაისი-ალტახი | 1:0 |
| სტ. პოლტენი-ჰარტბერგი | 2:0 |
| გრიოდიგი-ლინცერი | 1:1 |
| სტ. ანდრა-ვენა | 2:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ტრენჩინი | 1:2 |
| დ. სტრედა-ტატრანი | 0:0 |
| ნიტრა-სლოვანი | 0:1 |
| რუჟემბეროკი-შენიცა | 0:1 |
| მორავცე-ჟილინა | 1:1 |
| ბისტრიცა-ტრნავა | 0:3 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ურალი-ტორპედო | 2:0 |
| მორდოვია-ნ. ნოვგოროდი | 3:1 |
| შინიკი-ალანია | 0:1 |
| დინამო (ბრ)-სიბირი | 1:0 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| პაიდე-კალიუ | 1:3 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**1/4 ფინალი. III მატჩები**

| | |
|---|---|
| უნიქსი-ბარსელონა | 56:67 |
| მაკაბი-პანათინაიკოსი | 65:62 |

**ევროთასი**

**1/4 ფინალი. III მატჩები**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ნიმბურკი | 86:71 |
| ლოკომოტივი-ხიმკი | 81:77 |
| დონეცკი-ლ. რიტასი | 80:78 |
| ვალენსია-ბუდუჩნოსტი | 85:63 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ტულონი-როანი | 60:85 |
| პარიზი-შალონი | 77:83 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ლინცი-კლაგენფიურტი | 6:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-კოშიცე | 1:6 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პლზენი-ბრნო | 0:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ფრიბურგი-ბერნი | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ნადალი-ნიშიკორი | 6:4, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-დიმიტროვი | 7:6, 6:2 |
| ფიში-ალმაგრო | 6:3, 6:7, 6:3 |
| მიურეი-სიმონი | 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-გასკე | 7:5, 6:3 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-ნა ლი | 6:3, 6:0 |

## TV პროგრამა

**28 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-დორტმუნდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ფიორენტინა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ვალანსიენი-რენი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია.
00:00 იტალიის შოუ.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
20:40 სამთო-სათხილამურო სპორტი. მესტიის თასი.
21:00 საკალათბურთო მიმოხილვა – ოვერტაიმი.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი. III მატჩი (LIVE).
00:05 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ცსკა-ბილბაო.
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. შალკე-ტვენტე. II მატჩი.
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ლეიკერსი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

**I არხი**

13:55 ფეხბურთი. ევრო 2012 (UNDER 17). საქართველო-ინგლისი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 2 | 11 |
| ქუთაისი | 4 | 10 |
| ბათუმი | 3 | 9 |
| ფოთი | 4 | 8 |
| ზუგდიდი | 3 | 9 |
| გორი | -2 | 8 |
| თელავი | 1 | 10 |
| ბაკურიანი | -9 | -2 |
| გუდაური | -13 | -4 |
| მესტია | -8 | 1 |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1937 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6420 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6219 |

ავტოსპორტი

რუბენს ბარიკელო




# რუბენსი ინდიკარში

გასულ უქმეებზე ამერიკის ქალაქ სენტ-პიტერსბერგის ქუჩებში ინდიკარის სარბოლო სერიის პირველი ეტაპი გაიმართა. მის მიმართ დიდი ყურადღება იყო, რადგან მიმდინარე სეზონში ახალი თაობის მანქანებს იყენებენ. ბოლიდი კომპანია Dallara-ს მიერ არის შექმნილი და ის საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. ეს ნაბიჯი უსაფრთხოების მიზნით გადაიდგა, რათა ტრასაზე ბრძოლის დროს ბოლიდები საბურავებით არ შეეხონ ერთმანეთს.

უსაფრთხოების მხრივ ახალი ბოლიდების ღირსებას სწრაფ ოვალებზე შეაფასებენ, სენტ-პიტერსბერგში კი პილოტებს ევალებოდათ მაქსიმალურად სწრაფად მოძრაობა და ბარიერებთან შეხების თავიდან აცილება. ამ ამოცანას ყველაზე უკეთ ინდიკარის ცნობილი ოსტატები - **სკოტ დიქსონი** და **ჰელიო კასტრონევეში** გაუმკლავდნენ. მათ შორის დუელში კი გამარჯვებული კასტრონევეში გამოვიდა. ჰელიომ 2010 წლის შემდეგ პირველი რბოლა მოიგო და ეს გამარჯვება ბრიტანელ **დენი უელდონს** მიუძღვნა, რომელიც შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე ტრაგიკულად დაიღუპა.

სხვათა შორის სწორედ უელდონის სახელი მიანიჭეს ახალ შასის - DW12-ს. რა თქმა უნდა, მანქანის დებიუტს ტექნიკური პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია. მაგალითად, ელექტროსისტემაში ხარვეზებმა კარგი შედეგის ჩვენების საშუალება არ მისცა **ტაკუმა სატოს**. ფორმულა 1-ის იაპონელი ექსპილოტი დამაჯერებლად ინარჩუნებდა ადგილს ლიდერთა შორის, მაგრამ 73-ე წრეზე ჩამოშორდა რბოლას. მალე ტექნიკური პრობლემის გამო იგივე დაემართა **სებასტიან ბურდეს**.

დებიუტი ჰქონდა ინდიკარის სერიაში **რუბენს ბარიკელოს**. მან მიაღწია ფინიშამდე, მაგრამ საბოლოო ოქმში მოხვედრილ 18 პილოტს შორის მე-17 ადგილი დაიკავა. გულშემატკივრებმა თბილად მიიღეს ბრაზილიელი, რომელიც სენტ-პეტერსბერგში მეუღლე **სილვანასთან** ერთად ჩავიდა.

*„მომეწონა პირველი რბოლა,* - განაცხადა ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე გამოცდილმა პილოტმა. - *სამწუხაროა, რომ ცუდად მუშაობდა საწვავის დონის მაჩვენებელი, რის გამოც ზედ ფინიშთან ავზის შევსებამ მომიწია. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი დავრჩი რბოლითა და მეტოქეებს შორის ბრძოლით, თუმცა მერჩივნა უფრო ახლოს ვყოფილიყავი ლიდერებთან. მთავარია, რომ მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე. სიამოვნებით დავუბრუნდები საქეს და რამდენიმე დღეში მორიგ სტარტს ჩავატარებ".*

ბარიკელო KV Racing Technology-ის ღირსებას იცავს. ამ საჯინიბოს შეფი **კევინ კალჰოვენი** დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელს გარკვეული ხანი დასჭირდება ახალ პირობებთან შესაგუებლად, შემდეგ კი შეეძლება კარგი შედეგების ჩვენება.

*„დრო სჭირდება ცივ საბურავებთან და რესტარტებთან შეგუებას. მჯერა, რომ მას ბევრის მიღწევა შეუძლია, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა, რუბენსი შესანიშნავი პილოტია, გარდა ამისა, მასთან მუშაობა სასიამოვნოა",* - აღნიშნა კალჰოვენმა.

ეტაპის მეორე პრიზიორის სკოტ დიქსონის აზრით, ინდიკარის სერიაში 40 წლის ვეტერანის გამოჩენა დადებითად იმოქმედებს ტურნირის პოპულარიზაციაზე: *„სერიისთვის ძალიან კარგია ცნობილის გამოჩენა. ეს ინდიკარს საერთაშორისო დონეზე გასვლის საშუალებას აძლევს. წელს ჩვენ ახალი მანქანები და ძრავების ახალი მწარმოებლები გვყავს, რუბენსის გამოჩენა კი დამატებით ყურადღებას აჩენს".*

ინდიკარის მეორე ეტაპი პირველ აპრილს ალაბამას კლასიკურ ავტოდრომზე გაიმართება.

# ლუისს ფილმში იღებენ

ჩვენ უკვე ვწერდით ამერიკელი რეჟისორის **რონ ჰოვარდის** ახალი ფილმის გადაღებების შესახებ, რომელიც ფორმულა 1-ის 1976 წლის ჩემპიონატში **ნიკი ლაუდასა** და **ჯეიმს ჰანტის** ბრძოლაზე მოგვითხრობს. სურათის ერთ-ერთი კონსულტანტი გახდა „მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი**. როგორც რეჟისორი ამბობს, ლუისმა, შესაძლოა, ახალ ფილმში როლიც მიიღოს.

*„ლუისი - შესანიშნავი ადამიანია. მასში ყველაზე საოცარი ის არის, რომ მოკრძალებული წარმომავლობის მიუხედავად, დიდ სიმაღლეებს მიაღწია.*

*ფილმზე მუშაობის დაწყებამდე მას ბევრი ვესაუბრე. ფაქტობრივად, ის ფილმის კონსულტანტი გახდა. არ ვიცი დათანხმდება თუ არა, მაგრამ ფილმში მისთვის როლი გამოინახება",* - განაცხადა ჰოვარდმა.

ჩოგბურთი. ტურნირები

# გადარჩენილი აზარენკა

მაიამის სუპერტურნირზე გუშინ სრულად გაიმართა მერვედფინალური ეტაპი. მართალია, სენსაცია არ მომხდარა, მაგრამ ფავორიტებს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდათ რანგით დაბალი მეტოქეებისგან.

მაგალითად, კინაღამ სეზონში პირველი მატჩი წააგო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ**. ის ყოველთვის სახიფათო **დომინიკა ციბულკოვას** ხვდებოდა, რომელიც წელს არასტაბილურად თამაშობს. სლოვაკს აზარენკასთან მატჩში კარგი შანსი ჰქონდა, თავისი არსებობა შეეხსენებინა საჩოგბურთო სამყაროსთვის და ეს თითქმის გამოუვიდა.

დომინიკამ პირველივე გეიმიდან შეუტია მეტოქეს, თანაც შეცდომების მინიმალური პროცენტი ჰქონდა. მსგავსმა დასაწყისმა ვიქტორია დააბნია და მან ვერაფრით მოახერხა მეტოქის შეჩერება. საბოლოოდ, ციბულკოვამ პირველი გეიმი 5:0-ზე წააგო, საწყის 11 გეიმში კი 10 მოიგო და 6:1, 4:0 დაწინაურდა. სწორედ ამის შემდეგ დადგა მატჩში გარდამტეხი მომენტი. აზარენკამ აქტიურობასა და დარტყმების სიზუსტეს უმატა, დომინიკას კი შეტევისთვის ხელსაყრელი მომენტები იშვიათად ექმნებოდა. თან მან ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო - მაგალითად, მატჩზე პირველი ჩაწოდების დროს, 5:2-ზე ციბულკოვამ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. აზარენკამ წინ გასვლა მოახერხა – 6:5, მაგრამ სლოვაკმა თავის მოწოდებაზე გეიმი კარგად ჩაატარა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც ეფექტურ სტილში მოიგერია სამმაგი სეტბოლი, მაგრამ მაინც წააგო სეტი – 6:7(7).

ასეთი დასანანი ნაგების შემდეგ, სლოვაკის თამაში თითქოს საბოლოოდ უნდა მოშლილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მესამე სეტი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა – ვერც ერთი ვერ ახერხებდა ერთზე მეტი სხვაობით წინ გასვლას და ორივე იმსახურებდა გამარჯვებას. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტი და სტაბილური ვიქტორია იყო. მე-11 გეიმში ბრეიკ-პოინტის დროს დომინიკამ ორმაგი შეცდომა დაუშვა, აზარენკამ კი მომდევნო გეიმში ანალოგიურ სიტუაციაში შესანიშნავად ჩააწოდა. მატჩბოლზე ციბულკოვამ ხელსაყრელ სიტუაციაში აუტში გაუშვა ბურთი და აზარენკამ სეტი 7:5 მოიგო. ეს მძიმე გამარჯვება ზედიზედ 26-ე იყო აზარენკასთვის.

შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის რემატჩი შედგა **სერენა უილიამსსა** და **სამანტა სტოსურს** შორის. ამერიკელი რევანშისთვის იყო განწყობილი და შარშანდელი ნაგებისგან დაგროვილ ბრაზს მოწოდებაში აქსოვდა. ორი სეტის განმავლობაში სერენამ 20 ეისი (!) ჩააწოდა. სხვა სათამაშო კომპონენტებში უილიამსი მთლად იდეალური არ ყოფილა, მაგრამ მაინც მოიგო – 7:5, 6:3. ახლა მას ელის შეხვედრა **კაროლინ ვოზნიაცკისთან**, რომელმაც **იანინა ვიკმაიერი** დაამარცხა – 7:6(6), 6:0. საინტერესოა, რომ სასტარტო სეტი, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდებოდა, კაროლინმა მხოლოდ მეშვიდე სეტბოლიდან დაასრულა.

ასევე გავიდა შემდეგ ეტაპზე უფროსი უილიამსი. დის მსგავსად, მანაც შესანიშნავად ითამაშა მოწოდებაზე და **ანა ივანოვიჩს** 13 ეისი ჩაუგდო, რამაც სამ სეტში გამარჯვება მოუტანა.



სერენამ რევანში აიღო

**ქალები**

**1/8 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:4, 7:6(3); **მარიონ ბარტოლი (საფ, 7)**-მარია კირილენკო (რუს, 22) 6:1, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 10)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 7:5, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-გარბინ მუგურუსა-ბლანკო (ესპ) 6:3, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 8)**-საბინ ლისიცკი (გერ, 12) 3:6, 6:4, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16) 1:6, 7:6(7), 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23) 7:6(6), 6:0; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 15) 6:7(4), 6:2, 6:2.

**1/4 ფინალი**

აზარენკა (1)-ბარტოლი (7); ვ. უილიამსი-ა. რადვანსკა (5); ს. უილიამსი (10)-ვოზნიაცკი (4); ნა ლი (8)-შარაპოვა (2).

# პენსიაზე ჯერ ადრეა

**ვიქტორია აზარენკასგან** განსხვავებით, გამოცდა ვერ ჩააბარა მამაკაცებს შორის სეზონის ლიდერმა **როჯერ ფედერერმა**, არადა, შვეიცარიელს ტურში მისთვის ყველაზე მოხერხებული მეტოქე ჰყავდა – **ენდი როდიკი**, რომლისთვისაც 23-დან 21 მატჩი ჰქონდა მოგებული. მატჩის წინ ისე ჩანდა, რომ რიგით 24-ე შეხვედრაში ამერიკელს შანსი არ ჰქონდა. ფედერერი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო, როდიკი კი ძალიან დაქვეითდა რეიტინგში და დადის ჭორები იმის შესახებ, რომ ამერიკელი მალე დაასრულებს კარიერას.

მაგრამ გუშინდელმა მატჩმა დაამტკიცა, რომ ენდის ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. პირველ სეტში ფედერერს მხოლოდ დასაწყისში ჰქონდა ბრეიკის გაკეთების შანსი, მაგრამ როდიკმა გაძლო და შემდეგ დამაჯერებლად აწვდიდა. იგივე ითქმის როჯერზე – როდიკს ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია. ტაი-ბრეიკი პარტიის ლოგიკური დასასრული იყო და ბედმა ამერიკელს გაუღიმა. 4:3-ზე მან მნიშვნელოვანი მინიბრეიკი გააკეთა და შემდეგ მშვიდად შეინარჩუნა უპირატესობა – 7:6(4).

მეორე სეტში ფედერერმა სისწრაფეს უმატა და სამი ბრეიკით მოიგო პარტია – 6:1. გადამწყვეტი სეტიც მისი კარნახით დაიწყო. როდიკის პირველივე მოწოდებაზე მან სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ამერიკელი გადარჩა, ცოტა ხანში კი მიღებაზე როდიკს გაუჩნდა შანსი. ენდის ოთხი ულამაზესი და ურთულესი ფორჰენდი გამოუვიდა და ამის წყალობით მან ბრეიკი გააკეთა – 2:1. ფედერერი მატჩის ბოლომდე ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ როდიკი ძალიან კარგად აწვდიდა. მე-10 გეიმში, რომელიც ბოლო აღმოჩნდა მატჩში, ენდი 15:30 ჩამორჩა, მაგრამ დროზე მოეგო გონს და ზედიზედ სამი იდეალური მოწოდება შეასრულა.



**კაცები**

**1/16 ფინალი**

**მერდი ფიში (აშშ, 10)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:4, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 20) 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 30) 7:6(5), 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 27) 6:3, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 11)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 23) 6:3, 7:6(3); **ენდი როდიკი (აშშ, 31)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 7:6(4), 1:6, 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 21)**-გაელ მონფილსი (საფ, 14) 4:6, 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-ალბერტ რამოსი (ესპ) 6:2, 5:7, 6:3.

**1/8 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-გასკე (17); დელ პოტრო (11)-ფერერი (5); როდიკი (31)-მონაკო (21); ალმაგრო (12)-ფიში (10); დიმიტროვი-ტიპსარევიჩი (9); სიმონი (13)-მიურეი (4); ცონგა (6)-ფ. მაიერი (19); ნიშიკორი-ნადალი (2).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია